პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მარტი ოთხშაბათი 2014

№ 057 (14 278) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეპის პირველი



# რეკორდმაისტერი

ყველა დროის ყველაზე სწრაფი ჩემპიონობა და ზეიმი ლუდის გარეშე



გუშინ ბერლინში: მიუნხენელებმა გერმანიის ჩემპიონობა ვერცხლის სინის ასლით იზეიმეს. „ბაიერნი“ ნამდვილ სინს მოგვიანებით ალმართავს

# ჰერტას კაპიტანი კობი იყო...

8-9



# დინამო შეუჩერებელია... ზესტაფონიც!

...და მომდევნო ტურში დინამო-ზესტაფონია!

2





ფოტო: fczestafoni.ge

## მერანის მარტვილობა

შუქურასთან მომხდარი მარტვილელებს ძვირად დაუჯდათ

3



## 0:3



5

## იუნაიტედი ისევ გაშტერდა!

მანჩესტერული დერბი ჯეკომ გადაწყვიტა

## ელიტას გერმანიით ვხსნით

დღეს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდი იწყება. ტურნირი სერბეთში გაიმართება. საქართველოს ნაკრები მასპინძელთან, გერმანიასა და ირლანდიასთან ერთად V ჯგუფში ითამაშებს. **ნოდარ აკობიას** შეგირდები პირველ მატჩში დღეს გერმანიას დაუპირისპირდებიან. შეხვედრა ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება. 28 მარტს ქართველები ირლანდიას, ხოლო ტურნირის დასკვნით დღეს, 31 მარტს, მასპინძელ სერბეთს შეხვდებიან. ოთხგუნდიანი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსანი მოხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25.03. თბილისი. დინამო არენა.
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 3 |
| გურია | 0 |

1:0 ჩისკო (38), 2:0 მარცვალაძე (50), 3:0 გლიშიჩი (82)

დინამო (4-4-2): ლორია - ხურცილავა, გველესიანი, რეხვიაშვილი, კვირკველია - გორგიაშვილი (60. პაპუნაშვილი), ძარია, პაპავა, მერებაშვილი (76. გოგა) - ჩისკო, მარცვალაძე (82. გლიშიჩი).

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, ხიდეშელი, ცინცაძე, მოდებაძე.

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გურია (3-5-1-1): ბობლიაშვილი - ძამსაშვილი (65. ბენჯამენი), ნ. კილაძე, ქურდაძე - ა. შენგელია (65. ნიქაბაძე), კვერენჩხილაძე, ე. კილაძე (46. ჩუენსუ), გაჩეჩილაძე, მეგრელიშვილი - კვირტია - ისიანი.

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ჭეიშვილი, ხორგუაშვილი, გაგნიძე

მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილება: ხურცილავა (22), შენგელია (45), ჩუენსუ (53), ნ.კილაძე (84)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# 3:0, ანუ გურულების პასები დინამოს

ოუ დააკვირდებით, „ლელო", ტრადიციულად, მეგოლის გარდა, მეპასის ვინაობასაც გაცნობთ. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა **ჩისკომაც, ოთარ მარცვალაძემაც** და **დარკო გლიშიჩმაც** გოლები ისე გაიტანეს, ასისტენტი არც ერთს არ ჰყოლია - სამივე გოლისას მასპინძლებმა ბურთი სტუმრებისგან მიიღეს.

არადა, პირველ გოლს გვარიანად დააგვიანდა - თბილისელებმა **მინდია ბობლიაშვილის** კარისკენ სახიფათოდ პირველად 38-ე წუთზე დაარტყეს და შედეგიანადაც. **ჩისკომ** ბურთი ცენტრალური მცველის **ნიკა კილაძისგან** მიიღო. გურულ ფეხბურთელს ბურთი ფეხიდან აექცა და შემტევსაც ზედ მეკარის ცხვირწინ მიუვიდა. ჰოდა, ჩისკოც რისი ჩისკო იქნებოდა, ასეთი საჩუქარი რომ ვერ შეერგო-და ბობლიაშვილს დაბალზე აუღებლად დაურტყა - 1:0.

ამ გოლამდე, მოედანზე დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. ეგ იყო, ლანჩხუთელ **ერეკლე კილაძეს** გადამწყვეტ მომენტში უმტყუნა მიზანმა და კარის ნაცვლად ბურთი აუტის ხაზისკენ გაგზავნა, ხოლო მეორედ, იმავე ჩისკოს დარტყმულს, გურულების მეკარე იოლად გაუმკლავდა.

სხვათა შორის, ლანჩხუთელები საკმაოდ თამამად თამაშობდნენ და კილაძის დარტყმულის გარდა, მასპინძლები ერთი-ორჯერაც ააფორიაქეს. „დინამოსთან" კი სტუმრად ასე ბევრი გუნდი ვერ თამაშობს.

შესვენების შემდეგ თამაში სულ 4 წუთის განახლებული იყო, როცა გურულების „საჩუქრით" უკვე მარცვალაძემ იხეირა, ვინც საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. **თორნიკე გორგიაშვილმა** საჯარიმოს კუთხესთან მიიღო ბურთი და ბობლიაშვილს „ცხრიანში" მძლავრად დაურტყა. მართალია, მეკარემ იყოჩაღა და ბურთი გაჭირვებით უკუაგდო, მაგრამ იქვე ჩისკომ დაამატა, ბოლოს კი ბურთი მარცვალაძესთან მიგორდა და მასაც გატანა არ გასჭირვებია - 2:0.

როგორც იტყვიან, თამაში უკვე „გაკეთებული" იყო. „გურია" ძალიან მონდომებული კი ჩანდა, მაგრამ თბილისში „დინამოსთან" წარმატებით რომ ითამაშო, მონდომების გარდა კიდევ ბევრი რამაა საჭირო. გურულებმა **გიორგი ლორია** რამდენჯერმე კი შეაწუხეს, **ზურაბ ძამსაშვილმა** ერთხელ შორიდან სახიფათოდაც დაურტყა, მაგრამ არც მას გამოუვიდა რამე და არც მის თანაგუნდელებს.

წერტილი კი ულამაზესი დარტყმით გლიშიჩმა დასვა. მაკედონიელმა საჯარიმოდან გამოტანილ ბურთს მარჯვენა ისე შეაგება, პირდაპირ შორეულ „ცხრიანში" გაუშვა - 3:0.

დარჩენილ დროში თამაში ისევე მიმდინარეობდა, როგორც დაიწყო - თვალსასეირო ბევრიც არაფერი ყოფილა, მომგებმა მოიგო და ზეექვსეულის პირველი 3 ქულაც შეიმატა. გურულებთან კი, რომელიმე მეტოქე წამით მაინც თუ მოდუნდა, ვეჭვობთ, **დავით მახარაძის** გუნდმა დაუსჯელი დატოვოს.

**კობა ინასარიძე**



სახიფათო მომენტი გურიას კართან — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

> **საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი სამძიმარს უცხადებენ საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურიას" დირექტორს კობა მირზაშვილს შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**



დიმიტრი ტატანაშვილს გააქვს მეორე გოლი რუსთაველთა კარში
*ფოტო:* **fczestafoni.ge**

# ზესტაფონური სერია გრძელდება

25.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
3000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 2 |
| მეტალურგი | 0 |

1:0 საბანაძე (13. გენაძის პასით), 2:0 ტატანაშვილი (34. ლონლაძის პასით)

ზესტაფონი (4-2-2): პავლოვიჩი - ლონლაძე, რენე ფერეირა, ზ. ჭელიძე, გ. გურული - დოლიძე, შარიქაძე, კუხიანიძე (78. ჭანტურიშვილი), გენაძე (70. ფანცულაია) - საბანაძე, ტატანაშვილი (53. ჭანკოტაძე).

*სათადარიგოები:* მეშველიანი, კაპანაძე, თედ. გრიგალაშვილი, ენდელაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

მეტალურგი (4-1-4-1): ბედიაშვილი - სეთურიძე, მახვილაძე, კილასონია, საჯაია - კაკაშვილი - ქავთარაძე, ექვთიმიშვილი (46. ხაბელაშვილი), ვასაძე (65. მიქაბერიძე), გოგინაშვილი (46.გიგაური) - ჩიმაკაძე.

მწვრთნელი: მილოვან მატიასევიჩი

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, ოქროპირიძე, ლომაია, ცნობილაძე

გაფრთხილება: კაკაშვილი (26)

არბიტრი: ჯ. ხორავა

ჩემპიონატის განახლების შემდეგ „ზესტაფონმა" შთამბეჭდავი სერია შემოგვთავაზა - **გია გეგუჩაძის** გუნდმა ექვსიდან ექვსივე შეხვედრა მოიგო და ამას ზამთრის პაუზამდე „გურიასთან" მოგებულ მატჩსაც თუ დავუმატებთ, ჩემპიონატში მოგებათა 7-მატჩიანი სერია დაუგროვდა, თანაც იმერლებმა ამ შვიდივე შეხვედრაში „მშრალი" ანგარიშით იმარჯვეს. შესაბამისად, შთამბეჭდავია სერბი მეკარის **ბოიან პავლოვიჩის** სერიაც - „ზესტაფონის" მაისურით ჩატარებულ ოფიციალურ მატჩებში მას ჯერჯერობით გოლი არ გაუშვია. ამ სერიამ უკვე 540 წუთს უწია.

გუშინდელ შეხვედრაში „მეტალურგი" ბევრს ეცადა, იმერელთათვის ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია. სტუმარი გუნდი ეპიზოდებში საკმაოდ კარგადაც გამოიყურებოდა - რუსთაველები ბევრს მოძრაობდნენ და სახიფათოდაც უტევდნენ, მაგრამ ზესტაფონელთა გაცილებით მაღალმა კლასმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. გეგუჩაძის შეგირდებმა თითქმის თანაბარ თამაშში მეტოქე უპირველესად სწორედ კლასის ხარჯზე დაამარცხეს.

რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** პროლიცენზიის კურსებზეა და ქვემოქართლურ კლუბს მისი ასისტენტი **მილოვან მატიასევიჩი** გაუძღვა. შეხვედრა მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო. **გიორგი გურულმა** კარგი გადაცემა გაუკეთა **ნიკა საბანაძეს**, რომელიც კარში ერთი შეხებით ურტყამდა, მაგრამ სუსტად გამოუვიდა და **გრიგოლ ბედიაშვილს** ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია. მასპინძლები ფლანგური იერიშებით ცდილობდნენ მეტოქის გატეხას, განსაკუთრებით მარცხენა ფრთაზე გამწესებული **რევაზ გენაძე** აქტიურობდა, რომელმაც საბანაძეს საგოლედ ჩაუწოდა და ზესტაფონელთა ფორვარდმაც ლამაზი თავური დარტყმით თავისიანები სწრაფადვე დააწინაურა.

რუსთაველები მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადნენ და მწვავედაც შეუტიეს, ძალიან სახიფათოდ ურტყამდა **კახაბერ კაკაშვილი**, თუმცა სამიზნეს ოდნავ ააცილა. ასევე უშედეგო გამოდგა **ირაკლი გოგინაშვილის** მცდელობაც, **გიორგი ვასაძის** მიერ საჯარიმოს ხაზიდან დარტყმული ურთულესი ბურთი კი პავლოვიჩმა ეფექტური ნახტომით მოიგერია და ტრიბუნებისგან ოვაციებიც დაიმსახურა.

გოლის შემდეგ „ზესტაფონი" ცოტათი მოეშვა და ინიციატივა სტუმრებს „გადაულოცა", თუმცა როგორც კი მასპინძლებმა მოინდომეს და თამაში გაამწვავეს, მათმა მეორე გოლმაც არ დააყოვნა. ამჯერად საგოლე იერიში საპირისპირო ფლანგზე განვითარდა - **თემურ ლონლაძემ** მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში მოძრავ **დიმიტრი ტატანაშვილს** ბურთი თავზე დაასვა და ჩემპიონატის ბომბარდირს რუსთაველთა დამწუხრება არ გასჭირვებია - 2:0.

რუსთაველებმა თამაშში გარდატეხის შეტანა ორმაგი ცვლილებით სცადეს. შესვენების შემდეგ მოედანზე **ივანე ხაბელაშვილი** და **მერაბ გიგაური** გამოჩნდნენ, თუმცა სტუმრებმა თამაშის გამწვავება ვერ მოახერხეს.

„ზესტაფონმა" ტემპი დააგდო და მეტოქესაც არ აძლევდა თავისუფლად მოქმედების საშუალებას. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, თუ შეტევაზე მიდგებოდა საქმე, აქ მასპინძლები უფრო ჩაუქობდნენ. გოლის გატანის კარგი შანსი მიეცა საბანაძეს, რომელიც **გრიგოლ დოლიძის** ფლანგური გარღვევისა და ზუსტი გადაცემის შემდეგ ურტყამდა, მაგრამ მცირედით ააცილა.

საერთოდაც, მატჩის მეორე ნახევარი, პირველისგან განსხვავებით, არც ისე კარგი საცქერი გამოდგა. სახიფათო მომენტებიც თითებზე ჩამოსათვლელი იყო. მატჩის მიწურულს გურულს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ **ვარლამ კილასონიამ** იმარჯვა და ბურთი, ფაქტობრივად, ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მატჩიც მალევე დასრულდა, ზესტაფონმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და მომდევნო ტურში „დინამოსთან" უპრინციპულეს დაპირისპირებას კარგ განწყობაზე ხვდება.

**დავით პოხრეიძე**
ზესტაფონიდან

25.03. ივანწმინდა.
400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ჩიხურა | 1 |
| სიონი | 2 |

0:1 ლობჯანიძე (62), 0:2 უგულავა (79), 1:2 ჭელიძე (82)

ჩიხურა: სომხიშვილი, ოდიკაძე, ჭელიძე, ლომაშვილი, ჩიკვაიძე, დათუნაიშვილი (80. ჯილაური), ბეჭვაია (61. ბეჭვაია), ხმალაძე, დეკანოიძე (75. ლომია), გრიგალაშვილი, გაბედავა.

*სათადარიგოები:* თევდორაძე, ქიმაძე, წინამძღვრიშვილი, კაშია.

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

სიონი: მერლანი, სვანიძე, ფოფხაძე, თოთაძე, გოგიბერიშვილი, ცხადაძე, აბრამიძე, იმედაშვილი (60. ლობჯანიძე), აფციაური, ახალაია (75. განუგრავა), უგრეხელიძე (46. უგულავა).

*სათადარიგოები:* ზუხბაია, ბიბილეიშვილი, მამასახლისი

მწვრთნელი: ლადო ბურდული

გაფრთხილება: უგრეხელიძე (26), განუგრავა (78), ჯილაური (84)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# როგორ დაამარცხა ჩიხურამ... ჩიხურა

დიახ, ამ სენსაციური სათაურის მიზეზი საკმარისზე მეტია - „ჩიხურამ" დაამარცხა საკუთარი თავი! ეს მოხდა 62-ე და 79-ე წუთებზე, როცა სტუმრებს ორი გოლით დაწინაურების საშუალება მისცა. პირველ შემთხვევაში, ალბათ, ასეთი შეცდომა **სომხიშვილს** კარიერის განმავლობაში არ დაუშვია - ახალაიას ნაფეხარი, შორი მანძილიდან კარისკენ ჩოჩიალით მიმავალი ბურთი, რომელსაც არც დარტყმა ეთქმოდა, არც ჩაწოდება, მეკარის ხელიდან მიუგორდა იქვე მდგარ, მოედანზე ახალშესულ **ლობჯანიძეს**, რომელსაც ისღა დარჩენოდა, ცარიელ კარში გაეტანა - 0:1.

მეორეჯერ, საჯარიმოში შეღწეულმა უგულავამ ვერც დარტყმა მოახერხა, ვერც ჩაწოდება, დიდხანს იწვალა და ბუნებრივია, ბურთი **ლომაშვილის** ნადავლი გახდა. მან კი, ნაცვლად იმისა, რომ მოეშორებინა, იმავე მეტოქეს ჩააბარა. უგულავამაც სახტად დატოვა მცველებიც და კარის დარაჯიც - 0:2.

ამ კურიოზებამდე, თუმც სათასო მატჩისგან განსხვავებით, არც ერთი გუნდი არ ბრწყინავდა, საჩხერელთა უპირატესობა მაინც აშკარა იყო. სტუმრები ძალიან მედგრად იდგნენ დაცვაში და იშვიათად ახერხებდნენ კონტრიერიშებს. როგორც ჩანს, „სიონი" სულ სხვა გუნდია **კახელიშვილთან** ერთად, ეს უკანასკნელი კი დისკვალიფიცირებული იყო...

„ჩიხურას" შეტევების მოგერიებას ბოლნისელებს ერთი მიზეზიც უადვილებდათ - მსაჯი ორივე გუნდის ფეხბურთელებს აძლევდა ძალისმიერი ორთაბრძოლის საშუალებას. სტუმრები კი იმდენად ხშირად მიმართავდნენ ჯარიმაზე ან ჯარიმის ზღვარზე თამაშს, რომ თითქმის 20 წუთი უქმად გავიდა მოედანზე კოტრიალში.

და მაინც, ლოგიკური იყო, ანგარიში „ჩიხურას" გაეხსნა. 25-ე წუთზე **ოდიკაძის** ნაჯარიმალის გამოსატანად თავი არ დაზოგა **სვანიძემ**; ორიოდ წუთში საჯარიმოში სლალომით შეჭრილი **გრიგალაშვილის** (ყველაზე აქტიური ორივე გუნდიდან) წაქცევა პენალტს წააგავდა; 32-ე წუთზე მის ჯარიმას **მერლანი** დაუხვდა ფრთხილად, ხოლო 35-ე და 38-ე წუთებზე ზუსტი პასები გაუნიავეს თანაგუნდელებმა.

ყველაზე მწვავე მომენტი მაინც 47-ე წუთზე შეიქმნა, როცა **გაბედავა-გრიგალაშვილის** კომბინაციის მერე საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის შეგდებისთვის წამი არ ეყო **დათუნაიშვილს**.

ზემოხსენებული კურიოზების შემდეგაც განაგრძობდნენ საჩხერელები ბრძოლას მატჩის გადარჩენისთვის, თუმცა - არაორგანიზებულად, უსისტემოდ, ქაოსურად და ვერაფერი მოახერხეს ერთი გოლის გაქვითვის მეტი - ოდიკაძის ჯარიმის შემდეგ მცველმა **ჭელიძემ** იყოჩაღა.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან

I-VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 23 | 16 | 3 | 4 | 54 | 17 | 51 |
| 2 | ზესტაფონი | 23 | 13 | 4 | 6 | 32 | 15 | 43 |
| 3 | ჩიხურა | 23 | 11 | 5 | 7 | 41 | 35 | 38 |
| 4 | სიონი | 23 | 10 | 6 | 7 | 29 | 24 | 36 |
| 5 | მეტალურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 26 | 27 | 33 |
| 6 | გურია | 23 | 11 | 0 | 12 | 25 | 32 | 33 |

ბომბარდირები:

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (ზესტაფონი) | 14 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 13 |
| გოგა (დინამო თბ) | 9 |
| მოდებაძე (დილა/დინამო თბ) | 9 |

XXIV ტური
29 მარტი. შაბათი

გურია-სიონი
მეტალურგი-ჩიხურა
დინამო (თბ)-ზესტაფონი

# მოგონილი ინტრიგა...

…უკვე მერამდენე წელიწადია, საქართველოს ჩემპიონატის „საფირმო ნიშნად“ ის ვითომ ინტრიგა რჩება, რომელსაც... ქართული სპორტული მედია „ქმნის“! ჰო, მართლაც ასეა: რომ არა სპორტული მედია (სატელევიზიო, ბეჭდური თუ ელექტრონული), წლიდან წლამდე უარესობისკენ „მიმართული“ ჩვენი ჩემპიონატი, საერთოდაც, ყველასათვის უინტერესო გახდებოდა. თუმცა, რაც დრო გადის, აშკარად თვალნათელი ხდება ერთი ტენდენციაც: ქართველ გულშემატკივარს უკვე ის ვითომ ინტრიგაც აღარ აინტერესებს და ერთი-ორი სტადიონის გარდა, არა ერთ ქალაქსა თუ რაიონში ხუთასზე მეტი ქომაგის ხილვა უკვე განსაკუთრებულ ფაქტად მიგვაჩნია! სამწუხარო რეალობაა, მაგრამ, რას ვიზამთ: ჩვენი საკლუბო დონის დაცემასთან ერთად პირდაპირპროპორციულად მცირდება სტადიონებზე გულშემატკივართა რიცხვიც; მერე, ამდენი „უცნაურ-შედეგიანი“ მატჩების გადამკიდე, აღარ უნდა გვიკვირდეს, თუ რატომ თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ...

... ქართულ ფეხბურთში (არა მხოლოდ საკლუბოში) უამრავი პრობლემაა, წლების განმავლობაში რომ ვერ ალმოიფხვრა; აი, თუნდაც ასე მომრავლებული „საეჭვო მატჩები“, სტადიონებზე არსებული გაწუკითხაობა და აგრესია მსაჯებისა თუ მეტოქის გულშემატკივართა მიმართ; აღარაფერს ვამბობთ ჩემპიონატის სისტემაზე: გუნდების „ზედა და ქვედა ექვსეულებად“ დაყოფამ რომ აშკარად არ გაამართლა, ფაქტია! აი, ახლაც, ქვედა ექვსეულის იმ ორწრიანი ტურნირის დაწყებამდე (ისე როგორც წინა სეზონში) ერთმა გუნდმა, ფაქტობრივად, უმოტივაციო მატჩებში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მეორემ და მესამემ, შესაძლოა, ორი ტურის მერე გაინაღდოს უმაღლეს ლიგაში დარჩენა და რა გამოდის? რა, და... „სამგუნდიანი ინტრიგა“, ანუ, „სპარტაკს“, „ზუგდიდსა“ და „მერანს“ შორის ერთი იღბლიანი უნდა გამოდგეს, ორიც - უიღბლო. ესეც იმ შემთხვევაში, თუ XXV ჩემპიონატის რეგლამენტი არ დაირღვევა და მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში... გუნდების რაოდენობას არ გაზრდიან...

... „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ზედა ექვსეულის წინათქმა რომ შემოგთავაზეთ, ვისურვეთ, რომ მეორე ეტაპზე რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო „უცნაური მატჩებიც“ და „გატარებ-გამოტარებებიც“; იმავე სურვილებით ველოდებით ქვედა ექვსეულის დაწყებასაც, თუმცა, ვეჭვობთ, რომ აქაც არანაკლები „უცნაურობები“ თუ „გატარება-გამოტარება“ გველოდება. თუმცა, ისიც კარგად ვიცით, რომ ეს ეჭვი ასევე ეჭვად დარჩება...

**26.03. გორი. თ. ბურჯანაძე — 15:00**

**დილა — მერანი**

ურთიერთშეხვედრები: 8: +7 =1 -0 (21:9)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მერანი-დილა- | 1:2 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 2:0 (სთ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |
| დილა-გურია | 1:3 (სჩ) |
| მერანი-შუქურა | შეწყდა (სთ) |
| მერანი-დილა- | 1:2 (სჩ) |
| მერანი-მეტალურგი | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-მერანი | 0:0 (სჩ) |

**26.03. მცხეთა. მცხეთა პარკი — 15:00**

**ვიტ ჯორჯია — ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები: 19: +11 =5 -3 (29:11)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 5:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 1:0 (სჩ) |

**15:00 — 26.03. თბილისი. მ. მესხი (უმაყურებლოდ)**

**ტორპედო — სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები: 8: +6 =1 -1 (9:5)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დილა-ტორპედო | 2:0 (სთ) |
| ჩიხურა-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ. ტეძ) |
| სიონი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ჩიხურა | 2:3 (სჩ) |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 3:0 (სჩ) |

**VII–XII ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | დილა | 22 | 8 | 8 | 6 | 28 | 22 | 32 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 22 | 8 | 5 | 9 | 28 | 29 | 29 |
| 9 | ტორპედო | 22 | 8 | 5 | 9 | 24 | 30 | 29 |
| 10 | სპარტაკი | 22 | 6 | 2 | 14 | 19 | 32 | 20 |
| 11 | ზუგდიდი | 22 | 5 | 5 | 12 | 12 | 30 | 20 |
| 12 | მერანი | 22 | 4 | 3 | 15 | 16 | 41 | 15 |

**შინ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | დილა | 11 | 5 | 4 | 2 | 19 | 10 | 19 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 1 | 4 | 19 | 11 | 19 |
| 9 | სპარტაკი | 11 | 5 | 1 | 5 | 11 | 12 | 16 |
| 10 | ზუგდიდი | 11 | 4 | 4 | 3 | 9 | 12 | 16 |
| 11 | ტორპედო | 11 | 3 | 4 | 4 | 11 | 12 | 13 |
| 12 | მერანი | 11 | 4 | 1 | 6 | 12 | 16 | 13 |

**სტუმრად**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ტორპედო | 11 | 5 | 1 | 5 | 13 | 18 | 16 |
| 8 | დილა | 11 | 3 | 4 | 4 | 9 | 12 | 13 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 11 | 2 | 4 | 5 | 9 | 18 | 10 |
| 10 | სპარტაკი | 11 | 1 | 1 | 9 | 8 | 20 | 4 |
| 11 | ზუგდიდი | 11 | 1 | 1 | 9 | 3 | 18 | 4 |
| 12 | მერანი | 11 | 0 | 2 | 9 | 4 | 25 | 2 |



კახა კაჭარავას (მარცხნივ) სპარტაკი დღეს რევაზ ძოძუაშვილის ტორპედოს ეთამაშება

## ტორპედო-სპარტაკი

პირველი ეტაპი 1:0, 1:0

დისკვალიფიკაცია: გივი იოსელიანი (სპარტაკი)

...სამწლიანი განშორების შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა „ტორპედომ“ ჯერ IV ადგილი დაიკავა, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა; სამწუხაროდ, ტიტულებით საქართველოს მეორე გუნდს ამჯერად აბსოლუტურად განსხვავებული მიზანი აქვს - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება! შორს წაგვიყვანს იმ მიზეზთა ჩამოთვლა, თუ რატომ მოხდა ასე, თუმცა ის კი ფაქტია, რომ ექვსი თვის განმავლობაში შემადგენლობის თითქმის 100-პროცენტით ორჯერ (!) შეცვლა არც ერთი გუნდისთვის სახეირო არასდროს ყოფილა...

**რევაზ ძოძუაშვილი** საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში `ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელია. თუმცა ამ გამოცდილ სპეციალისტს დღესდღეობით აბსოლუტურად განსხვავებული მისია აკისრია - მშობლიური ქალაქის გუნდი პირველ ლიგაში დაქვეითებისაგან იხსნას. ერთი შეხედვით, „ტორპედოს“ სატურნირო მდგომარეობას კრიტიკული არ ეთქმის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნდმა სეზონის ბოლომდე დარჩენილი ხუთივე საშინაო მატჩი... თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა ჩაატაროს, თანაც - უმაყურებლოდ!

ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში არც „სპარტაკს“ უნდა უხაროდეს, თუმცა **კახა კაჭარავას** გუნდისათვის ყველა დარჩენილი ათივე მატჩი ფინალის ტოლფასია - სატურნირო მდგომარეობა სხვა რამის თქმის საფუძველს არ იძლევა.

## ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი

პირველი ეტაპი 0:0, 1:0

ზედიზედ მესამე სეზონია, „ვიტ ჯორჯიას“ მოკრძალებული მიზნები აქვს, არადა, გუნდის არსებობის 17-წლიან ისტორიაში, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, „ვეტერინარებს“ სეზონი VI ადგილს ქვემოთ არ დაუმთავრებიათ. თუმცა, საქართველოს ორგზის ჩემპიონი გუნდი არ ღალატობს საკლუბო ტრადიციას და, წლიდან-წლამდე გაახალგაზრდავების მიუხედავად, „საკუთარ სახეს“ მუდამ ინარჩუნებს.

ეგ კი არა, არც ის დაგვავიწყდეს, რომ **ზურაბ ბერიძის** გუნდმა პირველ ეტაპზე თითქმის ყველა ლიდერს წაართვა ქულები; თუმცა, ახლა აბსოლუტურად „განსხვავებული ტურნირი“ იწყება და ახალგაზრდა „ვეტერინარებს“ მაქსიმალური ძალისხმევა მართებთ გასავარდნო ზონასთან დღესდღეობით არსებული 9-ქულიანი ჰანდიკაპის შესანარჩუნებლად.

... ზამთრის პაუზის მერე „ზუგდიდმა“ 6 ქულა შემატა თავის არქივს და, საერთოდაც, პირველ ეტაპთან შედარებით გუნდი ბევრად უფრო გაძლიერებულად მიგვაჩნია. ფაქტია, რომ **გიორგი დარასელიას** გარკვეული დრო სჭირდებოდა ახალ გუნდში თავისი იდეების რეალიზებისათვის და ეს ყველაფერი „ზუგდიდის“ შედეგებმაც დაამტკიცა. ისე კი, „ტორპედო“-“მერანის“ შეხვედრის მსგავსად, „ვიტ ჯორჯია“-“ზუგდიდის“ მატჩშიც ძალიან ძნელია წყვილის ფავორიტის დასახელება...

## დილა-მერანი

პირველი ეტაპი 3:0, 2:1

დისკვალიფიკაცია: **ალექსანდრე კვახაძე** (დილა) - **ვლადიმერ ჯოჯუა, რაფაელ უკუბილე** (ორივე - მერანი)

ბოლო ორი სეზონი „დილას“ ისტორიაში ყველაზე წარმატებული იყო: 2012 წელს გუნდმა საქართველოს თასი პირველად მოიპოვა, შარშან კი ასევე პირველად შეძლო საპრიზო სამეულში შესვლა და საბოლოოდ ვერცხლის მედლებიც დაისაკუთრა.

ისიც კარგად ეხსომება „ლელოს“ მკითხველს, რომ „დილას“ ამ სეზონის დაწყების წინაც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევდით; თუმცა, ევროტურნირებზე მართლაც ღირსეული გამოსვლის შემდეგ გუნდს შიდა სარბიელზე არასტაბილურობა დასჩემდა, ამას უამრავი საკადრო გადაადგილება თუ ცვლილება მოჰყვა და ზამთრის პაუზის მერე საგრძნობლად გადახალისებულმა „დილამ“ ოთხ მატჩში მხოლოდ ოთხი ქულა მოიპოვა.

როგორც მერე გაირკვა, თურმე, ეს არასაკმარისი აღმოჩნდა ზედა ექვსეულში მოსახვედრად (კონკურენტებმა იმ ოთხ მატჩში ბევრად უკეთესი შედეგი უჩვენეს), ისე როგორც არ აღმოჩნდა საკმარისი პირველი ეტაპის ბოლო ტურში გამარჯვებაც, როცა ჯერ კიდევ **რამაზ სოლოლაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დილამ“ სტუმრად „მერანი“ დაამარცხა, დღევანდელი მეტოქე, რომელსაც, „დილასგან“ განსხვავებით ქულები ჰაერივით სჭირდება; აი, გორელთა გუნდისათვის კი დღეიდან ყოვლად უმოტივაციო გათამაშება იწყება - „დილას“ ქულათა ისეთი სოლიდური მარაგი აქვს, დაქვეითების საფრთხე არ ემუქრება. დღევანდელი მატჩის ერთადერთი ინტრიგა კი მასპინძელთა გუნდის ახალი მწვრთნელის ფაქტორი თუ იქნება...

**გია ტუხაშვილი**



არეულობა მერანი-შუქურას მატჩის ბოლოს

დანაშაული და სასჯელი

# მერანის მარტვილობა

## სადისციპლინო კომიტეტმა მერანი, ფაქტობრივად, პირველ ლიგაში გაისტუმრა

ქობულეთის „შუქურასთან“ საქართველოს თასის ერთი კვირისწინანდელ მეოთხედფინალურ მატჩში მომხდარი უწესრიგობის გამო, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მარტვილის „მერანი“ ისე დასაჯა, სასწაული თუ არ მოხდა, მეგრულ კლუბს მომავალ სეზონში პირველ ლიგაში ვნახავთ - უმაღლესი ლიგიდან ისედაც გასავარდნად განწირულ „მერანს“ დისციპლინარებმა სანქციად 5 საშინაო მატჩის უმაყურებლოდ გამართვა დააკისრეს და ამით, ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი ამ გუნდს, ფაქტობრივად, საწამებლად დაუტოვეს. თანაც, მარტვილელები საშინაო მატჩებს შინ არც ატარებენ - მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო „მერანი“ უკვე კარგა ხანია მეტოქეებს სამტრედიაში მასპინძლობს.

ასე იყო 20 მარტის მეოთხედფინალშიც. „მერანი“, რომელსაც პირველი შეხვედრა ქობულეთში 0:0 ჰქონდა ნათამაშები, „შუქურას“ „ეროსი მანჯგალაძეზე“ დაუხვდა და თან მარტვილიდან ერთგული ქომაგებიც იახლა. საპასუხო შეხვედრის ბოლო წუთისთვის ანგარიში 2:2 იყო და ნახევარფინალშიც, შესაბამისად, აჭარლები გადიოდნენ...

მატჩის ბოლო წუთზე მარტვილელებმა თითქოს გამარჯვების გოლი გაიტანეს, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს და მონასტერიც მაშინ აირია: „მერანის“ ქომაგები ჯერ მოედანზე გადავიდნენ და მსაჯებთან ფიზიკური ანგარიშსწორება სცადეს, გასახდელისკენ მიმავლებს კი ტრიბუნიდან სხვადასხვა საგნები დაუშინეს.

საბოლოოდ, მატჩი ჩაიშალა, არბიტრ **თორნიკე გვანცელაძის** ბრიგადამ კი გაშმაგებულ ქომაგებს თავი გაჭირვებით დაალწია. ფეხბურთის ფედერაციის სახელზე დაწერილ პატაკში მსაჯებმა ყველაფერი სიტყვა სიტყვით აღწერეს და აგერ, შედეგიც:

**სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ადგილობრივ ქომაგთა მიზეზით მატჩის ჩაშლისთვის „მერანი“ უახლოეს ხუთ საშინაო შეხვედრას მაყურებლის გარეშე ჩაატარებს;**

**ამას გარდა, მაყურებელთა უსაქციელობისთვის „მერანი“ დაჯარიმდა 10 000 ლარით;**

**ტრიბუნიდან სხვადასხვა საგნების სროლისთვის, რამაც მსაჯების დაზიანება გამოიწვია, მარტვილის „მერანი“ 1 500 ლარით დაჯარიმდა;**

**„მერანს“ „შუქურასთან“ ჩაეთვალა ტექნიკური წაგება 0:3 და, შესაბამისად, თასისთვის ბრძოლას ქობულეთელები გააგრძელებენ;**

**„მერანის“ მწვრთნელის თანაშემწე ბაგრატ ხელაია, რომელმაც არჩათვლილი გოლის შემდეგ მსაჯთა ბრიგადა გინებით აიკლო, 500 ლარს გადაიხდის.**

მოედანზე მეორე გუნდიც იყო და დისციპლინარები, აბა, მხოლოდ „მერანს“ რატომ დასჯიდნენ?! „მატჩის მე-60 წუთიდან პიროტექნიკის გამოყენებისთვის „შუქურა“ დაჯარიმდა ათასი ლარით“, - წერია სადისციპლინო კომიტეტის დადგენილებაში და ნება გვიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ მაშხალებს ქომაგები სხვა მატჩების დროსაც ხშირად ანთებენ, მაგრამ ამის გამო დასჯილი ჯერ არავინ გვინახავს.

ბაგრატ ხელაიას მსგავსად, დისციპლინარებმა „შუქურას“ დირექტორი **რევაზ ჩელებაძეც** დასაჯეს. შესვენებისას ის მსაჯებს თურმე გასახდელში შეუვარდა და არცთუ თბილი სიტყვებით მიმართა. ამის გამო ის 1 200 ლარს გადაიხდის.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● აქტუალური თემა

# 16-გუნდიანი ჩემპიონატი: უტოპია თუ ვაჭრობა?

„ლელოსთან“ ინტერვიუში **მურთაზ ხურცილავამ** განცხადა, რომ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის სასურველი იქნება, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 12-დან 16-მდე გაზრდა, ხოლო პირველ ლიგაში A და B ზონების გაერთიანება და მონაწილეთა 18 გუნდამდე შემცირება.

ამ მოსაზრებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უმრავლესობას იდეა არ მოსწონს. თან ამ საკითხში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც - საქმე ისაა, რომ გუნდების რაოდენობის გაზრდა წინააღმდეგობაში მოდის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის, **აკაკი ლოდიას** პროექტთან („ლელო“ ამაზე წერდა), რომელიც, დიდი ალბათობით, სახელმწიფო პროგრამის ერთგვარი ჩონჩხი გახდება.

პირველი ლიგის ერთ ზონად გაერთიანება პირველად სწორედ ლოდიამ ახსენა, მაგრამ მისი პროგრამა, ხურცილავასა და საფეხბურთო სამყაროს ნაწილისგან განსხვავებით, უმაღლეს და პირველ ლიგებში გუნდების შემცირებას ითვალისწინებს და არა გაზრდას - ეს პრინციპული განსხვავებაა.

*„შესაძლოა, უმაღლეს და პირველ ლიგაში კლუბების რაოდენობა შემცირდეს. შესაბამისად, მოსაწვევია აღმასკომის სხდომა და ახალ სახელმწიფო პროგრამას უნდა მოერგოს ჩემპიონატის კალენდარი და დებულება. უმაღლეს ლიგაში 12 ან 10 გუნდი უნდა იყოს, პირველში კი - 18-მდე, რითიც უფრო ძლიერი და საინტერესო პირველი ლიგა გვექნება. დანარჩენი გუნდები დაბალ ლიგებში გადანაწილდებიან. პირადად მე 10-გუნდიანი უმაღლესი ლიგის მომხრე ვარ, რადგან ოთხ წრედ 36 ტური გაიმართება. გუნდებისა განვითარებისა და ფეხბურთელების ზრდისთვის სასურველია მეტი მატჩი, თანაც ამ სისტემაში ქულაც არავის დაეკარგება. როდის მოხდება ლიგებში რეორგანიზაცია, ახალ სეზონამდე თუ მერე, ამ საკითხს სახელმწიფო კომისია უახლოეს დღეებში განიხილავს, გადაწყვეტილებას კი აღმასკომი მიიღებს. ძალიან დიდ მნიშვნელობას შეიძენს კლუბების ლიცენზირება“*, - თქვა ლოდიამ.


ასეთი სტადიონებით გუნდების რაოდენობის გაზრდა წარმოუდგენელია

აშკარაა, რომ სახელმწიფო სახსრების ეკონომიისკენ იხრება. ლოდია ამბობს, რომ უმაღლეს და პირველ ლიგაში მოასპარეზე 39 გუნდიდან (12 - უმაღლესში, 27 - პირველში), შესაძლოა, მაქსიმუმ 30 დარჩეს, დანარჩენები რეგიონულ ლიგებში გადავანაწილოთო, საფეხბურთო სამყაროს ნაწილს კი ამ ციფრის 34-მდე გაზრდა უნდა, თანაც უმაღლესი ლიგის ხარჯზე. ეს კი დამატებით 6 მილიონს ლარს საჭიროებს, რადგან წინასწარი მონაცემებით, ერთ კლუბზე 1,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ამაზე სახელმწიფო არ წავა - პირველ ლიგაში 27 გუნდის 18-მდე შემცირების იდეა სწორედ ამაზე მიუთითებს.

რეალურად რომ ვთქვათ, ახლა გუნდების რაოდენობაზე ლაპარაკი ვაჭრობას ემსგავსება. აბსოლუტურად სწორია „ზესტაფონის“ პოზიცია - უმაღლეს ლიგაში 12 გუნდიც ბევრია, რადგან მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა 4-5 გუნდს თუ აქვს, დანარჩენები თავიანთ საშინაო მატჩებს სხვა ქალაქებში ატარებენ და ეს რატომღაც გვავიწყდება. ასეთ პირობებში, უმაღლესი ლიგის გაფართოებით კიდევ უფრო სუსტ ჩემპიონატს მივიღებთ. მაგრამ როგორც კი ფულზე მიდგება ლაპარაკი, გონივრულ არგუმენტებს „მეტი ფული გვინდა!“-ს ძახილი სჭარბობს.

გუნდების გაზრდის მომხრეები არ ითვალისწინებენ უეფას ბოლო წლების პოლიტიკას, რომელიც საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნებს ეყრდნობა. წესით, თავად საფეხბურთო სამყარო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ სახელმწიფო სახსრებით ეს უდიდესი პრობლემა მოგვარდეს.

გუშინ „ლელოში“ ვწერდით, რის გამო არ აძლევდა ლატვიის ფეხბურთის ფედერაცია რიგის „სკონტოსა“ და დაუგავპილსის „დაუგავას“ უმაღლეს ლიგაში თამაშის ლიცენზიას. რიგელები შიდასაკლუბო და სახელმწიფო უწყებების მიმართ დავალიანებას ვერ ისტუმრებდნენ. „დაუგავა“ კი უეფას მოთხოვნას არღვევდა, რადგან მისი საფეხბურთო აკადემია კლუბის ოფისიდან (ქალაქიდან) 50 კმ-ზე მეტით არის დაშორებული.

ჩვენთან ფეხბურთელების მიმართ დავალიანება ლამის ყველა კლუბს აქვს. გარდა ამისა, უმაღლესი ლიგის ძალიან ცოტა კლუბს აქვს საკუთარი სტადიონი, ბაზა, საცხოვრებელი კორპუსი, საკვები ბლოკი და საკუთარი საფეხბურთო აკადემია. ამ დროს, გუნდების რაოდენობის გაზრდით, ლიცენზირებულთა შრომას ხაზს გადავუსვამთ, უქონლებს წავახალისებთ, უეფას მოთხოვნებს კი აბუჩად ავიგდებთ.

ლიგის გაფართოების იდეას ყოველთვის იმ გუნდების მხარდამჭერები გვახვევენ თავს, რომლებიც უმაღლესში უშრომლად მოხვედრაზე ან ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრობენ და არა - კლუბის განვითარებაზე. მაგრამ დღეს საქართველოში 16 ლიცენზირებული კლუბი არ არის. მათი მთავარი არგუმენტია, რომ ბევრ გუნდში ბევრი ფეხბურთელი გაიზრდება. ესეც აბსურდია - გუნდში, რომელსაც არ აქვს საკუთარი სტადიონი, ბაზა, საცხოვრებელი კორპუსი და საფეხბურთო აკადემია, მოთამაშეები როგორც „იზრდებიან“, ჩემპიონატის მატჩებშიც კარგად ჩანს.

გადავხედოთ, ჩვენებრ პატარა ქვეყნებში რამდენგუნდიანი ჩემპიონატები ტარდება და ყველაფერი ცხადი გახდება: **ალბანეთი - 12, აზერბაიჯანი - 10, სომხეთი - 8, მოლდოვა - 12, სლოვაკეთი - 12, კვიპროსი- 14, ესტონეთი - 10, ლატვია - 10, ლიტვა - 10, მალტა - 12, ხორვატია - 10, სლოვენია - 10, მაკედონია - 12, ჩერნოგორია - 12, ბოსნია - 16, შოტლანდია -12, უელსი - 12, ირლანდია - 12, ჩრ. ირლანდია - 12, ფინეთი - 12, დანია - 12, ისრაელი - 14, ნორვეგია - 16.**

როგორც ხედავთ, 16-გუნდიანი ჩემპიონატი მხოლოდ ბოსნიასა და ნორვეგიას აქვთ, მაგრამ საქართველო ფინანსურად და ინფრასტრუქტურით რომელ მათგანს შეედრება? ჩვენზე გაცილებით მეტი მოსახლეობისა და ფინანსების მქონე ავსტრია (10) და შვეიცარია (12) კმაყოფილდებიან მცირეგუნდიანი ჩემპიონატებით, ჩვენთან კი ლიგის გაფართოების მოთხოვნა ახირებას ემსგავსება, საპრეზიდენტო არჩევნებამდე კი - ვაჭრობას.

● გამოხმაურება

## შევარდნაზე სასჯელი მკაცრდება

### ინჯია: ხალხის გამო ჩვენ რატომ უნდა დავზარალდეთ?!

სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძეზე“ გამართულ საქართველოს თასის საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. სამწუხაროდ, მარტვილის „მერანისა“ და ქობულეთის „შუქურას“ შორის მატჩი მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეწყდა და მისი შედეგი არა მოთამაშეებმა, არამედ სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა. ამავე ნომერში წაიკითხავდით, რომ „მერანს“ ტექნიკური წაგება 0:3 ჩაეთვალა.

სასჯელს მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტ **ფრიდონ ინჯიას** გამოხმაურება მოჰყვა. ის მიიჩნევს, რომ სასჯელი, 12 000 ლარი (სამი სხვადასხვა სანქციის ჯამი), მეტისმეტია და კლუბი მაყურებლის ხულიგნობის გამო არ უნდა დაისაჯოს. ამას გარდა, მან საინტერესო რამ თქვა:

*„ბოლო დროს, მსგავსი ფაქტები გახშირდა. სამტრედიაში მომხდარის გამო, პოლიციამ 3 გულშემატკივარი დააკავა და მათ ადმინისტრაციული და ფულადი სასჯელი დააკისრა - თუ არ მეშლება, 500-500 ლარი. როგორც შევიტყვეთ, ასეთი ამბების განმეორების შემთხვევაში, შესაძლოა, სსს-ს გაცილებით მკაცრი რეაქცია ჰქონდეს. მის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ შევიტყვე, რომ ამიერიდან საქმეს სხვაგვარი კვალიფიკაცია მიეცემა და მოედანზე შეჭრილ გულშემატკივრებს დაუფიქსირებენ არა ადმინისტრაციულ გადაცდომას, არამედ საქმეს ხულიგნობის ფაქტზე აღძრავენ. ვფიქრობ, ეს დროული ნაბიჯი იქნება, რადგან ასეთი ხალხის გამო დავ ზარალდით „მერანიც“, „ტორპედოც“ და გორის „დილაც“, სოლიდური ფულადი ჯარიმები დაგვიწესეს და თამაშების უმაყურებლოდ გამართვა მოგვიწევს“*, - ნუხს ინჯია.


ფრიდონ ინჯია

● პრობლემა

## მსაჯობაც გამოსაძიებელიაო...

### ბესიკ შეროზია: დროა, ეს შოუ დამთავრდეს!

სფფ-ს გადაწყვეტილება ცნობილია: ქართული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ქვეყანაში მოქმედი ტოტალიზატორების მეპატრონეები გააფრთხილა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ფსონები არ მიიღონ. არაერთ მატჩზე გამოითქვა ვარაუდი, რომ გარიგებული შედეგით დასრულდა და ეს უარყოფითად აისახება, როგორც კონკრეტული კლუბის, ისე მთლიანად ქართული ფეხბურთის იმიჯზე. ფედერაცია ამბობს, რომ ეჭვი სწორედ ტოტალიზატორებსა და ფსონების დამდებ პირებზე ჩნდება.

საქართველოში მოქმედ ტოტალიზატორებს სფფ-ის წერილობითი თხოვნა უკვე დაეგზავნათ. ამ საკითხზე „ლელოსთან“ კომენტარი ქობულეთის „შუქურას“ მთავარმა მწვრთნელმა **ბესიკ შეროზიამ** გააკეთა:


ბესიკ შეროზია

*„ადრე ფეხბურთელები მოედანზე 100 პროცენტით იხარჯებოდნენ. ბოლო დროს კი, ფეხბურთი სხვა რამ გახდა. სანახაობის ნაცვლად, უცნაურ შოუს დაემსგავსა და ძალიან დაშორდა იმ სულისკვეთებას, რომლის გამოც ხალხს უყვარდა. ვისურვებ, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი წესიერი ადამიანი იყოს, რომლებიც მის მომავალზე იფიქრებენ და არა სხვა რაღაცებზე. ჩვენ უამრავი ტალანტი გვყავს. მათ ნიჭის გამოვლენაში ხელი ეშლებათ. დააკვირდით, ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები შესარჩევ ციკლებში წარმატებით გამოდიან და, ფაქტობრივად, არც ერთ შესარჩევში არ ჩარჩენილან. მაგრამ იგივე ბავშვები ველარ იზრდებიან, ვერ ვითარდებიან და ეროვნულ ნაკრებში ველარაფერს აღწევენ. მგონია, რომ რაც უფრო მალე დავუსვამთ წერტილს ამ შოუს, მით უფრო მალე განვითარდება ქართული ფეხბურთი“.*

ამ კუთხით საკუთარი მოსაზრება აქვს მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტ **ფრიდონ ინჯიასაც:**

*„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება, საეჭვო მატჩების გამოძიებისა და ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ, დროული იყო. მართლაც სასურველი იქნება, რომ ამ ჯგუფმა ითანამშრომლოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. სხვაგვარად, გარიგებული მატჩების გამოვლენა შეუძლებელი იქნება. ამავე დროს, საჭიროდ მიმაჩნია, რომ პარალელურ რეჟიმში ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელიც მსაჯების საქმიანობასაც გამოიკვლევს. ფეხბურთში ბევრი უცნაური მოვლენა თუ ხდება, ლოგიკურად, მასში მსაჯებიც უნდა მონაწილეობდნენ“*, - ამბობს ინჯია.

საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის (სფა) პრეზიდენტმა **ბესიკ აბაშიძემ** „ლელოსთან“ ინტერვიუში საინტერესო რამ ბრძანა: *„ჩემი აზრით, გარიგებული მატჩების შედეგები მოთამაშეთა დონეზე არ უნდა წყდებოდეს. ვფიქრობ, საქმე გვაქვს კარგად ორგანიზებულ სინდიკატთან, რომელიც საქართველოში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობით სარგებლობს და ფეხბურთელებსა და გაჭირვებული გუნდების ხელმძღვანელებს დანაშაულზე აქეზებს. მოგეხსენებათ, ხელფას-პრემიებს დროულად ბევრ კლუბში ვერ არიგებენ და წამქეზებლებს სწორედ ეს აწყობთ - ცდუნებას ყველა ხომ ვერ უძლებს... ზუსტად არ ვიცი, სად და რომელი ქვეყნის ტოტალიზატორებში იღებენ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონებს, მაგრამ ვიცი, რომ აზიური ტოტალიზატორები არიან დაინტერესებულნი. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ფსონებს ჩვენი დაბალი ლიგების თამაშებზე იღებენ“.*

საინტერესოც სწორედ ისაა, ამ აზიური ტოტალიზატორებისთვის „კისრის მოგრეხას“ როგორ აპირებენ? ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ გარიგებულ მატჩებზე გამოძიება დაიწყო და ეჭვმიტანილთა კონკრეტული გვარებიც დასახელდა, მაგრამ რა უშლის ხელს საქმის ბოლომდე გამოძიებას, ეს დღესაც უცნობია.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# რას მღეროდა სმოლინგი ბოლო ხმაზე

„მანჩესტერ იუნაიტედის" 24 წლის ცენტრალურმა მცველმა **კრის სმოლინგმა** 9-10 დღის წინ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და როგორც ირკვევა, უფეხბურთოდ ცხოვრება უახლოესი ერთი თვის განმავლობაში მოუწევს. მართალია, კრისი ვერ ვარჯიშობს, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მას სპორტული რეჟიმის დარღვევის ნება ეძლევა. ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა „მანჩესტერ ივნინგ ნიუსიდან" ფეხბურთელი კვირას ღამის სამი საათის შემდეგ ქუჩაში დააფიქსირეს, რაც საზოგადოების განსჯის თემა რამდენიმე საათში გახდა. გამოცემის ინფორმაციით, სმოლინგი ბოლო ხმაზე მღეროდა „ეშმაკების" გულშემატკივართა ერთ-ერთ საყვარელ სიმღერას, ჩვენ „იუნაიტედი" ვართ და რასაც გვინდა იმას ვიზამთო. ინფორმაცია მივიდა **დევიდ მოიესის** ყურამდეც. მიუხედავად კლუბისადმი სიყვარულის უჩვეულო ფორმებით გამოხატვისა, შოტლანდიელმა შეგირდი „მკაცრად დასაჯა", თუმცა რას ნიშნავს სიმკაცრე „იუნაიტედის" პრესსამსახურს არ დაუკონკრეტებია. ვრცელ კომენტარზე უარი თქვა თავად მოიესმაც: *„კრისს ამ თემაზე უკვეველაპარაკე. მას გასაგებად ავუხსენი, რომ არ მინდა, ჩემი ფეხბურთელები მსგავს ისტორიებში ეხვეოდნენ".*



კრის სმოლინგი ღამის მანჩესტერს „იუნაიტედზე" უმღეროდა

აქვე იმის გახსენებაც შეიძლება, რომ სმოლინგისთვის ეს პირველი სკანდალი არ არის. იანვრის პირველ ნახევარში ის ერთ-ერთ კერძო წვეულებაზე თვითმკვლელი ტერორისტის ჩაცმულობით გამოცხადდა, რითაც დამსწრე საზოგადოება შოკში ჩააგდო, რის გამოც, მოგვიანებით, ბოდიში მოიხადა.

არსენალი



# პირველად ვენგერის მემკვიდრეზე

ჩრდილოლონდონელთა თავკაცად მუშაობის 18 წლის განმავლობაში ინგლისურ პრესას ტერმინი „არსენ ვენგერის მემკვიდრე" თითქმის არ უხსენებია. ხშირად იწერებოდა, რომ ფრანგი სამუშაოდ სხვა ქვეყანაში მიდიოდა, სახელდებოდა კონკრეტული კლუბებიც, სადაც **ვენგერი** უნდა დანიშნულიყო, მაგრამ „არსენალი" და ახალი მწვრთნელი ეს რაღაც ახალია. მიზეზი მრავლად არის. სხვა თუ არაფერი 64 წლის ფრანგ სპეციალისტს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, შანსის მიუხედავად კი 9-წლიან უტიტულო სერიას ბოლო არ უჩანს, რადგან პრემიერლიგაში გამარჯვების შანსი ისევ ოცნებად დარჩა, ასოციაციის თასის მიმდინარე გათამაშება კი ჯერაც მხოლოდ პერსპექტივაა და მეტი არაფერი. ამას გარდა „მეთოფეები" უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებიან პრემიერლიგის გრანდებთან. ამაში დასარწმუნებლად მარტო სტატისტიკაზე თვალის გადავლებაც კმარა: „ჩელსი" 0:0, 0:6, ლივერპული 2:0, 1:5, „მანჩესტერ სიტი" 3:6, „მანჩესტერ იუნაიტედი" 0:1, 0:0. ვენგერი სამომავლო გეგმებზე ლაპარაკს თავს არიდებს. იქამდე კი, ვიდრე პერსპექტივა ბურუსითაა მოცული, კლუბის ხელმძღვანელობა ვალდებულია, შესაძლო კრიზისულ სიტუაციას მეტ-ნაკლებად მომზადებული შეხვდეს. ვენგერის წასვლის შემთხვევაში ინგლისური პრესა პოსტზე დანიშვნის ყველაზე რეალურ კანდიდატურებს ასახელებს. ესენი არიან: **რობერტო მარტინესი** (ევერტონი), **იურგენ კლოპი** (დორტმუნდი), **ბრენდან როჯერსი** (ლივერპული) და ვენგერის ასისტენტი **სტივ ბოულდი**.

იმედიანად არის განწყობილი „არსენალის" ყოფილი პრეზიდენტი **პიტერ ჰილვუდი**, ვინც კლუბის მმართველებთან მჭიდრო ურთიერთობას პოსტიდან წასვლის შემდეგაც ინარჩუნებს: *„ვენგერის შესახებ ივან გაზიდისს (აღმასრულებელი დირექტორი) ველაპარაკე და ვიცი, რომ მისი პოზიცია კლუბს პრობლემებს არ უქმნის. გაზიდისი დარწმუნებულია, რომ ახალ ხელშეკრულებას ზაფხულზე აუცილებლად მოეწერება ხელი. უბრალოდ არსენს არ უყვარს შუა სეზონში მსგავს თემებზე ყურადღების გადატანა".*

არსენ ვენგერის ბედი ჯერ არ გარკვეულა

ბრაზილია 2014



მსოფლიოს ჩემპიონატმა შესაძლოა არენა „ბეირა რიო" მოისაკლისოს

# კრიზისი ბრაზილიაში

ბრაზილიური პორტუ ალეგრის მერის **ჟოზე პორტუნატის** თქმით, მძიმე ფინანსური კრიზისის გამო ქალაქი მზად არის, უარი თქვას მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების მასპინძლობაზე. არადა, წესით, არენა „ბეირა რიოზე" ჯგუფური ეტაპის ოთხი (საფრანგეთი-ჰონდურასი, ავსტრალია-ჰოლანდია, კორეა-ალჟირი, ნიგერია-არგენტინა) და პლეი ოფის პირველი ეტაპის ერთი შეხვედრა უნდა გაიმართოს. თებერვალში ამ სტადიონზე სატესტო თამაში უკვე გაიმართა, თუმცა მინდვრის საფარი ზუსტად ორ კვირაში უკვე გამოუსადეგარი გახდა და მას მერე უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. პორტუნატის მტკიცებით, თუკი არ გადაიხედება კანონმდებლობა და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორთა კონტრაქტორი ფირმებისთვის საგადასახადო ტვირთი არ შემსუბუქდება, ქალაქის ბიუჯეტი ვერ მოახერხებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

სამწუხაროდ, პორტუ ალეგრის პრობლემები გამონაკლისი არ არის. ბრაზილიაში სტადიონებისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა თუ რემონტი ჯერ კიდევ მიდის. ამ ყველაფერს ემატება ადგილობრივი ჩინოვნიკების კორუფცია და რაც მთავარია, მასობრივი საპროტესტო აქციები. რიგითი მოქალაქეების პრობლემებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ფონზე ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ამბები

## იან მვილა ინგლისში წავა

ყაზანის „რუბინის" 23 წლის ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი **იან მვილა** ზაფხულზე კარიერას ერთ-ერთ ინგლისურ კლუბში განაგრძობს, ირწმუნება ბრიტანული „დეილი ექსპრესი". პრემიერლიგელთა მხრიდან მვილასადმი ინტერესი საკმაოდ დიდია. მისი გადაბირება „არსენალს", „ტოტენჰემსა" და „ევერტონს" სურთ.

## ჰიდინკის მეორე შანსი

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ 67 წლის **გუუს ჰიდინკთან** 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე გააფორმა კონტრაქტი. ვეტერანი სპეციალისტი „ნარინჯისფერებს" ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარებს და პოსტზე **ლუის ვან გაალს** შეცვლის. ჰიდინკი ეროვნულ გუნდს 1994/98 წლებში წვრთნიდა. 1998-ში საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მისმა შეგირდებმა 1/2-ფინალში გააღწიეს. მას მერე ჰიდინკი მუშაობდა როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. სულ ბოლოს ის მახაჩყალის „ანჟის" ედგა სათავეში, საიდანაც გასული წლის ივლისში წავიდა. გარკვეულია მისი მომავალი ასისტენტების ვინაობაც: **დანი ბლინდი** და **რუუდ ვან ნისტელროი**. ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **იაპ სტამმა** კი შეთავაზებაზე უარი თქვა. ასე რომ, დიდი ალბათობით მას ერთი თანაშემწე კიდევ დასჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინგლისი. გამოტოვებული მატჩები

# იუნაიტედი ისევ არ ვარგა

„მანჩესტერ იუნაიტედმა" დერბიმდე მიჯრით ორ შეხვედრაში იმარჯვა და თანაც ორჯერვე მშრალად, მაგრამ დაცვაში არსებული პრობლემები არსად გამქრალა. მოდი, გამოვტყდეთ, „ეშმაკებს" არც „ოლიმპიაკოსთან" და არც „ვესტ ჰემთან" ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ. „ოლდ ტრეფორდზე" ყველაფერი ძველებურად იყო. მომენტებში **დევიდ მოიესის** ბიჭებს არა უშავდათ. ხშირად გარბოდნენ ელვისებურ კონტრშეტევებზე, მაგრამ არა და არ გამოსდიოდათ ბოლო პასი. ორი კინკილა ნახევრად საგოლე მომენტის ჩათვლა აქტივში კი ნამეტანი იქნება. ერთხელ **ჯო ჰარტმა მარუან ფელაინის** აული, მეორედ კი **ხუან მატამ** ხარიხას გადააცილა. „იუნაიტედის" მხრივ ცდებოდა ყველა. **დავიდ დე ხეაც** კი, ვის მიმართაც გულშემატკივარს სეზონის განმავლობაში პრეტენზია ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ესპანელმა მე-18 წუთზე „იუნაიტედი" საკუთარი შეცდომის მერე თავადვე იხსნა. პირველის მსგავსად „იუნაიტედმა" ორი საგოლე მომენტი (ამჯერად უკვე რეალური) მეორე ნახევარშიც შექმნა. **რაფაელის** გადაცემის შემდეგ **დენი უელბეკი** კარისკენ ზურგით მდგარი ურტყამდა, თუმცა „სიტის" ამ შემთხვევაში ცოტა გაუმართლა კიდეც, რადგან ჰარტს დარტყმა უფრო მოხვდა, ვიდრე აილო. აი, მეორე მომენტში კი მეკარემ ნამდვილად ივაჟკაცა, როცა **რუნის** ჯარიმა შორეული მაღალი კუთხიდან მოხსნა.

რაც შეეხება „ქალაქელებს": **მანუელ პელეგრინი** თამაშის დაწყებამდე ხაზს უსვამდა, რომ მის გუნდს მძლავრი სტარტი სჭირდებოდა, რადგან მეტოქეს ეს ხშირად თავგზას ურევდა. ჩილელის მითითებების შესასრულებლად ფეხბურთელებს 45 წამი ეყოთ. **სამირ ნასრის** დარტყმულის შემდეგ ძელისგან ასხლეტილ ბურთთან პირველი **ედინ ჯეკო** გაჩნდა და ცარიელი კარი დალაშქრა. აგრესიული იყო სტარტი შესვენების შემდეგაც. 52-ე წუთზე პირველად **ფერნანდინიომ** „მოუსინჯა ფხა" და ხარიხას თავით სულ ცოტათი ააცილა, 56-ეზე კი ისევ და ისევ უკანახაზელთა უთავბოლობის გამო, იმავე ჯეკომ კუთხურის შემდეგ სხვაობა ორამდე გაზარდა. ბოლო წუთზე **იაია ტურეს** „ფულჰემთან" თამაშიდან გატანილი გოლის ტყუპისცალით შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ აღარ გარისკა. ბურთი ოდნავ გაისწორა და დაბალი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**სუონსი (4-2-3-1):** ვორმი - რანხელი, ჩიკო, უილიამსი, ტეილორი (73. დევისი) - ბრიტონი, შელვი (79. პ. ერნანდესი) - დე გუზმანი, მიჩუ (63. დაიერი), რუტლეჯი - ბონი

**გაფრთხილება:** - ბონი

**კარში დარტყმა:** 13-8 (4-2) **კუთხური:** 7-0 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 59 937

**იუნაიტედი-სიტი 0:3**

**გოლები:** 0:1 ჯეკო (1), 0:2 ჯეკო (56), 0:3 ი. ტურე (90)

**იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - რაფაელი, ჯონსი, ფერდინანდი, ევრა - კერიკი, კლევერლი (46. კაგავა), ფელაინი (66. ვალენსია), მატა - რუნი, უელბეკი (77. ხ. ერნანდესი)

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კლიში - ტურე, ფერნანდინიო - ნავასი (68. ხ. გარსია), დ. სილვა, ნასრი (74. მილნერი) - ჯეკო (79. ნეგრედო)

**გაფრთხილება:** უელბეკი, ფელაინი - კომპანი, ფერნანდინიო

**კარში დარტყმა:** 10-13 (4-4) **კუთხური:** 5-8 **თამაშგარე:** 1-3 **ჯარიმა:** 12-8 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 75 203

**ნიუკასლი-ევერტონი 0:3**

**გოლები:** 0:1 ბერკლი (22), 0:2 ლუკაკუ (52), 0:3 ოსმანი (87)

**ნიუკასლი (4-4-2):** კრული - იანგა-მბივა (75. მარვო), უილიამსონი, კოლოჩინი, დამეტი - ტიოტე, ანიტა, გუფრანი (90+1. შ. ამეობი), სისოკო - სისე, დე იონგი (59. ბენ არფა)

**ევერტონი (4-2-3-1):** ჰოვარდი - კოულმენი, დისტენი, სტოუნსი, ბეინსი - ბერი, მაკარტი - ოსმანი, ბერკლი (92. ნეისმიტი), დელოფეუ - ლუკაკუ

**გაფრთხილება:** - ბერი

**კარში დარტყმა:** 16-8 (3-6) **კუთხური:** 9-8 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 8-10 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 47 622



შეხვედრის გმირი ედინ ჯეკო დუბლს აღნიშნავს

**არსენალი-სუონსი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბონი (11), 1:1 პოდოლსკი (73), 2:1 ჟირუ (74), 2:2 ფლამინი (90-ს.კ-ში)

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი - არტეტა, ფლამინი - კასორლა, როსიცკი (79. კალსტრიომი), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (57. პოდოლსკი) - ჟირუ (88. სანოგო)

**26 მარტი**

ვესტ ჰემი-ჰალი 23:45
ლივერპული-სანდერლენდი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 31 | 21 | 6 | 4 | 62-23 | 69 |
| 2. სიტი | 29 | 21 | 3 | 5 | 79-27 | 66 |
| 3. ლივერპული | 30 | 20 | 5 | 5 | 82-38 | 65 |
| 4. არსენალი | 31 | 19 | 6 | 6 | 55-36 | 63 |
| 5. ევერტონი | 30 | 16 | 9 | 5 | 46-30 | 57 |
| 6. ტოტენჰემი | 31 | 17 | 5 | 9 | 40-40 | 56 |
| 7. იუნაიტედი | 31 | 15 | 6 | 10 | 48-37 | 51 |
| 8. ნიუკასლი | 31 | 14 | 4 | 13 | 38-43 | 46 |
| 9. საუთჰემპტონი | 31 | 12 | 9 | 10 | 45-40 | 45 |
| 11. სტოკი | 31 | 9 | 10 | 12 | 36-45 | 37 |
| 11. ასტონ ვილა | 30 | 9 | 7 | 14 | 33-42 | 34 |
| 12. ჰალი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-37 | 33 |
| 13. ნორვიჩი | 31 | 8 | 8 | 15 | 26-48 | 32 |
| 14. ვესტ ჰემი | 30 | 8 | 7 | 15 | 32-40 | 31 |
| 15. სუონსი | 31 | 7 | 9 | 15 | 42-48 | 30 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 30 | 5 | 13 | 12 | 33-45 | 28 |
| 17. პალასი | 30 | 8 | 4 | 18 | 19-39 | 28 |
| 18. სანდერლენდი | 28 | 6 | 7 | 15 | 26-44 | 25 |
| 19. კარდიფი | 31 | 6 | 7 | 18 | 26-58 | 25 |
| 20. ფულჰემი | 31 | 7 | 3 | 21 | 30-70 | 24 |

**ბომბარდირები:** 28 - ლუის სუარესი (ლივერპული), 19 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 17 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

ესპანეთი. ლა ლიგა. XXX ტურის წინ

# მთავარი მატჩი სანჩეს პისხუანზე

**მალაგა-ესპანიოლი 1:2**

**გოლები:** 0:1 სერხიო გარსია (33), 1:1 პ. პერესი (34), 1:2 პიცი (76)

**მალაგა** (4-2-3-1): ვ. კაბალიერო - ანხელერი, ფლავიო, ველიგტონი (69. ელიზეუ), ანტუნეში (80. ელ ჰამდაუი) - სერხი დარდერი, პ. პერესი - სამუ (69. იაკოვენკო), პორტილიო, ამრაბატი - სანტა კრუსი

**ესპანიოლი** (4-2-3-1): კასილია - ხავი ლოპესი, სიდნეი, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი (83. ალექსი) - სტუანი, სერხიო გარსია, პიცი (90. ტორიე) - ჯ. კორდობა (66. აბრაჰამი)

**გაფრთხილება:** პ. პერესი, იაკოვენკო - სტუანი

**გაძევება:** პ. პერესი (78. მალაგა)

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 7-8; **თამაშგარე:** 6-6; **კარში დარტყმა:** 16-7 (5-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 24 000

**ელჩე-ბილბაო 0:0**

**ელჩე** (4-2-3-1): მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ს. პელეგრინი, სისმა - რუბენ პერესი, კ. სანჩესი - გარი როდრიგესი (82. ფიდელი), კორომინასი, მანუ დელ მორალი (57. კარლეს ხილი) - ბოაკი (84. კრისტიან ერერა)

**ბილბაო** (4-2-3-1): ირაისოსი - ირაოლა (70. სუსაეტა), სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - მიკელ რიკო, იტურასპე - დე მარკოსი, ანდერ ერერა (78. ერიკ მორანი), მუნიაინი - ადურისი (82. ტოკერო)

**გაფრთხილება:** რუბენ პერესი, სისმა - ანდერ ერერა, ტოკერო

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 25-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 11-8 (2-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 24 752

## 26 მარტი

**ბარსელონა-სელტა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** კრონ-დელი (სელტა)
**ტრავმა:** კუენკა, პუიოლი - ბერმეხო

ურთიერთშეხვედრები
**სულ 31 თამაში: +16 =9 -6 (58:38)**
ბოლო 6 მატჩი
+4 =0 -2 (22-8) +2 =1 -3 (4-6)

**ვალეკანო-ოსასუნა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გალეანო, ტიტო, ხოსე კარლოსი, ნ. კასტილიო - სისი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 18 თამაში: +5 =7 -6 (21:17)**
ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (8-11) +1 =1 -4 (4-13)

**ატლეტიკო-გრანადა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფილიპე ლუიში (ატლეტიკო)
**ტრავმა:** მანკილიო - იგალო, ტიაგო ილორი, პიტი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +4 =1 -0 (10:1)**
ბოლო 6 მატჩი
+4 =1 -1 (10-5) +3 =1 -2 (8-9)

## 27 მარტი

**ხეტაფე-ვილიარეალი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარიკა (ხეტაფე)
**ტრავმა:** მოია, დიეგო კასტრო - დორადო

ურთიერთშეხვედრები
**სულ 19 თამაში: +5 =3 -11 (23:30)**
ბოლო 6 მატჩი
+0 =3 -3 (4-10) +1 =2 -3 (5-9)

**სოსიედადი-ვალიადოლიდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გრანერო, ხოსე ანხელი - .

ურთიერთშეხვედრები
**სულ 25 თამაში: +12 =7 -6 (44:27)**
ბოლო 6 მატჩი
+3 =0 -3 (10-9) +1 =3 -2 (5-10)

**ლევანტე-ბეტისი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ექტორ როდასი, რუბენ გარსია, ვიქტორი (სამივე „ლევანტე“) - ბ. როდრიგესი (ბეტისი)
**ტრავმა:** ხავი ტორესი, ნოსა იგიებორი, ხოსე კარო, დიდაკ ვილა, პერკისი (ყველა „ბეტისი“)

ურთიერთშეხვედრები
**სულ 15 თამაში: +6 =4 -5 (19:21)**
ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (4-5) +1 =2 -3 (3-6)

**ალმერია-ვალენსია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** როდრი (ალმერია)
**ტრავმა:** ნ. ოლივეირა - დიეგო ალვეში, ვიქტორ რუისი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 10 თამაში: +3 =1 -6 (9:18)**
ბოლო 6 მატჩი
+1 =1 -4 (7-14) +2 =2 -2 (5-5)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 29 | 22 | 4 | 3 | 66-21 | 70 |
| 2. რეალი | 29 | 22 | 4 | 3 | 80-30 | 70 |
| 3. ბარსელონა | 29 | 22 | 3 | 4 | 85-25 | 69 |
| 4. ბილბაო | 30 | 16 | 8 | 6 | 52-32 | 56 |
| 5. სევილია | 29 | 13 | 8 | 8 | 53-44 | 47 |
| 6. სოსიედადი | 29 | 13 | 7 | 9 | 52-43 | 46 |
| 7. ვილიარეალი | 29 | 13 | 6 | 10 | 49-36 | 45 |
| 8. ესპანიოლი | 30 | 11 | 7 | 12 | 34-35 | 40 |
| 9. ვალენსია | 29 | 11 | 6 | 12 | 41-40 | 39 |
| 10. ლევანტე | 29 | 9 | 10 | 10 | 26-35 | 37 |
| 11. გრანადა | 29 | 10 | 4 | 15 | 28-39 | 34 |
| 12. სელტა | 29 | 9 | 6 | 14 | 33-41 | 33 |
| 13. მალაგა | 30 | 8 | 8 | 14 | 29-38 | 32 |
| 14. ელჩე | 30 | 7 | 10 | 13 | 24-41 | 31 |
| 15. ვალეკანო | 29 | 9 | 3 | 17 | 33-63 | 30 |
| 16. ალმერია | 29 | 8 | 5 | 16 | 31-55 | 29 |
| 17. ოსასუნა | 29 | 8 | 5 | 16 | 25-50 | 29 |
| 18. ხეტაფე | 29 | 7 | 7 | 15 | 26-46 | 28 |
| 19. ვალიადოლიდი | 29 | 5 | 12 | 12 | 31-49 | 27 |
| 20. ბეტისი | 29 | 4 | 7 | 18 | 23-58 | 19 |

**ბომბარდირები:** 26 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 21 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა), ქარიმ ბენზემა (რეალი); 15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 - პედრო (ბარსელონა)

„ელ კლასიკოს“ შემდეგ კიდევ ერთი რთული მატჩი ელის „რეალს“, რომელიც სტუმრად იმ გუნდს ხვდება, ვინც პრიმერას მასშტაბით საუკეთესო ფორმაში იმყოფება. **უნაი ემერის** „სევილიამ“ ბოლო ხუთი მატჩი მოიგო და მეხუთე პოზიციაზე გადავიდა. მორიგი გამარჯვების და „ბილბაოს“ წაბორძიკების შემთხვევაში, ანდალუსიელებს ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის მშვენიერი შანსი გაუჩნდებათ, თუმცა მასპინძლებს ისიც კარგად ესმით, რომ ზედიზედ მე-6 გამარჯვების მოპოვება ძალიან გაუჭირდებათ.

**კარლო ანჩელოტის** დისკვალიფიკაციის გამო, „ელ კლასიკოზე“ გაძევებული **სერხიო რამოსი** და **ანხელ დი მარია** არ ეყოლება, თუმცა პირველს თამაშის შანსი ჯერ კიდევ აქვს - „რეალმა“ სადისციპლინო კომიტეტში აპელაცია შეიტანა და რამოსის წითელი ბარათის გაუქმება მოითხოვა, რადგან მადრიდელთა აზრით, მათი მცველი პენალტის ეპიზოდში **ნეიმარს** არ შეხებია და გაძევებასაც არ იმსახურებდა.

„რეალისთვის“ ამ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ „ბარსასთან“ წაგების შემდეგ დაკარგული ლიდერობის დაბრუნება სურს, კარლო ანჩელოტის გუნდისთვის ეს მატჩი ჩემპიონატის ბოლომდე გასამართ შეხვედრებს შორის ყველაზე რთული უნდა გამოდგეს. ასე რომ, თუ „რეალმა“ „სანჩეს პისხუანიდან“ სამი ქულა წაიღო, დიდი ალბათობით შეგვეძლება იმის თქმა, რომ მადრიდელები ჩემპიონობას ხელიდან აღარ გაუშვებენ. შესაძლოა, ეს დასკვნა ნაადრევად მოგეჩვენოთ, მაგრამ ქვემოთ ტიტულისთვის მებრძოლი სამივე გუნდის დარჩენილი მატჩების კალენდარს შემოგთავაზებთ და თავად დარწმუნდებით, რომ „რეალს“ ორი რთული გასვლითი მატჩის გარდა, ყველა დანარჩენი შეხვედრა მოსაგები აქვს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს 3 ქულას „სევილიასთვის“, რომელიც ბრწყინვალე ფორმაში შევიდა და ევროპალიგაში გამარჯვებასთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის საგზურზეც ოცნებობს. მართალია, ანდალუსიელები „ატლეტიკს“ მთელი 8 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ თუ ტემპი არ დააგდეს, ბასკების გადასწრების შანსი ნამდვილად ექნებათ.

ბოლო წლებში, „სევილიას“ და „რეალის“ შეხვედრებში უამრავი გოლი გადის. „რეალმა“ „სანჩეს პისხუანზე“ შარშან კი წააგო, მაგრამ იქამდე, ზედიზედ ორჯერ ამ სტადიონზე 6:2 მოიგო, ამ სეზონის პირველი წრის შეხვედრაში კი გუნდებმა 10 გოლი გაიტანეს - 7:3 „რეალის“ სასარგებლოდ.

### ბარსა და ატლეტიკო

გალიდერებული „ატლეტიკო“ „გრანადას“ მასპინძლობს და წესით, მონაგარი მორიგი სამი ქულით უნდა შეივსოს. **დიეგო სიმეონეს** მხოლოდ დისკვალიფიცირებული **ფილიპე ლუიში** არ ეყოლება, რომელსაც **ემანუელ ინსუა** შეცვლის. პრიმერაში დაბრუნების შემდეგ, „გრანადამ“ „როხიბლანკოს“ მხოლოდ ერთხელ აართვა ქულები, ისიც პირველივე შეხვედრაში. ამ შედეგის გამეორების შანსი ამჯერად რომ მიზერულია, ეს ყველას კარგად გვესმის.

განსაკუთრებული პრობლემა არც „ბარსელონას“ უნდა შეექმნას, რომელიც ვიგოს „სელტას“ ეთამაშება. გალისიელები საშინაო გუნდად კი ითვლებიან, მაგრამ ფაქტია, რომ **ლუის ენრიკეს** შეგირდები გასვლაზე უკეთ თამაშობენ - 33 ქულიდან 18 „სელტამ“ სტუმრად მოაგროვა და ბოლო 4 საგარეო მატჩიდან სამი მოიგო.

კატალონიელთა რიგებში **კარლეს პუიოლის** თამაშია საეჭვო, სხვა დანაკლისი მასპინძლებს არ აქვთ. „რეალთან“ მოპოვებული ურთულესი და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ, „ბარსას“ ბანაკში კარგი განწყობაა. **ხერარდო მარტინოს** გუნდი მორიგი მატჩის მოგებას, **ლიონელ მესი** კი მორიგი გოლების გატანას ეცდება.

აქვე, სამივე ლიდერის დარჩენილი შეხვედრების კალენდარს შემოგთავაზებთ:

**ატლეტიკო:** ბილბაო (სტუმრად), ვილიარეალი (შინ), ხეტაფე (ს), ელჩე (შ), ვალენსია (ს), ლევანტე (ს), მალაგა (შ), ბარსელონა (ს)

**რეალი:** რაიო ვალეკანო (შ), სოსიედადი (ს), ალმერია (შ), ოსასუნა (შ), ვალენსია (შ), ვალიადოლიდი (ს), სელტა (ს), ესპანიოლი (შ)

26.03. სევილია
სანჩეს პისხუანი
01:00

**სევილია**

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები
39 თამაში: +10=3-26 (55:98)

**რეალი**

სავარაუდო შემადგენლობები

სევილია: ბეტუ; პარეხა, ფასიო, ფიგეირაში, ა. მორენო; იბორა, მბია; რეიესი, რაკიტიჩი, ვიტოლო; გამეირო

რეალი: რონალდო, ბენზემა, ბეილი; ისკო, მოდრიჩი, ჩაბი ალონსო; მარსელო, კარვახალი; პეპე, ვარანი; დ. ლოპესი

დისკვალიფიკაცია: რამოსი, დი მარია
ტრავმა: [illegible] - ხედირა, არბელოა, ხესე

**ბარსელონა:** ესპანიოლი (ს), ბეტისი (შ), გრანადა (ს), ვილიარეალი (ს), ხეტაფე (შ), ბილბაო (შ), ელჩე (ს), ატლეტიკო (შ)

თავადაც ხედავთ, რომ მადრიდის „ატლეტიკოს“ ყველაზე რთული კალენდარი აქვს, „რეალს“ კი - პირიქით, „სევილიასთან“ და „სოსიედადთან“ შეხვედრებს თუ არ ჩავთვლით, ყველა დარჩენილი მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს.

### ბრძოლა გადარჩენისთვის

ამ ტურში რამდენიმე ისეთი თამაში გაიმართება, რომელიც ცხრილის ქვედა ნაწილში სიტუაციას შეცვლის. „რაიო ვალეკანო“ და „ოსასუნა“ ე.წ. 6-ქულიან შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. პამპლონელებმა ზედიზედ ოთხი მატჩი წააგეს და გასავარდნ ზონას მიუახლოვდნენ, მადრიდელები კი პირიქით, შესანიშნავ ფორმაში არიან - „რაიომ“ ბოლო 4 ტურში 10 ქულა მოაგროვა.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც 2014 წელს თამაში არ მოუგია - „ხეტაფე“ ამ ტურში „ვილიარეალს“ უმასპინძლებს, ვისაც ბოლო დროს მცირე ჩავარდნა აქვს. ვალენსიელებმა წინა ტურში დერბი წააგეს, სულ კი **მარსელინოს** გუნდს 4-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს.

განწირული „ბეტისი“ კი გასვლაზე „ლევანტეს“ ხვდება და თუ ამჯერადაც დამარცხდა, მისი გადარჩენის შანსი ნულის ტოლი გახდება. **გაბრიელ კალდერონის** გუნდს ისედაც ძალიან რთული კალენდარი აქვს და „ლევანტეს“ რომც მოუგოს, ლიგაში ადგილის შენარჩუნება მაინც ძალიან გაუჭირდება.



პირველ წრეში „რეალმა“ „სევილიას“ 7:3 მოუგო

კლასიკოს გამოძახილი

# მარკას მკითხველმა მალენკო გაამართლა

**ესპანურმა** გაზეთმა „მარკამ“ საკუთარ საიტზე მკითხველთა გამოკითხვა ჩაატარა. გულშემატკივრებს „ელ კლასიკოს“ სადავო ეპიზოდების შეფასების საშუალება მისცეს და საინტერესოა, რომ შერჩეული ექვსი ეპიზოდიდან, მკითხველმა არბიტრი მხოლოდ ერთ მომენტში გაამტყუნა - გამოკითხულთა აზრით, უნდიანო მალენკოს „ბარსელონას“ კარში პენალტი არ უნდა დაენიშნა, რადგან დანი ალვეშმა რონალდო საჯარიმოს გარეთ წააქცია.

**ეპიზოდი** 1. პიკეს და ბეილის მომენტი.

გამოკითხულთა 66%-ს მიაჩნია, რომ **პიკეს** და **ბეილის** ინციდენტის დროს არბიტრი სწორად მოიქცა, როდესაც პენალტი არ დანიშნა. 34%-ის აზრით, პიკემ იუხეშა და პენალტი უნდა დანიშნულიყო.

2. ფაბრეგასი და ხელი

**კრიშტიანო რონალდოს** ჯარიმის დროს ბურთი საჯარიმოში მდგარ **ფაბრეგასს** მოხვდა. 72% თვლის, რომ ამ ეპიზოდში არბიტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც 11-მეტრიანი არ დანიშნა.

3. პეპეს და ნეიმარის ორთაბრძოლა

**პეპეს** და **ნეიმარის** შეჯახებას ბრაზილიელის დაცემა მოჰყვა, **უნდიანომ** კი ეს მომენტი რეაგირების გარეშე დატოვა. გამოკითხულთა 53%-ის აზრით, არბიტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, 47%-მა კი მიიჩნია, რომ მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა.

4. დანი ალვეშმა რონალდო საჯარიმოს გარეთ წააქცია.

91% თვლის, რომ მალენკო შეცდა და პენალტის ნაცვლად „ბარსას“ კარში ჯარიმა უნდა დაენიშნა. 5%-ის აზრით პენალტი იყო, 4% კი თვლის, რომ ამ ეპიზოდში ჯარიმაც არ უნდა დანიშნულიყო.

5. ნეიმარის პენალტი

51% მიიჩნევს, რომ **რამოსმა** ნეიმარი წააქცია და პენალტი მართებულად დაინიშნა. 29%-ის აზრით, რამოსს წესები არ დაურღვევია, 20%-მა კი აღნიშნა, რომ მანამდე ნეიმარი თამაშგარე მდგომარეობაში იყო და თამაში იქ უნდა შეჩერებულიყო.

6. ინიესტას პენალტი

გამოკითხულთა 81%-ის აზრით, **ჩაბი ალონსომ** და **დანი კარვახალმა ინიესტა** წააქციეს და პენალტის დანიშვნა სწორი გადაწყვეტილება იყო. 19%-მა კი ჩათვალა, რომ მსაჯი შეცდა და „რეალის“ კარში მეორე 11-მეტრიანი არ უნდა დანიშნულიყო.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



უნდიანო მალენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXX ტურის წინ

# მონტელლას ლიგა სურს, ზეს დარჩენა

## პარმას იუვე გამოცდის




„იუვენტუსს" ანტონიო კასანო და კარვალიო ამაური შეუტევენ

მატჩის წინ, მწვრთნელებმა ერთმანეთს დითირამბები უძღვნეს - ანტონიო კონტეს თქმით, რობერტო დონადონი მალე ევროპული ფეხბურთის გრანდს ჩაუდგება სათავეში, რადგან ამას იმსახურებს; დონმა კი კონტე საუკეთესო იტალიელ სპეციალისტად მოიხსენია. ვნახოთ, რა განწყობაზე იქნებიან მწვრთნელები მატჩის შემდეგ...

### ზეს ბოლო შანსი?

**ვინჩენცო მონტელლას** სჯერა, რომ „ფიორენტინას" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლია, ამისთვის კი „მილანის" დამარცხება აუცილებელია. „ვიოლა" სწორედ „როსონერის" უმასპინძლებს, რომელსაც თავისი მიზანი აქვს - დაასრულოს ვარდნა, დააღწიოს თავი კრიზისს და დაადგეს ალმასვლას. ცალკე თემაა, რომ **კლარენს ზეედორფმა** სკამი უნდა შეინარჩუნოს, რომლის წასვლაზეც უკვე აქტიურად ლაპარაკობენ. იტალიელი სპორტული ჟურნალისტები არც იმას გამორიცხავენ, რომ ფლორენციაში წაგების შემთხვევაში, ზეს პოსტის დატოვება მოუწევს, მის ადგილს კი დროებით **მაურო ტასოტი** დაიკავებს.

„გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ზეედორფი ნაცად ტაქტიკას არ შეცვლის და წინა ხაზზე გამწესებულ **მარიო ბალოტელის** უკნიდან სამ შემტევს დაახმარს. ამჯერად, სასტარტოში მოიაზრებიან **კეისუკე ჰონდა, რიკარდო კაკა** და **ადელ ტაარაბტი**. „ფიორენტინას" სამი შემტევი ეყოლება - ფლანგებიდან **ხუან კუადრადო** და **ხოაკინ სანჩესი**, ცენტრში კი **ალესანდრო მატრი. მარიო გომესს** მცირე ტრავმა აქვს და დიდი ალბათობით, განაცხადში ვერ მოხვდება.

### ბენიტესს სჯერა

**რაფაელ ბენიტესი** დანებებას არ აპირებს და აცხადებს, რომ მის გუნდს ჯერ კიდევ შეუძლია მეორე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე. ნეაპოლელები „კატანიას" სტუმრობენ, გუნდს, რომელიც ბოლო ადგილზეა და გასავარდნად განწირული ჩანს. მოკლედ, თუ „ნაპოლის" კიდევ სჯერა მეორე ადგილის, სიცილიაზე აუცილებლად უნდა იძალოს.

„გაძეტას" მტკიცებით, რაფა ბენიტესი **გონსალო იგუაინს** დაასვენებს და მის ადგილზე **გორან პანდევს** გაამწესებს. ძირითადში დაბრუნდება **მარეკ ჰამშიკი**, რომელსაც გვერდს **ხოსე კალეხონი** და **ლორენცო ინსინიე** დაუმშვენებენ. კიდევ ერთი წარუმატებლობა და „ნაპოლის" „ფიორენტინა" კუდზე დააჯდება - ამიტომ, რაფას შეგირდებს მობილიზება მართებთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 29 | 25 | 3 | 1 | 65-19 | 78 |
| 2. რომა | 29 | 20 | 7 | 2 | 56-15 | 67 |
| 3. ნაპოლი | 29 | 17 | 7 | 5 | 53-30 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 29 | 15 | 6 | 8 | 49-30 | 51 |
| 5. ინტერი | 29 | 12 | 11 | 6 | 47-21 | 47 |
| 6. პარმა | 28 | 12 | 11 | 5 | 46-32 | 47 |
| 7. ლაციო | 29 | 11 | 9 | 9 | 37-36 | 42 |
| 8. ატალანტა | 29 | 12 | 4 | 13 | 33-39 | 40 |
| 9. ვერონა | 29 | 12 | 4 | 13 | 43-51 | 40 |
| 10. ტორინო | 30 | 10 | 9 | 11 | 43-39 | 39 |
| 11. სამპდორია | 29 | 10 | 7 | 12 | 38-42 | 37 |
| 12. მილანი | 29 | 9 | 9 | 11 | 42-43 | 36 |
| 13. ჯენოა | 29 | 9 | 9 | 11 | 32-36 | 36 |
| 14. უდინეზე | 29 | 10 | 4 | 15 | 33-42 | 34 |
| 15. კალიარი | 29 | 6 | 11 | 12 | 27-39 | 29 |
| 16. ბოლონია | 29 | 5 | 11 | 13 | 24-43 | 26 |
| 17. კიევო | 29 | 6 | 6 | 17 | 23-43 | 24 |
| 18. ლივორნო | 29 | 6 | 6 | 17 | 32-54 | 24 |
| 19. სასუოლო | 29 | 5 | 6 | 18 | 28-57 | 21 |
| 20. კატანია | 29 | 4 | 8 | 17 | 21-50 | 20 |

**ბომბარდირები:** 17 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 16 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 13 - ლუკა ტონი (ვერონა), როდრიგო პალასიო (ინტერი); 12 - დომენიკო ბერარდი (სასუოლო), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა).

**ლაშა ნიკლაური**

**რომა-ტორინო 2:1**

**გოლები:** 1:0 დესტრო (41), 1:1 იმობილე (52), 2:1 ფლორენცი (90).

**რომა (4-3-3):** დე სანკტისი - ტოროსიდისი, ტოლოი, კასტანი, რომანიოლი (70. ბასტოსი) - ნაინგოლანი (83. ფლორენცი), პიანიჩი, დე როსი - ტოტი (70. ლიაიჩი), ჟერვინიო, დესტრო.

**ტორინო (3-5-2):** პადელი - ბოვო, გლიკი, მორეტი - დარმიანი, მაქსიმოვიჩი, კურტიჩი, ვივესი, ელ ქადური - ჩერჩი, იმობილე.

**გაფრთხილება:** ნაინგოლანი, ბასტოსი - მორეტი, მაქსიმოვიჩი, ვივესი, იმობილე.

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-10; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 17-4(7-2); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 45 000

26.03. ფლორენცია
არტემიო ფრანკი
23:45

**ფიორენტინა**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-3 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
36 თამაში: +12=9-15

**მილანი**

სავარაუდო შემადგენლობები

ფიორენტინა: ნეტო - გონსალო, სავიჩი, ტომოვიჩი, პასკუალი - ამბროზინი, აკვილანი, ბ. ვალერო - ხოაკინი, მატრი, კუადრადო

მილანი: ბალოტელი - კაკა, ტაარაბტი, ჰონდა - მუნტარი, დე იონგი - კონსტანტი, ძაკარდო, მექსე, რამი - აბიატი

დისკვალიფიკაცია: [illegible]
ტრავმა: [illegible]

**26 მარტი**

**ატალანტა-ლივორნო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბენალუანი - მესბა.
**ტრავმა:** კაცოლა, ბრივიო, მორალესი - ლუჩი.

ბოლო 6 შეხვედრა
4-1-1 — 2-1-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 14 თამაში: +4=4-6, (17-16)**

**კალიარი-ვერონა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** დესენა, კონტი - დონადელი.
**ტრავმა:** ადრიანი - გომესი.

ბოლო 6 შეხვედრა
1-2-3 — 1-1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 12 თამაში: +5=3-4, (17-17)**

**კატანია-ნაპოლი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბერგესიო - გულამი.
**ტრავმა:** კასტრო, ალმირონი, სპოლი - ცუნიგა, რაფაელი, მაჯო, მერტენსი.

ბოლო 6 შეხვედრა
1-1-4 — 3-2-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 17 თამაში: +5=4-8, (16-19)**

**კიევო-ბოლონია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** პარედესი, გუანა - კონე, დელა როკა.

ბოლო 6 შეხვედრა
2-0-4 — 1-2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +6=8-7, (21-27)**

**ჯენოა-ლაციო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** დე მაიო - ლულიჩი.
**ტრავმა:** მათუზალემი, დონარუმა, ვრსალკო, ანტონინი, კუჩკა - ედერსონი, ბიავა, ბილია, დიასი, მარკეტი, სიანი, კლოზე.

ბოლო 6 შეხვედრა
1-3-2 — 3-1-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 17 თამაში: +6=3-8, (19-28)**

**იუვენტუსი-პარმა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ოგბონა, პელუზო, ბარცალი, პეპე - გარგანო, მაური, ვერგარა, პოცი.

ბოლო 6 შეხვედრა
6-0-0 — 4-2-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 40 თამაში: +19=13-8, (66-41)**

**სასუოლო-სამპდორია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ალექსე, აჩერბი, ბრიგი, ანტეი, მანფრედინი, მარონე, პუჩინო, სანსონე, ფლორო ფლორესი - კრსტიჩიჩი, სესტუ, როდრიგესი.

ბოლო 6 შეხვედრა
1-1-4 — 3-0-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +1=3-1, (7-7)**

**27 მარტი**

**ინტერი-უდინეზე 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბასტა (უდინეზე).
**ტრავმა:** კივუ, ანდრეოლი (ინტერი).

ბოლო 6 შეხვედრა
3-2-1 — 2-2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 42 თამაში: +21=9-12, (55-48)**

**30-ე ტურში ორი გამორჩეული მატჩია: ტურინში „იუვენტუსი" „პარმას" უმასპინძლებს, ფლორენციაში კი „ფიორენტინა" „მილანს" დაუხვდება. საინტერესოა, შეწყდება თუ არა ემილიელთა წაუგებელი სერია „იუვენტუს არენაზე" და შეძლებს თუ არა „ვიოლა" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელებას...**

### ყველაზე რთული გამოცდა

„იუვენტუსი" რომ ჩემპიონი გახდება, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „პარმასთან" შეხვედრას ტურინელები არასერიოზულად მოეკიდებიან. საქმე ბოლომდეა მისაყვანი და **ანტონიო კონტე** შეგირდებს ნამდვილად არ დაზოგავს. შესაბამისად, ემილიელებს ურთულესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ და საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა **რობერტო დონადონის** გუნდის წაუგებელი სერია, რომელიც აგერ უკვე ოთხ თვეზე მეტია ძალაშია.

„იუვე" **პაბლო ოსვალდოსა** და **ფერნანდო ლორენტეს** ტანდემით შეუტევს, ნახევარდაცვაში კი შემდეგ ხუთეულს ვიხილავთ: **შტეფან ლიხტშტაინერი, პოლ პოგბა, ანდრეა პირლო, სიმონე პადოინი, კვადვო ასამოა.** რაც შეეხება „პარმას", **რობერტო დონადონის** განკარგულებაში პრაქტიკულად ყველა წამყვანი ფეხბურთელია... საკმაოდ მძლავრად გამოიყურება შემტევი ტრიო **ანტონიო კასანოს, კარვალიო ამაურის** და **ჯონათან ბიაბიანის** შემადგენლობით.

ამბები



ანტუან გრიზმანი

### გრიზმანი პსჟ-ს გაურიგდა

„ეკიპის" ინფორმაციით „სოსიედადის" თავდამსხმელმა **ანტუან გრიზმანმა** პსჟ-ს წინადადება მიიღო და ახლა პარიზელებს ისღა დარჩენიათ ბასკურ კლუბს მოელაპარაკონ. ფრანგი ფორვარდი, რომელიც 21 მარტს 23 წლის გახდა, „პარი სენ-ჟერმენს" დაახლოებით 30 მილიონი ევრო დაუჯდება. როგორც ამბობენ, გრიზმანი სამჯერ მეტ ხელფასს მიიღებს, ვიდრე ახლა აქვს. მიმდინარე ლა ლიგაში ჩატარებულ 27 მატჩში მას 15 გოლი აქვს გატანილი.

### მილანში ხელფასები შემცირდება

**ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა, რომ „მილანის" ფეხბურთელებს ხელფასები 20%-ით შეუმცირდებათ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონაში ვერ მოხვდება.

*„თითქმის ყველა ფეხბურთელის კონტრაქტში დევს პუნქტი, რომლის მიხედვითაც ხელფასის 80% ფიქსირებულია, ხოლო დანარჩენი 20% სხვადასხვა წარმატებებზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში კი პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯამაგირი მოთამაშეებს 20%-ით შეუმცირდებათ, რადგან ისინი ჩემპიონთა ლიგის ზონაში ვერ გადიან, ხოლო ევროპის ლიგის საგზური კონტრაქტში არ იგულისხმება"* - აღნიშნა გალიანიმ.

შესაძლოა, „მილანის" ერთ-ერთი მმართველის კომენტარის ბოლო ნაწილი ირონიაც იყო, რადგან „როსონერის" ევროპალიგაზე გასვლის შანსიც კი არ აქვს.

ამასობაში, **კლარენს ზეედორფმა** აღნიშნა, რომ არანაირი პრობლემა და კონფლიქტი მას გალიანისთან არ აქვს.

### რეალს ჰარტის შეძენა უნდა

მადრიდის „რეალი" „მანჩესტერ სიტის" მეკარის, **ჯო ჰარტის** შეძენაზე ფიქრობს. როგორც ამბობენ, „სამეფო გუნდი" მზადაა ინგლისელ გოლკიპერში 25 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. აქვე შეგახსენებთ, რომ თავის მხრივ, „სიტის" **ვიქტორ ვალდესის** ხელში ჩაგდება უნდა, რომელიც „ბარსელონადან" თავისუფალი აგენტის სტატუსით მოდის. რაც შეეხება „რეალს" იქ **იკერ კასილიასის** ბედი ვერ გადაუწყვეტიათ და თანაც, **დიეგო ლოპესს** ჰყავს უამრავი მსურველი.

### სანია ძიებაში

**ბაქარი სანია**, რომელიც ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება, ისევ ახალ გუნდს ეძებს. „არსენალმა" თავის მცველს ახალი ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ჯამაგირად - კვირაში მხოლოდ 60 ათასი ფუნტი, რაც სანიას არ მოეწონა და უარი თქვა. ფრანგმა, რომელიც 14 თებერვალს 32 წლის გახდება „ინტერის" შემოთავაზებაც იუარა და შესაძლოა „მანჩესტერ სიტიში" აღმოჩნდეს. ინგლისური წყაროების მიხედვით, „ქალაქელებს" მისთვის ხელსაყრელი კონტრაქტის შეთავაზება გადაუწყვეტიათ.

**გიორგი კაკაბაძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

# ჩემპიონობა ლუდის და ულის გარეშე




**დორტმუნდი-შალკე 0:0**

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სოკრატისი, ჰუმელსი, დურმი - კელი, ნ. შაჰინი - გროსკროიტცი (87. შიბერი), მხითარიანი (79. ობამეიანგი), როისი - ლევანდოვსკი.

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - ჰუგლანდი, აიჰანი, მატიპი, კოლაშინაცი - კ. ბოატენგი, ნოიშტედტერი - გორეტცკა (85. ობასი), მ. მაიერი (76. ანანი), დრაქსლერი (92. მაქსი) - ჰუნტელაარი.

**გაფრთხილება:** როისი, ჰუმელსი - დრაქსლერი, კ. ბოატენგი, აიჰანი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 18(6)-8(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 77 600

**ვერდერი-ვოლფსბურგი 1:3**

**გოლები:** 0:1 ჟუნიორ მალანდა (2), 0:2 პერიშიჩი (11), 1:2 პრიოდლი (17), 1:3 არნოლდი (80)

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვოლფი - ფრიტცი, პრიოდლი, ლუკიმია, კალდიროლა - ფ. კროოსი (45+1. მაკიადი) - იუნუზოვიჩი, ობრანიაკი (46. ელია) - ჰანტი - პეტერსენი (91. აიჩიჩეკი), დი სანტო.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო (46. გრიუნი) - ტრეში, ნალდო, კლოზე, როდრიგესი - ლუის გუსტავო, ჟუნიორ მალანდა - პერიშიჩი (89. მ. შეფერი), არნოლდი (89. პოლაკი), დ. კალიჯური - ოლიჩი.

**გაფრთხილება:** ფრიტცი, იუნუზოვიჩი - პერიშიჩი

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 6(2)-19(9); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 37 270

**ბრაუნშვაიგი-მაინცი 3:1**

**გოლები:** 1:0 კუმბელა (18), 1:1 ნ. მიულერი (20), 2:1 ნილსენი (45+3), 3:1 კუმბელა (77)

**ბრაუნშვაიგი (4-4-2):** დავარი - კესელი, ბიჩაქჩიჩი, კორეია (39. დოგანი), რაიხელი - ელაბდელაუი, ვრანჩიჩი, ბოლანდი, ჰოხშაიდტი - ნილსენი (91. მ. კალიჯური), კუმბელა (88. ადემი).

**მაინცი (4-2-3-1):** კარიუსი - პოსპეხი, ბელი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - სოტო, კოხი (75. ნედელევი) - ნ. მიულერი, მალი, ზიმლინგი (56. ოკაზაკი) - ჩუპო-მოტინგი (70. პოლტერი).

**გაფრთხილება:** ბოლანდი, კუმბელა - ოკაზაკი

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 16-25; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 14(3)-12(5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 21 880

**ჰერტა-ბაიერნი 1:3**

**გოლები:** 0:1 ტ. კროოსი (6), 0:2 გიოტცე (14), 1:2 რამოსი (66-პენ), 1:3 რიბერი (79)

**ჰერტა (4-4-1-1):** კრაფტი - პეკარიკი, იანკერი, ბრუკსი, ვან დერ ბერგი - სკიელბრედი, ჰოსოგაი, **კობიაშვილი** (64. ნიმაიერი), ნ. შულცი - მუხტარი (71. რონი) - რამოსი (87. ვაგნერი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფინია, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლამი, შვაინშტაიგერი (64. ტიაგო ალკანტარა) - რობენი (54. რიბერი), ტ. კროოსი, გიოტცე - თ. მიულერი (54. მანჯუკიჩი).

**გაფრთხილება:** სკიელბრედი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 4(2)-13(6); **ბურთის ფლობა:** 18%-82%.

**მაყურებელი:** 76 197

**26 მარტი**

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი-შტუტგარტი | 23:00 |
| ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 23:00 |
| აუგსბურგი-ლევერკუზენი | 23:00 |
| ჰამბურგი-ფრაიბურგი | 23:00 |
| აინტრახტი-გლადბახი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 27 | 25 | 2 | 0 | 79:13 | 77 |
| 2. დორტმუნდი | 27 | 16 | 4 | 7 | 59:29 | 52 |
| 3. შალკე | 27 | 15 | 6 | 6 | 51:37 | 51 |
| 4. ლევერკუზენი | 26 | 14 | 2 | 10 | 43:32 | 44 |
| 5. ვოლფსბურგი | 27 | 13 | 5 | 9 | 46:41 | 44 |
| 6. გლადბახი | 26 | 12 | 6 | 8 | 46:32 | 42 |
| 7. მაინცი | 27 | 12 | 5 | 10 | 38:43 | 41 |
| 8. აუგსბურგი | 26 | 11 | 6 | 9 | 39:37 | 39 |
| 9. ჰერტა | 27 | 10 | 6 | 11 | 36:37 | 36 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 26 | 8 | 8 | 10 | 57:58 | 32 |
| 11. ჰანოვერი | 26 | 8 | 5 | 13 | 34:46 | 29 |
| 12. აინტრახტი | 26 | 7 | 8 | 11 | 33:46 | 29 |
| 13. ვერდერი | 27 | 7 | 8 | 12 | 31:53 | 29 |
| 14. ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 29:47 | 25 |
| 15. შტუტგარტი | 26 | 6 | 6 | 14 | 40:52 | 24 |
| 16. ჰამბურგი | 26 | 6 | 5 | 15 | 41:55 | 23 |
| 17. ნიურნბერგი | 26 | 4 | 11 | 11 | 30:49 | 23 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 27 | 5 | 6 | 16 | 24:49 | 21 |

**ბომბარდირები:** 17 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).


„ბაიერნის" მოკრძალებული ზეიმი

გერმანიის ჩემპიონატის ბედი მარტში აქამდე არასდროს გადაწყვეტილა და რომელ გუნდს უნდა მოეხერხებინა ეს, თუ არა „ბაიერნს"? მიუნხენური გრანდი ტიტულს რომ შეინარჩუნებდა, ამაში ეჭვი დიდი ხნის განმავლობაში აღარავის ეპარებოდა და გასარკვევი მხოლოდ ის იყო, რამდენად ადრე მოახერხებდნენ ამას ბავარიელები. დიდი ხანია, მიუნხენურ კლუბს გერმანიის რეკორდმაისტერს უწოდებენ, მაგრამ „ბაიერნს" ეს ეპითეტი ასე აშკარად აქამდე არასდროს დაუმსახურებია - ჩემპიონობის შვიდი ტურით ადრე, მარტში გაფორმება მორიგი რეკორდია. რეკორდი, რომელსაც ალბათ ვერავინ დაამხობს.

**ხოსეპ გვარდიოლასთვის** ბუნდესლიგაში პირველივე სეზონი ტრიუმფალური გამოვიდა: „ბაიერნმა" გუშინ „ჰერტა" 3:1 დაამარცხა და არსებობის ისტორიაში 24-ე ჩემპიონობა იზეიმა. თუმცა ზეიმი ისეთი არ იყო, როგორსაც მიჩვეულები ვართ. არც ზლვა ემოცია, არც ლუდის შხაპი და არც **ული ჰიონესი** - მიუნხენელებმა ტრიუმფი მოკრძალებულად აღნიშნეს. ზეიმს განსაკუთრებით ლუდის შხაპი დააკლდა...

საფინალო სასტვენის შემდეგ გვარდიოლა ტელეფონზე საუბრობდა - მილოცვებს იღებდა. ფეხბურთელები ფანებთან მივიდნენ, წრე შეკრეს და ხტუნვას მოჰყვნენ. სულ ეს იყო ყველა დროის ყველაზე სწრაფი ჩემპიობის აღნიშვნა. სიტუაციას „ბაიერნის" ექსპრეზიდენტი, ციხეში ჩასაჯდომად გამზადებული ჰიონესიც აკლდა - ბოლო 45 წელიწადში პირველად მოხდა ისე, რომ „ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონობა ულის გარეშე აღნიშნა.

ამრიგად, დარჩენილი მატჩები „ბაიერნისთვის" მხოლოდ ფორმალობაა, მაგრამ ეს რეკორდმაისტერი არ ჰგავს ისეთ გუნდს, რომელიც თუნდაც არაპრინციპულ მატჩებში მოდუნდება. არადა, მიუნხენელებს შეუძლიათ, მთელი კონცენტრაცია ჩემპიონთა ლიგისკენ მიმართონ - რეკორდმაისტერის მომდევნო მისია სწორედ ჩემპიონთა ლიგის თასის შენარჩუნებაა.

გოტფრიდ **ლენცი**

ლივერპული

# ჯონსონი რჩება, რაკიტიჩი მოდის?

გავრცელდა თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **გლენ ჯონსონით** რამდენიმე გუნდია დაინტერესებული და მათ შორის, მადრიდის „რეალი", „ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** აღნიშნა, რომ ზაფხულში გუნდი მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ჯონსონი, რომელიც აგვისტოში 30 წლის ხდება, ამჟამად კვირაში დაახლოებით 110 ათას ფუნტს იხდის და კლუბთან მის მოქმედ შეთანხმებას ვადა 2015 წლის ზაფხულში გასდის.

*„ჩვენ გლენის შენარჩუნება გვინდა, იგი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და თანაც ახლა შესანიშნავ ფორმაშია. რაც შეეხება ხელფასს, ეს თემა მე ნაკლებად მეხება, მჯერა, შეთანხმების მიღწევა მოხერხდება. მთავარია, ჯონსონსაც სურს დარჩენა"* - განაცხადა როჯერსმა.

პარალელურად, მერსისაიდელთა დამრიგებელს თვალი **ივან რაკიტიჩისთვის** დაუდგამს. როჯერსს 26 წლის ხორვატი ნახევარმცველი მოსწონს და მზადაა მასში „სევილიას" 15 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. გამორიცხული არ არის „ლივერპულმა" „სევილიას" რაკიტიჩის სანაცვლოს სუსოც შესთავაზოს, რომელიც ახლა „ალმერიაშია" განათხოვრებული. რაკიტიჩმა მიმდინარე ლა ლიგაში 26 მატჩი ჩაატარა, 11 გოლი გაიტანა და 10 საგოლე პასი გააკეთა.

გიორგი **პაპაბაძე**









ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. რობერტო დონადონი



რობერტო დონადონი

# დონის ხედვა

**რობერტო დონადონი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური მოთამაშეა. ახლა კი „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი „პარმას“ მთავარი მწვრთნელია და მის ხელში „ენიო ტარდინის“ ბინადრებს სერია A-ში 17-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ. კულუარებში ამბობენ, რომ იგი შესაძლოა, „როსონერის“ მწვრთნელიც გახდეს. 50 წლის სპეციალისტი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებშიც მოასწრო მუშაობა, fifa.com-ს გაესაუბრა...**

**- თქვენზე მიშელ პლატინიმ ერთხელ თქვა, რომ 1990-იანი წლების საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი ხართ. ეს გადამეტებული შეფასებაა?**

- ამის გაგება ძლიან სასიამოვნო გახლდათ. თუმცა ჩემთვის ყოველთვის ყველაფერი მარტივად იყო - გუნდური მოთამაშე ვიყავი და პოტენციალის გამოვლენით ვცდილობდი, სარგებელი თანაგუნდელებისთვის მომეტანა.

**- ლომბარდიაში დაიბადეთ და კარიერის დიდი ნაწილი „მილანში“ გაატარეთ. ის, რასაც დღეს წარმოადგენთ, ამ გუნდის დამსახურებაა?**

- ულაპარაკოდ. ბავშვობიდან „როსონერის“ ფანი ვიყავი და მაშინაც კი, როდესაც კარიერის ბოლოს „ატალანტაში“ ვთამაშობდი, „მილანს“ ვგულშემატკივრობდი. წლები, რომლებიც არიგო საკისა და ფაბიო კაპელოსთან ერთად გავატარე, დაუვიწყარია. ეს ჩემი კარიერის გამორჩეული მომენტი გახლდათ, ემოციებით დახუნძლული. ახლა მწვრთნელის რანგში ვცდილობ იგივე გავაკეთო, რასაც ისინი აკეთებდნენ, ისეთივე „მესიჯები“ მივიტანო ფეხბურთელებამდე.

**- „მილანთან“ ერთად ფაქტობრივად ყველაფერი მოიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ მაინც რომელ გამარჯვებას გაიხსენებთ განსაკუთრებულად?**

- პირველი თავში 1989 წლის ჩემპიონთა თასი მომივიდა. ეს ჩემი პირველი დიდი ტიტული იყო, და დაუვიწყარი თავგადასავალი. ის პერიოდი მთლიანობაში გახლდათ განსაკუთრებული: თანაგუნდელებს უსიტყვოდ ვუგებდი, „მილანი“ ყველგან დომინირებდა, საუკეთესო ფეხბურთელები იტალიაში თამაშობდნენ. ჩვენი მაშინდელი ურთიერთგაგება დაახლოებით იმას ჰგავს, რაც ახლა ესპანეთის ნაკრებშია.

**- კარიერა 2000 წელს დაასრულეთ და 2001 წელს უკვე „ლეკოს“ მწვრთნელად მოგვევლინეთ. რამ გადაგაწყვეტინათ ამ საქმის არჩევა და ასე სწრაფად?**

- როდესაც სათამაშო კარიერის დასრულება გადავწყვიტე, მინდოდა ცოტა დრო მქონოდა დასასვენებლად. თუმცა როდესაც მეუღლემ მითხრა, ბარემ მწვრთნელის სერტიფიკატი აგეღოო, დავფიქრდი და კურსი გავიარე. შემდეგ კი „ლეკოს“ ვარიანტი გამოჩნდა, მართალია გუნდი სერია C-ში იყო, მაგრამ ცდა გადავწყვიტე. მუშაობისგან დიდი სიამოვნება მივიღე, ისევ ფეხბურთში ვიყავი ჩართული და მომწონდა ისიც, რომ ახალგაზრდებს ჩემგან რაღაცის სწავლის დიდი სურვილი ჰქონდათ.

**- თქვენი ბევრი ყოფილი თანაგუნდელი წარმატებული მწვრთნელი გახდა, როგორ ახსნით ამას?**

- როდესაც შიდა სამზარეულოს იცნობ, ეს საქმეს გიადვილებს. ჩვენ დიდი საერთაშორისო კარიერა გვიმაგრებს ზურგს. ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს ცოტა უფრო მეტი შეუძლიათ, ვიდრე სხვებს, რადგან ისინი თავიდანვე იმსახურებენ ნდობას და პატივისცემას და მათი სიტყვები უფრო მარტივად აღწევს ფეხბურთელებამდე. ეს კი წარმატების საწინდარია.

**- პაოლო მალდინი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც მწვრთნელობა ჯერ არ დაუწყია...**

- პაოლოს ჯერ ეს გადაწყვეტილება არ მიუღია და არ ვიცი უნდა თუ არა მწვრთნელობა, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ მას ფეხბურთისთვის კიდევ ბევრის მიცემა შეუძლია.

**- 2006 წლის ივლისში თქვენ მარჩელო ლიპისგან იტალიის ნაკრები გადაიბარეთ. როგორ ფიქრობთ, უკვე მზად იყავით ამისთვის?**

- ყველაფერი მართლაც სწრაფად მოხდა, მაგრამ არ მგონია, რომ მზად არ ვიყავი. უკვე რამდენიმე გუნდში მქონდა ნამუშევარი. რასაკვირველია, ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო, და უდიდესი გამოცდილება მივიღე. ჩვენ ევრო 2008-ზე გავედით, სადაც მეოთხედფინალში ესპანეთთან პენალტების სერიაში დავმარცხდით. ეს ჩემი კარიერის მნიშვნელოვანი და პოზიტიური პერიოდი გახლდათ. როდესაც ნაკრებიდან წამოვედი, ფიფას რეიტინგში „ლა ნაციონალე“ მეორე ადგილზე იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კარგად ვმუშაობდით.

**- რას იტყვით იმ ცვლილებებზე, რომლებიც იტალიურ ფეხბურთშია. ნაკრებმა და რამდენიმე კლუბმა სტილი შეცვალა და შემტევი ფეხბურთის თამაში დაიწყო...**

- ეს მართლაც კარგი საყურებელია. ჩეზარე პრანდელის კარგად ვიცნობ, მასთან ერთად „ატალანტაში“ ვთამაშობდი. იგი ძალიან გამოცდილია და მის საფეხბურთო ხედვას ვიზიარებ. სწორედ ამ სტილმა და ხედვამ მოუტანა მას კარგი შედეგი. რასაკვირველია, ადვილი არ არის ასე ლაღად თამაში და თან შედეგის მოპოვება და მოწონების დამსახურება. ამას დრო სჭირდება. ჯერჯერობით, ყველა კლუბს სტილი არ შეუცვლია, მაგრამ ვფიქრობ, ეს მოხდება.

**- ჩეზარე პრანდელიმ ნაკრებში „პარმას“ ორ ფეხბურთელს გამოუძახა - მარკო პაროლოსა და გაბრიელ პალეტას. ეს დიდი წარმატებაა...**

- ნამდვილად, ეს გუნდის თითოეული წევრისთვის სასიამოვნოა და უშუალოდ გამოძახებული ფეხბურთელებისთვის განსაკუთრებით. როგორც აღვნიშნე, ვცდილობ მოთამაშეებს გამოცდილება მაქსიმალურად გავუზიარო და როდესაც ვინმე ნაკრებში მიწვევას იღებს, ეს კიდევ უფრო მაძლიერებს და სტიმულს მაძლევს.

**- როგორ ფიქრობთ, „პარმა“ რომელსაც ახლა თქვენს ხელში შესანიშნავი სერია აქვს, 1990-იანი წლების დიდების დაბრუნებისკენ მიმავალ გზაზეა?**

- არა. არ მგონია, რომ ახლა „პარმას“ შეუძლია ისეთივე წარმატებული იყოს, როგორიც კლუბის იმ დიდებულ ეპოქაში გახლდათ. გუნდმა უკვე დიდი ინვესტიცია გაიღო, მაგრამ კიდევ უფრო მეტის დახარჯვა გიწევს ტოპ-ფეხბურთელებში, რადგან მათი ფასი უფრო და უფრო იზრდება.

**- შეუძლია იტალიის ნაკრებს 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალამდე მიღწევა?**

- ეს შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება, მაგრამ შესაძლებელია. იტალიას ნამდვილად აქვს პოტენციალი და ტექნიკური არსენალი ასეთი წარმატების მისაღწევად.

**გიორგი პაპაბაძე**

ძიუდო. ინტერვიუ თეა დონლუზაშვილთან

# რუსთა ქართველი დამრიგებელი

ძიუდოისტთა „გრან პრიზე“ რუსეთის ქალთა ნაკრებს სამშობლოში მწვრთნელი **თეა დონლუზაშვილიც** ჩამოჰყვა. ევროპის ჩემპიონი, 7-გზის (!) ფინალისტი და 3-გზის ბრინჯაოს მედალოსანი, ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი სპორტიდან სამი წლის წინ წავიდა, ახლახან კი პირად ცხოვრებასაც მიხედა და დაოჯახდა.

ის ქართველ ძიუდოისტ ქალთა სულ პირველ თაობას ეკუთვნის, რომელიც საკმაო წარმატებას მოუტანდა საქართველოს, რომ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, რამაც ჩვენთან სპორტი შეიწირა, ის კი კარიერის გადასარჩენად პეტერბურგში წავიდა.

ბევრი ქართველი ემიგრანტისგან განსხვავებით, ქართულად თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობს და ინტერვიუზეც უპრობლემოდ დაგვთანხმდა. მხოლოდ ეს გვთხოვა, ჯერ დელეგაციას გავაცილებ აეროპორტშიო. მართლაც, სასტუმროდან გუნდი გაამგზავრა და მერე ჩვენთვისაც მოიცალა. საუბარი სპორტული თემატიკით დავიწყეთ.

**- კმაყოფილი წავიდა თქვენი დელეგაცია თბილისიდან?**

- შედეგით კმაყოფილები წავიდნენ, მაგრამ ჭიდაობის ხარისხით გოგონების ნაკრებით არც მე ვარ კმაყოფილი და არც - მთავარი მწვრთნელი ეციო გამბა. უკეთეს ხარისხს მოველოდით. სადღეისოდ ჩვენთვის მთავარი ესაა და არა შედეგი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი 1-1.5 წლის შემდეგ იქნება. დღეს ძირითად ყურადღებას ტექნიკას, ტაქტიკას ვაქცევთ... კი, მედალიც კარგია - ამით რეიტინგშიც გვემატება ქულები, მაგრამ მედლები მაინც არ იყო ჩვენი აქ ჩამოსვლის მთავარი მიზანი.

**- ტურნირზე ქალთა ძირითადი ნაკრები გყავდათ ჩამოყვანილი?**

- ერთი-ორი მოჭიდავის გარდა, ყველა ძირითადი ნაკრების წევრია. 80 პროცენტით ესაა ჩვენი მთავარი გუნდი.

**- ვაჟების ნაკრების გამოსვლა როგორ შეაფასეს?**

- ისინი გამბასთან მეექვსე წელიწადია, მუშაობენ, და სხვა ტაქტიკა აქვთ, სხვა სიმაღლეზე არიან, ვიდრე - ქალთა ნაკრები. ყველანი კმაყოფილები ვართ ტურნირით. დარბაზიც აქვეა, არ გვჭირდებოდა ტრანსპორტი. კმაყოფილი ვარ იმით, რომ სამშობლოში ჩამოვედი, ირგვლივ ყველგან ქართული ლაპარაკი მესმოდა...

**- ალბათ, ანტონ კრივობოკოვი დიდი იმედით ჩამოვიდა, რადგან აქამდე სულ უგებდა ჩვენებს. ძალიან გულდაწყვეტილი იყო ფინალში ადამ ოქრუაშვილთან წაგებით?**

- კრივობოკოვი ჯერ ახალგაზრდებში გამოდის. ცხადია, გული დასწყდა ამ წაგების გამო, მაგრამ ჩვენც ვხვდებით და თვითონაც, რომ დღეს ოქრუაშვილი უფრო ძლიერია და ვერ მოუგებს მას. ეს უფრო მომავლის საქმეა.

**- თქვენს დროს მძიმე წონაში დიდი კონკურენცია იყო. ახლა თუ გყავთ ისეთივე ძლიერი თაობა?**

- სამწუხაროდ, სადღეისოდ – არა. მსუბუქი დ საშუალო წონები კარგი გვყავს, მძიმე წონას კი ბევრი დრო სჭირდება, რათა სუპერმოჭიდავეებად გაიზარდონ. ახალგაზრდებში კი არიან პერსპექტიული სპორტსმენები, მაგრამ იმათ ბევრი სჭირდებათ დიდ სპორტსმენად გასაზრდელად.

**- რუსეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ცოტა რთული იერარქიაა. თქვენ რა სტატუსით მუშაობთ - უფროსი მწვრთნელი თუ?..**

- იქ მთავარი მწვრთნელია გამბა. მე ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვარ. ჩემსა და გამბას შორის კიდევ ერთი პოზიციაა – მთავარი მწვრთნელი, ვისაც აბარია ყველა ასაკობრივი ნაკრები როგორც ვაჟებში, ასევე – ქალებში. ამას მოსდევს უკვე უფროსი მწვრთნელი ვაჟებში, ქალებში, 23-წლიანებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში ორივე ასაკში.

**- ზემოთ ქართულ ლაპარაკზე ბრძანეთ. გეტყობათ, მონატრებული გაქვთ...**

- ბოლო ხანებში – იმდენად აღარ, რადგან მეუღლეც ქართველი მყავს და ოჯახში სულ ქართულად ვსაუბრობთ, მაგრამ როცა ირგვლივ ქართული საუბარი გესმის, ეს მაინც განსხვავებული რამეა. საქართველოში იშვიათად ჩამოვდივარ – წელიწადში, მაქსიმუმ, ორჯერ. იქ ძალიან დაკავებული ვარ, 320 დღე სულ გასულები ვართ შეკრებებსა და ტურნირებზე. თან მწვრთნელობა სპორტსმენობაზე ბევრად რთულია. სპორტსმენს რა მოეთხოვება – ივარჯიშე და გამოდი შეჯიბრებაზე, მწვრთნელობა კი ძალიან რთულია. არც მეგონა, ასე ძნელი თუ იქნებოდა, მაგრამ მაინც არ ვნანობ. ვგრძნობ, რომ ამით ვეხმარები გოგოებს, მათ ვჭირდები. ჯერჯერობით მიხარია და მომწონს ეს საქმე.

**- ამჯერად დიდხანს დარჩებით საქართველოში?**

- არა, მხოლოდ სამი დღე და მერე ისევ უნდა გავფრინდე. ჯერ სახლშიც არ ჩავსულვარ მცხეთაში – ჩემმა დამ და დისშვილმა ჩამომაკითხეს და ახლა მივდივარ. მამა ჯერ არ მინახავს.

**- სამშობლოს მონატრებაზე ამდენს საუბრობთ, თუმცა ხშირად გვინახავს კადრები, როცა ქართველებთან შეხვედრაში აქტიურად ქომაგობთ რუსებს...**

- ნაცნობი კითხვაა, რომელიც ხშირად დაუსვამთ ჩემთვის... მინდა ყველამ კარგად გამიგოს – 17 წელია, იქაურ ნაკრებში ვიყავი, ახლა მწვრთნელი ვარ, ეს ჩემი ცხოვრებაა, სამუშაო, პროფესია. ეს სპორტსმენებია, რაშიც ახლა ჩემს ენერგიას ვდებ, და ამ დროს ვუქომაგო სხვას? მე მინდა, ჩემმა შეგირდმა მოიგოს. რა - ეციო გამბამ იტალიელს უნდა უქომაგოს? ყველამ სწორად გამიგოს – როგორ გამოჩნდება, მე რომ ქართველს ვუგულშემატკივრო, ეს ხომ ნდობას დამიკარგავს? სპორტსმენებთან ჩემი დამოკიდებულება ხომ ნდობაზეცაა დამოკიდებული?

**- ალბათ, რუსეთში გადასვლას არც ნანობთ, რადგან ამით კარიერა გადაირჩინეთ...**

- მართლაც არ ვნანობ. პირიქით- ეს ჩემს ცხოვრებაში სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან აქ დარჩენის შემთხვევაში უბრალო ადამიანი ვიქნებოდი, ამდნს ვერ მივაღწევდი. რუსეთმა შემქმნა იმ პიროვნებად, რაც დღეს ვარ, სპორტსმენად რუსეთმა მაქცია. მათ დიდი შრომა ჩადეს ჩემში. არავის დავუმცირებივარ, ყოველთვის კარგად მექცეოდნენ. არ ვიცი, რას მპირებს ცხოვრება მომავალში, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რამდენიმე წელიწადში დავბრუნდე მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ რაღაცით დავეხმარო ქართულ ძიუდოს.

**- მეუღლეც ძიუდოისტია?**

- არა, ყოფილი მოკრივეა – ალექსანდრე ჯიოშვილი. 7 წელიწადია, სანკტ პეტერბურგში ცხოვრობს, სადაც თავისი ბიზნესი აქვს. იქ ქართული ეკლესია გვაქვს, სადაც დავდივარ. პირველად იქ მნახა, თუმცა იქამდე უკვე გაგებული ჰქონდა ჩემზე. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდი ველარ მივედი ეკლესიაში და თურმე მეძებდა, უნდოდა გაცნობა, მაგრამ უთხრეს, მოსკოვში გადასახლდაო. თუმცა საერთო ნაცნობი აღმოაჩინა, რომლის მეშვეობითაც დამიკავშირდა.

**- საქართველოში დაბრუნებას ფიქრობთ თუ ბოლომდე იქ აპირებთ დარჩენას?**

- შემოთავაზებას ვერ ვიტყვი, მაგრამ პირად ლაპარაკში კი უთქვამთ ქართველებს, ჩვენს ნაკრებს თუ გაწვრთნიდიო. დიდი სიამოვნებით! ჯერჯერობით არ ვგეგმავთ გადმოსახლებას, მაგრამ აქ ქართველ გოგოებს რომ შევხედე, ძალიან მომეწონა. ჭიდაობა კი არა, მათი ხასიათი მომეწონა. ამათ რომ ბევრი შეჯიბრება და შეკრება ჰქონდეთ, მეტი დატვირთვა, მეტი შრომა, ყურადღება, სხვანაირი მიდგომა, ძალიან კარგი იქნება. ამათში ვხედავ პერსპექტივას.

**- წარმატებული კარიერა გქონდათ, თუმცა დარჩა აუღებელი სიმაღლეებიც. ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?**



თეა დონლუზაშვილი

- რომ ვერ მოვიგე ოლიმპიადა, მსოფლიოს პირველობა. მსოფლიოდან სამი მედალი მაქვს – ვერცხლი და ორი ბრინჯაო. დასანანია, რომ ვერ გავიმარჯვე ამ შეჯიბრებებზე.

**- ქებაძის და ჩიბისოვას შეხვედრაზე რას იტყვით, რამდენად სამართლიანად იქცეოდა მსაჯი? შეხვედრის შემდეგ ქებაძესთან მიხვედით კიდეც და ანუგეშეთ...**

- მე განცვიფრებული ვარ ქებაძით! არ მოველოდი მისგან ასეთ ბრძოლას და წინააღმდეგობას. შეხვედრის შემდეგ მივედი და ვუთხარი, ძალიან კარგი გოგო ხარ, ძალიან მომეწონე და ყოჩაღ-მეთქი. კარგი ხასიათი აქვს და ჟინიანად ჭიდაობდა – ეტყობოდა, რომ სურდა მოგება. თან პატარაა ტანად და მოუხერხებელია. იაპონელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაზაკი მუნეტა იყო ასეთი ტანდაბალი და იმის მსგავსი სტილი აქვს.

ვერ ვიტყვი, რომ მსაჯმა დაჩაგრა ქებაძე. ჩემს სპორტსმენს უფრო მეტი რეალური შეტევა ჰქონდა, ქებაძე კი უფრო კონტრშეტევებზე ჭიდაობდა.

**- დასასრულს თქვენს კონკურენტ ელენე ივაშენკოზე გკითხავთ, რომელიც საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. გაირკვა მისი სიკვდილის მიზეზი, ან რა ვერსიებზეა ლაპარაკი?**

- ვერსია უამრავია. მისთვის ოლიმპიადიდან უმედლოდ დაბრუნება შოკი იყო. ეს მომენტი ვერ გადალახა, ვერ ჩადგა მწყობრში. თან მუხლებზე სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გამბამ იტალიაში გაგზავნა სამკურნალოდ, სადაც ჯერ ერთ მუხლზე გაუკეთეს ოპერაცია. რეაბილიტაცია იმდენად კარგად წავიდა, რომ მეორეზე ოპერაცია ორი თვით ადრე გადმოსწიეს. ივაშენკოსთან დაკავშირებით დიდი გეგმები გვქონდა, რადგან ის მზა სპორტსმენი იყო, რომელიც ტრავმების მოშუშების შემდეგ ნამდვილად მოგვიტანდა ოლიმპიურ მედალს. გამოძიება დასრულდა და თვითმკვლელობაზე შეჯერდნენ, თუმცა სხვა ვერსიებიც არსებობს. მაგალითად, ამბობენ, რომ თითქოს ინტერნეტით რაღაც სატანისტურ დაჯგუფებას დაუკავშირდა, არის ბევრი მითქმა-მოთქმა, ოღონდ ყველა გაჩუმებულია და ოფიციალურად არაფერს ამბობენ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



# ორხელისუფლებიანობა

გლდანის სახელბურთო დარბაზში განახლდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა. საგაზაფხულო ეტაპის მონაწილე 10 გუნდი ფინალურ ექვსეულში გასასვლელად იბრძვის. ასპარეზობის სტარტზე გამარჯვებები მოიპოვეს ლიდერებმა - თბილისის „ქარიშხალამ" და „პეგასმა". ისინი უდანაკარგოდ მეწინავეობენ. 8 ქულით „იმედი" მესამე ადგილზეა.

გაუწყებთ პირველი ტურის შედეგებს:

**გორი-იმედი 33:41**

**გორი:** ვათიაშვილი, მურადაშვილი-9, ტარუაშვილი-7, მჭედლიშვილი-5, ნიაზაშვილი-5, ტიელიძე-3, დალაქიშვილი-3, ქესანაშვილი-1, ბეთლემიშვილი, თომაშვილი, ღვინიაშვილი.

**იმედი:** ხარაიშვილი, როკაშვილი, ჰუსეინოვი-10, რუსტამოვი-6. მღებრიშვილი-6, დვალიძე-5, მიქავა-5, ბაინაზაშვილი-4, იობაშვილი-3, თურქაძე-2, საძაგლიშვილი, მელაშვილი, კვირკველია, ჯაბანაშვილი.

**მამული-თელავი 34:30**

**მამული:** დავითაშვილი, წულიაშვილი, კორაშვილი-15, ტალახაძე-5, შევჩენკო-5, სხვიტარიძე-4, თოდუა-3, ისმაილოვი-2, ძაგანია, სექანია, ცხვედიანი, არუთინიანი, სამადაშვილი.

**თელავი:** ლილუაშვილი, ერგემლიძე, დანელიშვილი-15, კაიშაური-9, ყორიაული-3, ბაჩიაშვილი-3, გიგაური, ალვინოვი, ხელაშვილი, სალირაშვილი, მესხიშვილი, გაგნიძე.

**პეგასი-ფოთი 39:24**

**პეგასი:** ზურაბიშვილი, მჭედლიძე, გოგავა-9, გაწერელია-8, ცხოვრებაძე-6, ზარნაძე-5, ნაზლაიძე-4, ლაპიაშვილი-3, მაისურაძე-2, ხვადაგიანი-1, კაჭკაჭაშვილი, კალანდაძე, ბაბუციძე.

**ფოთი:** ზარგინავა, ბიბილეიშვილი-11, მიქაძე-6, ბაჯალაძე-2, ბერაია-2, ლორთქიფანიძე-2, ჯიქია-1, გურეშიძე, მიქაია.

**ქარიშხალა-სამტრედია 31:21**

**ქარიშხალა:** ხანდოლიშვილი, ხიდაშელი, კბილაშვილი-12, ფერაძე-6, ბულბულაშვილი-4, არსენაშვილი-3, გოგუა-3, მამულაშვილი-2, წიკლაური-1, ჯინჭარაძე, ფხაკაძე, აროშიძე, კვირკველია, ფარესიშვილი.

**სამტრედია:** გოგუა-1, ანტონოვიჩი-5, ცხვარაძე-5, ბოცვაძე-4, ჯორბენაძე-3, ძნელაძე-2, ზურაბიანი-1, ხვიჩია.

**ზუგდიდი-ყვარელი 27:20**

**ზუგდიდი:** ხასია, გრიგოლია-12, ბულია-6, ძაძამია-3, კუკავა-3, ესართია-2, ხურციძე-1, თოდუა, ჩიქობავა, კვარაცხელია, ეხვაია, გოგოხია.

**ყვარელი:** მამუკიშვილი, ჭერაშვილი-7, ხაჩიშვილი-5, მეტრეველი-3, ბურკაძე-4, ჯიქურიშვილი-1, ელოშვილი, ბეშანშვილი, ცუკილაშვილი.

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე, გია წივწივაძე, გიორგი სამყურაშვილი

| | მ | ფ | წ | ბ. სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ქარიშხალა | 5 | 0 | 0 | +62 | 10 |
| პეგასი | 5 | 0 | 0 | +54 | 10 |
| იმედი | 4 | 0 | 1 | +26 | 8 |
| ზუგდიდი | 3 | 0 | 2 | -5 | 6 |
| მამული | 3 | 0 | 2 | -12 | 6 |
| გორი | 2 | 0 | 3 | +12 | 4 |
| ფოთი | 2 | 0 | 3 | -30 | 4 |
| სამტრედია | 1 | 0 | 4 | -30 | 2 |
| თელავი | 0 | 0 | 5 | -29 | 0 |
| ყვარელი | 0 | 0 | 5 | -48 | 0 |

საუკეთესო ექვსეული ფინალურ ეტაპზე მედლებისთვის იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**

# სუპერრატი

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრების ერთი ნაწილი უცხოურ კლუბებში თამაშობს და წარმატებითაც. რამდენიმე მათგანი საკუთარ გუნდებს გოლებითაც შეეწია. თურქეთში დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი და პლეი ოფის ჯერი დადგა. რატი მსხვილიძემ 11 გოლი გაიტანა ბოლო ტურის მატჩში, „ტრაბზონსფორმა" ბოლო ტურის მატჩში 31:29 დაამარცხა ანკარის „მილი პიანგო". მასპინძელთაგან (გიგა ტორონჯაძეს არ უთამაშია) რატი მსხვილიძემ 11 გოლი მიითვალა. „ტრაბზონმა" რეგულარულ პირველობაში 35 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. თურქეთში რეგულარული სეზონის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: 1. „ბეშიქთაში"- (49), 2. „ანკარასფორი"- (39), 3. „ანკარა"- (39), 4. „ტრაბზონსფორი"- (35), 5. „ბურსა"- (30), 6. „მერსინი"- (25), 7. „მილი პიანგო"- (23), 8. „გენჩლერბირლიგი"- (22), 9. „იზმირი"- (21), 10. „ანთალიასფორი"- (21), 11. „ისტანბული"- (21), 12. „ჯანქაია"- (20), 13. „იედითეფე"- (19), 14. „ადანა"- (0 ქულა).

■ ■ ■

რუმინეთში რეგულარული სეზონის დამთავრებამდე რჩება ერთი ტური, რომელიც 9 აპრილს გაიმართება, თუმცა ქართველთა კლუბებისთვის ყველაფერი გარკვეულია. „შტიინცა ბაკეუ" სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე დარჩება და პლეი ოფში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს, ხოლო მეათე ადგილზე მყოფი ტიმიშოარას „პოლიტექნიკა" პლეი აუტს ითამაშებს. ბოლოსწინა ტურში „ბაკეუ" (შოთა თევზაძე და ვლადიმერ რუსია მოედანზე არ გასულან), ბუქარესტის „დინამოსთან" 28:36 დამარცხდა, ხოლო „ტიმიშოარამ" „პოტაისა ტურდასთან" წააგო - 25:27. ტრავმის შემდეგ ჩემპიონატში დაბრუნებულმა ირაკლი ჩიქოვანმა 2 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

მაკედონიის „ზომიმაკ სტრუმიცა" ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მეხუთედაც დამარცხდა, ამჯერად შინ საფრანგეთის „მონპელიესთან" - 19:32, წაგებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო რევაზ ჭანტურია. ქართველმა გარემარბმა 5 გოლი გაიტანა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის - ტიერი ომაიერის კარში. თავის მხრივ, ომაიერი ერთი ბურთით შეეწია გამარჯვებულ თანაგუნდელებს.

**ვაჟა დანელია**



უტევს რატი მხვილიძე (24)

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასაწყისი „ლელო" № 16-19,21-23,38-39,41-43,46-49,51-52,55-56

### ორი გაზეთის გაერთიანება

მძიმე წლები ჯერ კიდევ გვედგა, როცა ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, მუდამ სასიკეთო საქმისთვის შემართულმა **პაატა ნაცვლიშვილმა** ერთ დღეს რედაქციაში შემოიარა და, როგორც სჩვევია, კარგად ნაფიქრი წინადადება - გაზეთ „სპორტისა" და „ლელოს" ერთ გამოცემად გაერთიანება შემომთავაზა. „სპორტი" იმჟამად უკვე სოლიდური და ავტორიტეტული სპორტული გაზეთი იყო. გავიკვირვე, მაგრამ შერწყმის მიზეზის ღრმად ჩაძიების არანაირი ეჭვი არ გამჩენია. რაკი ოლიმპიურმა ფონდმა და მისმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** ამ ორი სპორტული გამოცემის გაერთიანებაზე თანხმობა განაცხადა, წინადადება იმ პირობით მივიღე, რომ ჩვენი გაზეთი სახელს და სახეს სრულად შეინარჩუნებდა, მხოლოდ გაძლიერდებოდა. ოღონდაც ამ მცდელობას სასურველი შედეგი მოეტანა, გაზეთის 50 პროცენტი წილი უსასყიდლოდ გადავეცი ოლიმპიურ ფონდს.

„სპორტში" მართლაც უნიჭიერესი ჟურნალისტები მუშაობდნენ. 2007 წლის პირველი იანვრიდან „ლელო" გახდა უკვე 16-გვერდიანი გამოცემა და კონცეფცია, რომელიც **პაატა ნაცვლიშვილს** მეგობრებთან ერთად „სპორტისთვის" ჰქონდა ადრე შემუშავებული, გადმოვიტანეთ „ლელოში". ფაქტობრივად, ის გაზეთი მივიღეთ, როგორიც დღეს არის „ლელო", ოღონდ გარე და შიდა გვერდები მოგვიანებით გაფერადდა.

**ნუგზარ შატაიძის მოგონებიდან:** „ლელოში" 1978 თუ 79 წელს დავიწყე მუშაობა. იქ ისეთი ხალხი დამხვდა, საოცარი ადამიანები, გამოცდილი ჟურნალისტები, რომლებისგანაც მე ძალიან ბევრი რამე ვისწავლე. „ლელო" პოპულარული გაზეთი იყო. კიოსკებთან, დილაობით, რიგი იმართებოდა ხოლმე და ადამიანები ასე ამბობდნენ: „ლელო", „თბილისი", „კომუნისტი", ასე სთხოვდნენ გამყიდველს. ჩვენ გვეამაყებოდა ამ ტრადიციულ გაზეთში მუშაობა. ეს გახლდათ მიშა კაკაბაძის ტრადიციები, შესანიშნავი ტრადიციები. დღეს ორი გაზეთი - „სპორტი" და „ლელო" გაერთიანდა. ეს სასიხარულო ამბავია იმიტომაც, რომ არსებობს საქართველოში გაზეთი, რომელსაც „ლელო" აწერია".

ამ შერწყმას ორივე მხარის ჟურნალისტთა ამქარი გაგებით მოეკიდა. გავიდა რამდენიმე თვე და მერე გავიგე, რომ „სპორტს" ვალები ჰქონია. დამფინანსებელს რედაქცია დონორობის შეწყვეტის თაობაზე გაუფრთხილებია. მდგომარეობა, სამწუხაროდ, არც ამ ორი გაზეთის გაერთიანების შემდეგ გამოსწორებულა. ვალს ვალი ემატებოდა, დავალიანება გაიზარდა. მიზეზთა გამო, არ გაამართლა „ლელოს" ბრენდზე გათვლილმა მოლოდინმა. პირველი, რაც დამფინანსებელმა გააკეთა, მე, როგორც მთავარ რედაქტორს, შემიწყვიტა ხელფასი. არ შემიძლია, რაიმე დავამტკიცო, მაგრამ ფაქტია, ძალიან ცუდად გამოვიდა. არც ის.ვიცი, ეს რა სვლა იყო და რაზე იყო გათვლილი, რა ქვეტექსტი ჰქონდა ამ ყველაფერს.

### გამონათება

აქვე უნდა ითქვას, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ათწლეულობით აპრობირებული სისტემის ნგრევას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ და ყველაფერი ძველის გადმონაშთად არ მოუნათლავთ. წარმოუდგენელია, რა უნდა ყოფილიყო მიუღებელი, დასაწუნი და თავიდან მოსაშორებელი იმაში, სახელმწიფო თუ ერის ჯანმრთელობისა და უმაღლესი ოსტატობის სპორტისთვის ზრუნვას, გარკვეულწილად მაინც, კვლავინდებურად შეინარჩუნებდა?

ურთიერთობას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან, 2004-ში თავმჯდომარის პოსტიდან **ირაკლი მეძმარიაშვილის** წასვლის შემდეგ ჩვენი გაზეთისთვის სასიკეთო პირი აღარ უჩანდა. ეტყობა, ასე ადვილად დასათმობი არ ვიყავით. განსაკუთრებით აქტიურობდა „ლელოს" ძველი მეგობარი, აწ განსვენებული ქალბატონი **ნარგიზა მესხი.** ათეული წლები იმუშავა მან სპორტის ხელმძღვანელ უმაღლეს სახელმწიფო სტრუქტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამმართველოს უფროსად. მესვეურები იცვლებოდნენ, ის კი რჩებოდა. უნარიანი, მრავლის მომსწრე და მნახველი მუშაკის ცოდნა და ავტორიტეტი ყველას სჭირდებოდა. ქალბატონი **ნარგიზა** ბევრ პრობლემას არეგულირებდა, ანეიტრალებდა კონფლიქტურ სიტუაციებსაც კი. მისი თაოსნობით, იმ დროს ახალმოსული ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთს - **ირაკლი სამყურაშვილს** შევხვდი, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი, მაგრამ ამ ახალგაზრდამ პირველივე ურთიერთობისას კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

**ირაკლი სამყურაშვილს** 2007 წლის იმ ავადსახსენებელი 7 ნოემბრის ამბების შემდეგაც შევხვდი და, არ დავმალავ, მიუკიბავად, მაგრამ მოკრძალებულად ვთხოვე, იქნებ მასაც ეფიქრა გაზეთის გადასარჩენად გამოსავლის ძიებაზე. მას ამ დროს უკვე ვიცნობდი, როგორც გულისხმიერ პიროვნებას და შესანიშნავ მენეჯერს. ზუსტად არ მახსოვს, რამდენი დრო გავიდა, მაგრამ ერთ დღეს მისგან უკვე საიმედოდ დამამშვიდებელი შემოთავაზება მივიღე. ღმერთმანი, გაოცებულიც კი დავრჩი - ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, ანუ არაფრის სანაცვლოდ სპონსორს მთავაზობდა. და იმ ადამიანმა, **კობა სვინტრაძემ,** რომელიც ადრე ჩემთვის კარგად ნაცნობი, სპორტის და ჩვენი გაზეთის დიდი ქომაგის - შვილი აღმოჩნდა, გულწრფელად გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ამოგვიდგა მხარში. ირაკლი სამყურაშვილს გულთან ახლოს სხვა დროსაც არაერთხელ მიუტანია ჩვენი პრობლემები.



ლელოს ფოტომემატიანე: მიხეილ ზარგარიანი („პროფესორა")

2007 წლის შემოდგომაა. არასასიამოვნო ამბები ყოველდღე გვესმოდა იმ დერეფანში, რომელიც საზიარო გვქონდა „იმედის" ტელევიზიის ერთ-ერთ სამსახურსა და"ლელოს" რედაქციას. იჯარას ვიხდიდით - შენობა „კინოსტუდია ქართული ფილმის" იყო. რაც 2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა, უბედურებადაც იქცა ამ გაზეთის ისტორიაში და დაუვიწყარ სათაგადასავლო ამბად დარჩება პირადად ჩემთვისაც. დიახ, „იმედის" დარბევის არეალში მოექცა „ლელოს" რედაქციაც. მრბეველთაგან მაშინ არავინ დაიწყებდა იმის გარჩევას, ვისი რომელი ოთახი იყო, ან კომპიუტერული ტექნიკა, ან საბუღალტრო საქმეები ვის ეკუთვნოდა. პირწმინდად განადგურდა ყველაფერი. წაიღეს საბუთები, რედაქციის ბეჭედიც კი.

„იმედის" ტერიტორიაზე ჩოჩქოლი რომ ატყდა, სერიოზულად შევშფოთდით, მით უფრო, რომ ცნობილმა პოლიტიკოსებმა, უცნობმა ადამიანებმაც კი დაიწყეს რედაქციაში თავის შეფარებმა. კატეგორიულად გვაფრთხილებდა დაცვა, დაგვეტოვებინა შენობა. ჯერ თავს ვიკავებდი, მაგრამ მალე იძულებული გავხდი, თანამშრომლებისთვის გამომეცხადებინა, შეეწყვიტათ უკვე სანახევროდ მომზადებულ გაზეთის ახალ ნომერზე მუშაობა და გასცლოდნენ იქაურობას. ეს დროულად მოხდა, ამიტომ უვნებლად გადავრჩით ყველანი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ქართველები NBA-ში




# ზაზამ პასებში პოლსაც აჯობა...

## სულ ცოტა ორმაგ დუბლამდე

საქართველოს ნაკრების ცენტრმა **ზაზა ფაჩულიამ** მარტში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან „მილუოკის“ მაისურით ლოს ანჯელესში „კლიპერსთან“ ითამაშა და დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წუთებზე 98:106 დამარცხდა. არადა, საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე მილუოკელთა ჩამორჩენა მხოლოდ 4 ქულა იყო (92:96)...

ზაზას თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი, 8 პასი ჰქონდა, არადა, თავისუფლად შეიძლებოდა შედეგიან გადაცემებში 10-საც ასცდენოდა, მაგრამ მისი პასების შემდეგ 3-4 შეტევაში ბევრმა იოლად ჩასაგდებმა ბურთმა ვერ მიაღწია მიზანს.

8 პასს ფაჩულიამ 14 ქულა მიამატა. ესეც კარგი მაჩვენებელია, მით უმეტეს, რომ მასზე მეტი სტუმართაგან მხოლოდ **რეიმონ სეშენსმა** ჩააგდო - 28 ქულა. ქართველმა მეფარემ 35 წუთში 11 ორქულიანიდან 7 მოათავსა კლიპერსელთა კალათში. შვიდიდან ხუთი კი საშუალო და შორი (ოღონდ არა სამქულიანი) ტყორცნების შედეგი იყო. ამ მხრივ ლოსანჯელესური მატჩი მართლაც გამორჩეული იყო: ფაჩულიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ კალათიდან მოშორებით მყოფს ერთი კი არა, ზედიზედ რამდენიმე ორქულიანის რეალიზება შეუძლია. ეს მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** შეიძლება დამატებით იარაღად გამოიყენოს.

გავიმეოროთ: 14 ქულა, 8 პასი, 1 ჩაჭრა და 6 მოხსნა. მართალია, ზაზას მოხსნების თვალისმომჭრელი რაოდენობა არ ჰქონდა, მაგრამ ზოგადად მისი, **ჯეფ ედრიენისა** და **ჯონ** ჰენსონის დამაჯერებელი თამაშის წყალობით „მილუოკიმ“ ძლიერი წინა ხაზის მქონე „კლიპერსს“ ფარქვეშ ჩვეულად თამაშის უფლება არ მისცა: სამწამიანი ზონიდან მხოლოდ 40 ქულა ჩააგდებინა, მაშინ როდესაც ამ ზონიდან თავად 54 ქულა მიითვალა. კლიპერსის ლიდერმა **ბლეიქ გრიფინმა** 27 ქულა კი ჩააგდო, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ერთადერთხელ ჩატენა, ახლო და საშუალო მანძილიდან ტყორცნებით იხვეჭდა მონაგარს.

„მილუოკი ბაქსისთვის“ ეს იყო სეზონის 58-ე მარცხი. მის ანგარიშზე მხოლოდ 13 მოგებაა. ვისკონსინელებს მომდევნო მატჩში მოგების უკეთესი შანსი აქვთ, რადგან დასავლეთის კონფერენციის აუტსაიდერ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ეთამაშებიან. მატჩი კალიფორნიაში 27 მარტს გაიმართება.

■ ■ ■

**თორნიკე შენგელიას** „ჩიკაგო ბულსი“ წარმატებულ სვლას განაგრძობს. „ხარებმა“ ამჯერად აღმოსავლეთის ლიდერი „ინდიანა“ დაამარცხეს - 89:77.

მატჩის ბომბარდირი ჩიკაგოელი **ტაჯ გიბსონი** გახდა, რომლის ანგარიშზე 23 ქულაა. ქართველმა თორნიკე შენგელიამ მხოლოდ 13 წამი ითამაშა. ცხადია, ასეთ მცირე დროში მისგან ქულა-მოხსნა-პასებს არ უნდა ველოდოთ. არადა, ყველას კარგად მოგვეხსენება, რა შეუძლია თორნიკეს. დაველოდოთ სათამაშო დროის გაზრდას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი



# გაატამეტეს

იტალიის ვერცხლის ლიგაში ერთპიროვნულ ლიდერ „აგრიჯენტოს“ დაუპირისპირდა **ნიკა მეტრეველის** „როსეტო“. გაიმარჯვა ფავორიტმა - 89:68. დამარცხებული როსეტოელები საპლეიოფო ზონასთან ახლოს არიან - მერვე-მეცხრე ადგილებს ინაწილებენ „რავენასთან“. ორივეს 13-13 მოგება-წაგება აქვს.

ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 29 წუთი გაატარა და 6 ორქულიანიდან 4 ჩააგდო. მისი სრული მონაგარი ასეთი იყო: 8 ქულა, 3 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება. „როსეტოს“ სნაიპერი **ალექს ლეგიონი** გახდა - 29 ქულა, 11 მოხსნა.

30 მარტს მეტრეველის თანაგუნდელები მეექვსეადგილოსან „ტრევოლიოს“ უმასპინძლებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. შეხვედრა

# სოხუმის გადასარჩენად

საკალათბურთო გუნდ „სოხუმის“ ფინანსური პრობლემების შესახებ არაერთხელ დავწერეთ და ისიც იცით, გუნდი უხელფასობის მიუხედავად სუპერლიგაში ასპარეზობასაც აგრძელებს და საქართველოს თასის ფინალისთვის „ქუთაისთან“ სათამაშოდაც ემზადება.

თუმცა მშრალ ენთუზიაზმზე ვერც ერთი გუნდი ვერ გაძლებს დიდხანს. ამიტომ, სიტუაციის გამოსწორებისთვის საქმეში ზედა ეშელონებიც ჩაერთნენ. გუშინ „სოხუმზე“ სამსჯელოდ სპორტის სამინისტროს საკალათბურთო დელეგაცია ესტუმრა. შეხვედრას ესწრებოდნენ: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლევან ყიფიანი**, მოადგილე **თამაზ თევზაძე**, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი - **მიხეილ გაბრიჩიძე**, გენერალური მდივანი **გიორგი ქართველიშვილი** და ვიცე-პრეზიდენტი - **კახა შენგელია**. „სოხუმის“ მხარეს კი წარმოადგენდნენ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვაჟა კვარაცხელია**, ასაკობრივი გუნდის მწვრთნელი **ლიკა ქაჯაია**, მოთამაშეები - **რატი ბაააკაშვილი** და **გრიგოლ შვანგირაძე**, ასევე გუნდის ფინანსური მენეჯერი - **ალექსანდრე დოლიძე**.



წინასწარ ცხადი იყო, რომ ერთი შეხვედრის შემდეგ სტუაციის რადიკალურად შემობრუნების იმედი არ უნდა გვქონოდა. მთავარი იყო დასახულიყო „სოხუმის“ კრიზისიდან გამოყვანის გზა. კლუბის მთავარი მწვრთნელი **ვაჟა კვარაცხელია** დაიმედებული გამოვიდა:

*- ნაყოფიერი შეხვედრა გამოდგა. სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი დახმარებას დაგვპირდა. ცხადია, დღესვე არ ველით სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ კალათბურთელებისთვის ერთგვარი სტიმული იქნება საქართველოს თასის ფინალის წინ.*

ფინალს სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანიც** შეეხო:

*- „სოხუმი“ კარგი გუნდია და მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული პრობლემების წინაშეა, საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. გუნდი ამ მატჩისთვის ემზადება და ვეცდებით ხელი შევუწყოთ. საერთოდ კი უნდა ვიზრუნოთ ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რომ მთელი გუნდის ბედი დამოკიდებული არ იყოს ერთი კონკრეტული პიროვნების გადაწყვეტილებაზე.*

ბოლოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **მიხეილ გაბრიჩიძეს** მოვუსმინოთ:

*- მოვლენებს გულშემატკივრის პოზიციიდან შევხედოთ: ტრაგედია იქნება საქართველოს ერთიანობის სიმბოლო „სოხუმმა“ ვერ დაამთავროს ჩემპიონატი. პირველ რიგში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ გუნდი კრიზისიდან გამოვიდეს. ცხადია, ჩვენც ყველანაირად ვუდგავართ გუნდს გვერდში.*

**ვაჟა სიმონიშვილი**




ჭადრაკი

# ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან

ორი ტურიც და კალკოტაში (ინდოეთი) დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. ისინი ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან: გუშინ მე-8 ტურში **ლევან ფანცულაია** თეთრი ფიგურებით ნაიჯელ შორტს (ინგლისი) დაუზავდა, ხოლო **მიხეილ მჭედლიშვილი** სეტურამანთან (ინდოეთი) დამარცხდა.

მეწინავენი: სანტოშ ვიდითი (ინდოეთი)-ოლივერ ბარბოსა (ფილიპინები), ზაურ რაჰმანი (ბანგლადეში)-აბჯით კუნტე (ინდოეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ, სამაგიეროდ, სეტურამანთან ერთად თითო ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში კონსტანტინ ლანდამ (რუსეთი), ალჰიბანმა და ბაბუ ლალითმა (ორივე-ინდოეთი). ამდენად, რვა ტურის შემდეგ 8 მოჭადრაკეს აქვს 6-6 ქულა, ხოლო თერთმეტმა მონაწილემ, მათ შორის - ფანცულაიამ და მჭედლიშვილმა, 5-5 ქულას მოუყარეს თავის.

**ვაჟა დანელია**

მხატვრული ტანვარჯიში

# რიოს ორიენტირი

ამას წინათ მოსკოვში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გრან პრის გათამაშებაზე **სალომე ფაჟავამ** ლენტითა და გურზებით ფინალში იასპარეზა და სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. ერთ-ერთ საიტზე ისიც დაიწერა, რომ კორეელმა სონ ენ ჯიმ, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მცირედით აჯობა სალომეს, ახალი ვერაფერი აჩვენა, ფაჟავა გურზებით მთიელ ჯიგიტს, ლენტით კი მაიკლ ჯექსონს მოგვაგონებდა.


სალომე ფაჟავა

სასიამოვნოა, რომ ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშე, რომელმაც 2015 წლის ევროპის პირველი თამაშებისა და კონტინენტის 2014 წლის ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მოიპოვა, ბოლო ორი წელიწადია, ნებისმიერ შეჯიბრებაზე მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა ოცეულში იკავებს ადგილს, რაც 2016 წლის რიოს თამაშებისთვის ორიენტირს წარმოადგენს. ახლაც სალომემ შტუტგარტში მსოფლიო თასის ეტაპზე მრავალჭიდში 26 მონაწილეს შორის 67.448 ქულით (რგოლი-16.633, ბურთი-16.983, გურზები-16.983, ლენტი-16.850) მე-14 ადგილი დაიკავა. 61.565 ქულით 24-ე იყო **ლიანა ცეცაძე**. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. იანა კუდრიავცევა (74.748), 2. მარგალიტა მამუნი (74.315), 3. მარია ტიტოვა (სამივე-რუსეთი, 71.889).

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# მოზარდები ოლიმპიკში

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში 2000 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა დაიწყო. შეჯიბრებაში 9 გუნდი მონაწილეობს. უკვე გაიმართა პირველი წრის ოთხი შეხვედრა: „ბათუმი“-„რუსთავი“ 19:0, „თბილისი“-„ტონუსი“ 15:1, „არენა“-„აკადემია-1“ 19:0, „ივერია“-„აკადემია-2“ 12:6.

მომავალ უქმეებზე „ოლიმპიკის აუზი 1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელებს დაეთმობათ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრებები

# უმცროსი ბორჯღალოსნები ინტენსიურად ემზადებიან

**საქართველოს 18 და 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებები აპრილში გასამართი უმნიშვნელოვანესი ტურნირებისათვის მზადებას შეუდგნენ.**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიოს ალაფისათვის მზადების ეგიდით საკონტროლო მატჩი გამართა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდების ნაკრებთან, რომლის შემადგენლობაში იყვნენ „ბორჯღალოსნები“: **შალვა მამუკაშვილი, ვაჟა ხუციშვილი, ირაკლი ყიასაშვილი, ბექა ნიკლაური** და **გივი ბერიშვილი.**

20-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დავით ვართანიანმა** გუნდის გაფართოებული შემადგენლობიდან ყველა ათამაშა. შეხვედრა უმაღლესლიგელთა გამარჯვებით დასრულდა - 31:28.

**ლადო კილასონია**, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„ეს ჩვენი მესამე საწვრთნელი შეკრებაა. აქტიურად ვემზადებით მსოფლიოს ალაფისათვის. ეს საკონტროლო მატჩი ძალზე სასარგებლო გამოდგა, რადგან ჩვენთვის ნათელი გახდა თუ რაზე გვაქვს დამატებით სამუშაო შეკრების დარჩენილ დღეებში. ხოლო ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს კი კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცა, უშუალოდ დააკვირდეს მომავალ თაობას.*

*მიმაჩნია, რომ გუნდი კარგად არის მომზადებული და შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაშია, მაგრამ იდეალურისგან მაინც შორს ვართ. როგორც აღვნიშნე, დარჩენილ დღეებს დავუთმობთ დღევანდელ შეხვედრაში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებას და პირველ აპრილს ჰონკონგში გავემგზავრებით, სადაც 2014 წლის 20- წლამდელთა მსოფლიო ალაფაზე ვითამაშებთ.“*

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ალაფაზე გამარჯვების შემთხვევაში, 20-წლამდელები გაისად მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

### საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი:** ზურაბ ჯულაყიძე (ლელო), გიორგი მარგველიანი, დავით ფხაკაძე (ორივე-არმაზი), ზურაბ ხარებავა (არმია), ბადრი ალხაზიშვილი (აკადემია), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), გიორგი ტორაძე, ჟორჟი სალაძე (ორივე-აია), შალვა ოდიშარია (ტულონი).

**მეორე ხაზი:** გიორგი სორდია (ლილი), როლანდ კვაჭაძე (ლელო), ბესო ბარბაქაძე, ნიკა გიგაური (ორივე-არმაზი).

**მესამე ხაზი:** ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი), თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო), ვახტანგ ამირანაშვილი (არმაზი), საბა შუბითიძე (აკადემია), დავით პაპავაძე (ჯიქები), ჟორა მღებრიშვილი (ხარები).

**№9:** თეიმურაზ თუთბერიძე (აია), რევაზ ბროძელი (არმაზი).

**№10:** გიორგი ბაბუნაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი (ორივე-აია)

**№12-13:** თემურ ირემაძე (აია), გიორგი ტალახაძე (აკადემია), გიორგი ფრუიძე (აია), გიორგი ნათელაშვილი (ხარები).

**№11-14:** ბადრი ლიპარტელიანი (არმაზი), შალვა შამიაშვილი (აია), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), დავით გულიტაშვილი (ხარები). დევი დევსურაშვილი (ჯიქები).

**№15:** გიორგი აფციაური (არმია).

**A ჯგუფი:** საქართველო, ტონგა, აშშ, ჰონკონგი.

**B ჯგუფი:** იაპონია, ურუგვაი, კანადა, ნამიბია.

### 7 აპრილი

**I ტური**

საქართველო-ტონგა, აშშ-ჰონკონგი, იაპონია-ურუგვაი, კანადა-ნამიბია.

### 11 აპრილი

**II ტური**

აშშ-საქართველო, ტონგა-ჰონკონგი, იაპონია-ნამიბია, კანადა-ურუგვაი.

### 15 აპრილი

**III ტური**

საქართველო-ჰონკონგი, აშშ-ტონგა, ურუგვაი-ნამიბია, კანადა-იაპონია.

■ ■ ■

გუშინ, თბილისში ერთ-ერთი ფრანგული გრანდის „კლერმონის“ 18-წლამდე მორაგბეთა გუნდი ჩამოვიდა, რომელიც საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებთან ორ შეხვედრას გამართავს.

“უმცროსი ბორჯღალოსნები“ შეკრებას 3 აპრილამდე განაგრძობენ, ხოლო 6 აპრილს ისინი ევროპის ჩემპიონატზე ელიტურ დივიზიონში საასპარეზოდ პოლონეთში გაემგზავრებიან.

## ქართული მონაგარი ელიტდივიზიონში

2012 და 2013 წლებში საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ზედიზედ სძლია იტალიელ თანატოლებს, რითაც ორივე შემთხვევაში მე-6 ადგილი დაიკავა.

აქედან გამომდინარე, ტურნირის ორგანიზატორებმა შარშან გადაწყვიტეს ჩვენი გუნდის ელიტურ დივიზიონში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე დატოვება.

ტურნირის განრიგის მიხედვით, უმცროსი ბორჯღალოსნები 11, 15 და 19 აპრილს ითამაშებენ. პირველ შეხვედრაში, შარშანდელის მსგავსად 18 წლამდელები ირლანდიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. დანარჩენი მატჩებში მათი მეტოქეები ტურნირის მსვლელობისას გაირკვევა.

### საქართველოს ნაკრები

ნიკა ნეფარიძე, ლუკა გოგინავა, ლაშა მამუჩარაშვილი, ლაშა გედეხაური (ოთხივე-ლოკომოტივი), ვანო მარგალიტაძე, ბესიკ გოგოლაძე, კახა ელბაქიძე (სამივე-თიბისი), გიორგი უშხვანი, თორნიკე მატარაძე, შაქრო ლომსიანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი ჯავახია, ოთარ გიორგაძე, მიხეილ გორგასლიძე, გია ხარაბაძე, თორნიკე მანაგაძე (ყველა-აია), ლაშა ტაბიძე, გიორგი ხუროშვილი, ვასილ ლობჟანიძე, თორნიკე ხურცილავა, დავით ლობჟანიძე (ხუთივე-არმაზი), თორნიკე აქუბარდია, ბექა გორგაძე, გიორგი კოშაძე (სამივე-ხარები), თორნიკე ზოიძე, კონსტანტინე ახობაძე, სანდრო ილურიძე (სამივე-აკადემია), ლაშა საჯაია, ირაკლი სვანიძე (ორივე-ჯიქები), გიორგი ჯღამია, ლევან გურგენიძე (ორივე-რაინდები), გიორგი კვესელაძე (იუნკრები), ლადო მიმინოშვილი (ბათუმი), გიორგი მელაძე (ყოჩები), ბექა ნონიაშვილი (ხულიგანა), მამუკა ჩანჩიბაძე (არწივები).

### ევროპის ჩემპიონატი

**1/4 ფინალი**

საქართველო-ირლანდია, ინგლისი-პორტუგალია, საფრანგეთი-იტალია, შოტლანდია-უელსი.

**რაგბის კავშირის პრესსამსახური**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*



ბურთით ირაკლი ყიასაშვილი

ლეგიონერები



შეტევაში სიმონ მაისურაძე

# სამი უკვე პლეი ოფშია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პლეი ოფში სამმა გააღწია. ესენია: „მასი“, „ლილი“ და „მაკონი“. „პერიგოს“ ბედი კი ბოლო ტურში გადაწყდება.**

A ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, დავით დადუნაშვილის** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მასიმ“, რომელმაც ბოლოსწინა ტურში სტუმრად დაამარცხა „კონიაკი“ - 31:21. შედეგად, პარიზელები უახლოეს მდევარს, **გიორგი სორდიას** „ლილს“ შვიდი ქულით უსწრებენ და ბოლო ტურში მარცხის შემთხვევაში, მაინც პირველ ადგილს ინარჩუნებენ.

ყუფარაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, სუთიაშვილი 41-ე წუთზე აშვეთიამ შეცვალა, დადუნაშვილი განაცხადში არ იყო.

„ლილმა“ თავის მხრივ შინ დაამარცხა **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერი“ 36:13 და პლეი ოფის მიღმა დატოვა. სორდია ამჯერად განაცხადში არ იყო, გუჯარაიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ლილელებმა კი პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

დივიზიონის დატოვება მოუწევს **ირაკლი ნინიძის** „დიჟონს“, რომელიც ამჟამად 17 ქულით ბოლო ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი ბოლოსწინა ტურში სტუმრად დამარცხდა „ვანთან“ - 7:23. სამაგიეროდ, დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა **რეზო გიგაურისა** და **თემურ გელანტიას** „მონლუსონმა“, რომელმაც შინ დაამარცხა „ბობინი“ - 38:14.

დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის **გიორგი ტორაძისა** და **შოთა საყვარელიძის** „სენ ჟან დანჟელი“, რომელიც სტუმრად დამარცხდა „ნევერთან“ - 7:38. ბოლო ტურში ჩვენებურთა გუნდი შინ ეთამაშება „ვანს“. თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში ბოლოსწინა ადგილს ვერ ასცდება.

### A ჯგუფი

**კონიაკი-მასი 21:31, ლილი-სენ ნაზერი 36:13, მონლუსონი-ბობინი 38:14, ვანი-დიჟონი 23:7, ნევერი-სენ ჟან დანჟელი 38:7.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მასი - 69 ქულა, 2. ლილი - 62, 3. ნევერი - 62, 4. ვანი - 42, 5. სენ ნაზერი - 35, 6. ბობინი - 30, 7. კონიაკი - 29, 8. მონლუსონი - 28, 9. სენ ჟან დანჟელი - 22, 10. დიჟონი - 17.

**XVIII ტური**

მასი-ლილი, დიჟონი-კონიაკი, ბობინი-ნევერი, სენ ჟან დანჟელი-ვანი, სენ ნაზერი-მონლუსონი.

B ჯგუფში პირველობისთვის **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი“ იბრძვის, რომელმაც პლეი ოფის საგზური ჯერ კიდევ წინა ტურში გაინაღდა. მაკონელებმა მოულოდნელად შინ წააგეს „ექსთან“ - 18:24. დივიზიონის დატოვება მოუწევს **გიორგი კუთარაშვილის** „ანესის“, რომელიც სტუმრად დამარცხდა „ობენასთან“ - 7:54.

სავარაუდოდ, გადათამაშებაში განაგრძობს დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლას **მერაბ კვირიკაშვილისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენი“, რომელიც ბოლოსწინა ტურში სტუმრად დამარცხდა „რომანთან“ - 26:7. **საბა ქართველიშვილის** „შამბერიმ“ კი პლეი ოფში მოხვედრის შანსი სწორედ ბოლოსწინა ტურში დაკარგა, რადგან სტუმრად დათმო შეხვედრა „ლა სეინთან“ - 10:19.

### B ჯგუფი

**მაკონი-ექსი 18:24, რომანი-ვიენი 26:7, ლა სეინი-შამბერი 19:10, ობენა-ანესი 54:7, შალონი-ლა ვულე 31:19.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მაკონი - 54 ქულა, 2. ობენა - 54, 3. ექსი - 52, 4. ლა სეინი - 50, 5. რომანი - 47, 6. შამბერი - 44, 7. ლა ვულე - 34, 8. შალონი - 33, 9. ვიენი - 21, 10. ანესი - 9.

**XVIII ტური**

შამბერი-მაკონი, ექსი-რომანი, ლა ვულე-ობენა, ვიენი-შალონი, ანესი-ლა სეინი.

C ჯგუფში პლეი ოფში თამაში მხოლოდ ლიდერ „მონტობანს“ აქვს განაღდებული. **თედო ზიბზიბაძისა** და **გიორგი გაბელიას** „პერიგო“ ბოლო ტურში სწორედ მონტობანელებს დაუპირისპირდება. ამ მატჩის შედეგზე იქნება დამოკიდებული, ითამაშებენ თუ არა პერიგოელები გათამაშების მომდევნო ეტაპზე.

ბოლოსწინა ტურში კი ჩვენებურთა გუნდი უშუალო კონკურენტთან, „როდეზთან“ შინ დამარცხდა - 21:19. ზიბზიბაძე თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო, გაბელია განაცხადში არ იყო.

### C ჯგუფი

**ლანჟონი-მონტობანი 6:21, ტულე-ლორმონი 24:6, პერიგო-როდეზი 19:21, სენ ჟან დე ლუზი-ლიმოჟი 9:6, ლავორი-ენდაი 20:10.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მონტობანი - 80 ქულა, 2. ლანჟონი - 45, 3. პერიგო - 42, 4. სენ ჟან დე ლუზი - 42, 5. როდეზი - 41, 6. ლიმოჟი - 37, 7. ტულე - 35, 8. ლორმონი - 32, 9. ლავორი - 27, 10. ენდაი - 17.

**XVIII ტური**

როდეზი-სენ ჟან დე ლუზი, მონტბანი-პერიგო, ლიმოჟი-ლავორი, ლორმონი-ლანჟონი, ენდაი-ტულე.

D ჯგუფში **სიმონ მაისურაძის, ლაშა მალაღურაძის, ლადო გუნიავას, ბექა ურჯუკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბაგნერემ“ შინ დაამარცხა გათამაშების ლიდერი „ტიროსი“ - 24:13. თუმცა, მაინც პლეი ოფის მიღმა დარჩა.

დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლას განაგრძობს **მიხეილ გაჩეჩილაძის** „აჟეტმო“, რომელიც ბოლოსწინა ტურში სტუმრად დამარცხდა დიდი ანგარიშით „ვალანსთან“ - 3:39. ჩვენებურის ეს გუნდი ბოლო ტურში შინ ეთამაშება „კასტანეს“, რომელიც პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის.

### D ჯგუფი

**ვალანსი-აჟეტმო 39:3, კასტანე-ლურდი 38:7, ლანამეზანი-მოლეონი 32:10, ოლორონი-ბლანიაკი 18:18, ბაგნერე-ტიროსი 24:13.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 56 ქულა, 2. ოლორონი - 56, 3. ვალანსი - 48, 4. კასტანე - 48, 5. ლანამეზანი - 48, 6. ბაგნერე - 41, 7. ბლანიაკი - 38, 8. მოლეონი - 23, 9. აჟეტმო - 21, 10. ლურდი - 19.

**XVIII ტური**

ლურდი-ლანამეზანი, აჟეტმო-კასტანე, ბლანიაკი-ვალანსი, ტიროსი-ოლორონი, მოლეონი-ბაგნერე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# შაფათავამ ძირითადშიც იყოჩაღა

საკვალიფიკაციო ეტაპზე ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ თბილისელმა **სოფიო შაფათავამ** საფრანგეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ძირითად ბადეში ასპარეზობის უფლებაც დაიმსახურა. იქაც პირველი ბარიერი ძალების დაუძაბავად გადალახა - სტარტზე ოსინ დოდინს (საფრანგეთი) მოუგო 6:4, 6:1 და მეორე წრეში ვიქტორია გოლუბიჩის (შვეიცარია) მძლეველ (6:3, 5:7, 6:2) ონს ჯაბერს (თურქეთი) დაუპირისპირდება.

გუშინ შაფათავა მეორედაც გავიდა კორტებზე - ამჯერად წყვილებში ალემან ქრისტინა შაკოვეცთან ერთად. სამწუხაროდ, ქართულ-გერმანულმა დუეტმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფრანგების - ჯული კოინისა და პაულინა პარმენტიერის ტანდემს და შეხვედრა ორ სეტში - 1:6, 4:6 დათმო.

■ ■ ■

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია **სოფიო ქვაცაბაიამ**, რომელიც გუშინ მე-3 წრეში ჰოლანდიელ ბიბიან შუუფსთან დამარცხდა - 0:6, 2:6. **ეკატერინე გორგოძე** ძირითად ბადეში მე-8 ნომერია და სტარტზე ჩანტალ სკამლოვას (სლოვაკეთი) შეხვდება. წყვილებში ეკატერინე გორგოძეს და სოფიო ქვაცაბაიას განთესვის მეორე ნომერი აქვთ. გუშინ მათ სამ სეტში აჯობეს ასელ ჯუმამუხამბეტოვას (ყაზახეთი) და საბინა შაიდულინას (რუსეთი) - 6:3, 2:6, 10:8. ჩვენი ჩოგბურთელები მეოთხედფინალში შვედებთან - ელენ ალგურინსა და პაულინა ვულკენთან მოსინჯავენ ძალებს.

■ ■ ■

**ნიკოლოზ ბასილაშვილი** ანტალიაში ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის რეიტინგფავორიტი იყო, მაგრამ გუშინ უფლებამოსილება დათმო - პირველ წრეში კვალიფიკაციიდან ალზევებულ რუს ალექსანდრ ვასილენკოსთან დამარცხდა - 6:3, 3:6, 4:6. წყვილებში ჩვენებურს ბელარუს იაჰორ იაციკთან ერთად მიხალ კონეჩნისა (ჩეხეთი) და მაქსიმილიან ნეუჩრისტის (ავსტრია) ტანდემი ელის.

ვაჟა დანელია


სოფიო შაფათავა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# პატარების დიდი საევროპო მიზნები

სპორტკომპლექს „არენაში" ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. ამ ნაკრებისთვის ეს ერთ-ერთი მორიგი ეტაპია ევროპის პირველობისთვის გუნდის დასაკომპლექტებლად. კანდიდატებმა უკვე იასპარეზეს რამდენიმე შეჯიბრებაზე და მომავალში კიდევ მოუწევთ საკუთარი ფავორიტობის განმტკიცება. გუნდი წლეულს რამდენიმე ლიდერმა დატოვა, თუმცა თაობათა ცვლა ძალიან მტკივნეულადაც არ შეხებია. ცხადია, ახალი ხალხი ახლაც გამოჩნდა, თუმცა ჩემპიონატიდან ერთ შედეგს მაინც გამოვარჩევთ - 50 კილოგრამის ფინალში დამარცხდა **ლერი აბულაძე**, ვინც მოიგო საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში. თანაც - 55 კილოგრამში ანუ თავად განსაჯეთ, ასაკით უფროსებთან შედარებით (ის 1999 წელსაა დაბადებული) წონით რამდენად პატარა იყო. თუმცა მისი მძლეველი **ჯონი ხეცურიანიც** არაა უცხო - ის ამ ნაკრების სტაჟიანი წევრია და უკვე სტაბილურად დამკვიდრდა ამ წონაში.

აღსანიშნავია გარდაბნის, ოზურგეთის, ხობის, ქუთაისის გუნდების კარგი გამოსვლა, ხოლო თბილისი და განსაკუთრებით - აჭარა ისედაც ლიდერები არიან ამ სახეობაში და მათი მასშტაბური წარმატება არც გაგვკვირვებია.

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი წლეულს 6-11 მაისს ჩატარდება ბულგარულ სამოკოვოში. ეს ტურნირი ისედაც ხომ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჯერად დატვირთვა ორმაგდება იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტურნირზე წლეულსვე ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული თამაშების ლიცენზიები გაიცემა.

**კვარცხლბეკი**

**42 კგ.** 1. ნუგზარ წურწუმია (ხობი); 2. ირაკლი ძიმისტარაშვილი 3. ბექა ადიკაშვილი (ორივე - გარდაბანი), გიორგი კიკნაძე (თბილისი).

**46 კგ.** 1. თორნიკე მელაძე (აჭარა); 2. გიორგი მეფიშვილი (სენაკი); 3. ნოდარ ბელაშვილი (თბილისი), გიორგი ჩხაიძე (ოზურგეთი).

**50 კგ.** 1. ჯონი ხეცურიანი (ხობი); 2. ლერი აბულაძე (აჭარა); 3. შოთა ღლონტი (ოზურგეთი), ნიკა ყორშია (ხობი).

**54 კგ.** 1. დავით მარკოიძე; 2. გენადი ჩიტაძე; 3. ედემ ბერიძე (სამივე - აჭარა), რომან ლომინაძე (ოზურგეთი).

**58 კგ.** 1. გიორგი კურტანიძე (გარდაბანი); 2. დავით ირემაძე (აჭარა); 3. ოთარ მამნიაშვილი, გიორგი ქაცანაშვილი (ორივე - გარდაბანი).

**63 კგ.** 1. ნიკოლოზ ჭიკაიძე (გარდაბანი); 2. გიორგი გუჯაბიძე (ოზურგეთი); 3. ხვიჩა ტაკაშვილი (გარდაბანი), ვლადიმერ შავაძე (აჭარა).

**69 კგ.** 1. დემურ ქავთარაძე (გარდაბანი); 2. ლაშა ჭოლაძე (ქუთაისი); 3. ნოდარ შავაძე (აჭარა), გივი ქართველიშვილი (თბილისი).

**76 კგ.** 1. გურამ ხეცურიანი; 2. ალექსანდრე გუმბერიძე (ორივე - ქუთაისი); 3. კახა კალანდაძე, ელდარ სოლომონიძე (ორივე - ოზურგეთი).

**85 კგ.** 1. გიორგი ბარბაქაძე (გარდაბანი); 2. დავით გოგიძე (ქუთაისი); 3. საბა ბუცხრიკიძე (თბილისი), ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო).

**100 კგ.** 1. გიორგი მარშანია; 2. დავით კობახიძე (ორივე - თბილისი); 3. რობინზონ ესაძე, ედუარდ ღლონტი (ორივე - ოზურგეთი).

ირაკლი თავაძე

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი


ბოში გუშინ იუბილარი იყო

# ერთი ნაგება ახალ ისტორიამდე

რთულად მიმდინარეობს რეგულარული ჩემპიონატის მეორე ნახევარი მოქმედი ჩემპიონისთვის. მოახლოებული პლეი ოფის წინ, ბოლო 11 მატჩში 7 ნაგება ეჭვქვეშ აყენებს „მაიამის" საჩემპიონო ამბიციებს. თუმცა „ჰიტის" გუშინდელ მეტოქეს „პორტლენდსაც" არც ისე კარგად მისდის საქმეები. „ბლეიზერსი" გარკვეული ხანი ლიდერობდა დასავლეთის ცხრილს, მაგრამ 2014 წელს ძალიან ცუდად გამოიყურება. თანაც ამას ემატება გუნდის ლიდერის **ლამარკუს ოლდრიჯის** ტრავმა. შედეგი კი ბოლო 12 მატჩში რვა მარცხია.

ასე რომ, ორივე გუნდისთვის შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. „ჰიტმა" ისევ არასრულფასოვანი შემადგენლობით ითამაშა - ამ მატჩში **დუეინ უეიდი** აკლდა. სამაგიეროდ, მწყობრში იყო **კრის ბოში**, რომელიც მატჩის დღეს 30 წლის გახდა. პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა დიდი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ თანდათან გაიზარდა სხვაობა „მაიამის" სასარგებლოდ. მეოთხე მეოთხედში „ბლეიზერსის" ჩამორჩენა 17 ქულამდე ავიდა და „ჰიტმაც" ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება, რის გამოც კინაღამ დაისაჯა. ბოლო 12-წუთეულის მეორე ნახევარში სტუმრებს, როგორც იქნა, სროლა წაუვიდათ. შედეგად, სირენამდე 30 წამით ადრე, მასპინძლებმა ბურთი დაკარგეს და თამაშის წესები დაარღვიეს **მო უილიამსზე**, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან გაათანაბრა ანგარიში.

„ჰიტის" ბოლო შეტევაში საკუთარ თავზე აიღო თამაში **ლებრონ ჯეიმსმა**, რომელმაც საჭირო მომენტი დაიჭირა და გარღვევის შემდეგ ჩააგდო ორი ქულა. „ბლეიზერსს" 11 წამი რჩებოდა შეხვედრის მინიმუმ ოვერტაიმში გადასაყვანად, მაგრამ იუბილარმა კრის ბოშმა **დამიენ ლილარდს** დაუფარა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

■ ■ ■

ფანტასტიკური პირველი ტაიმის მოწმენი გავხდით „ოკლაჰომასა" და „დენვერის" შეხვედრაში - პირველი ორი მეოთხედის შემდეგ, „თანდერს" 72 (!) ქულა ჰქონდა დაგროვებული, „ნაგეტსს" - 58. „ოკლაჰომამ" არც მეორე ტაიმში დააგდო ტემპი და 21 ქულით გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო **კევინ დურანტი**, რომელმაც ზედიზედ 35-ედ გადააბიჯა 25-ქულიან ზღვარს და **მაიკლ ჯორდანის** რეკორდამდე სულ რაღაც 5 მატჩი აკლია.

■ ■ ■

არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ „სან ანტონიო" „ფილადელფიას" წინააღმდეგ 14 მატჩამდე აიყვანდა თავის მოგებათა სერიას და ასეც მოხდა. **ტონი პარკერის** არყოფნის მიუხედავად, უკვე მეორე მეოთხედში „სპურსის" უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია და საბოლოოდ, **გრეგ პოპოვიჩმა** უხვად გაუნაწილა სათამაშო დრო რეზერვისტებს.

„ფილადელფიას" კი თავისუფლად შეუძლია განაახლოს NBA-ის რეკორდების წიგნი. ამ გუნდმა ზედიზედ 25-ე მატჩი წააგო და თუ შემდეგ შეხვედრაში ჰიუსტონში დამარცხდება, გაიმეორებს „კლივლენდის" 2010-11 წლების სეზონის რეკორდს - ზედიზედ 26 ნაგება. ხოლო თუ პენსილვანიელები შაბათს, შინ „დეტროიტთანაც" დამარცხდებიან და ზედიზედ 27-ე ნაგებას გაიფორმებენ, ეს იქნება ყველაზე უარესი შედეგი NBA-ის ისტორიაში.

**შარლოტი-ჰიუსტონი 89:100**

24:25, 26:29, 18:24, 21:22

შ: უოკერი (22), ჯეფერსონი (20+11 მოხსნა), ჰენდერსონი (13), მაკრობერტსი (11), ზელერი (10).

ჰ: ჰარდენი (31), ჯონსი (18), პარსონსი (11), ჰოვარდი (10+10 მოხსნა), ლინი (10).

**ატლანტა-ფინიქსი 95:102**

23:25, 22:17, 23:35, 27:25

ა: მილსეპი (19), კეროლი (19), ტიგი (17), უილიამსი (17).

ფ: ბლედსოუ (20), დრაგიჩი (19), ფრაი (18), მორისი (17), გრინი (13), ტაკერი (8+11 მოხსნა).

**მაიამი-პორტლენდი 93:91**

22:25, 24:17, 26:19, 21:30

მ: ჯეიმსი (32+4 ჩაჭრა), ბოში (15+4 ჩაჭრა), ანდერსენი (13+11 მოხსნა), ჩელმერსი (11).

პ: ლილარდი (19), უილიამსი (17), მეტიუზი (15), ბატუმი (11+10 მოხსნა), ლოპესი (10).

**ჩიკაგო-ინდიანა 89:77**

15:19, 18:15, 31:22, 25:21

ჩ: გიბსონი (23), ჰაინრიხი (18), დანლივი (13), ბატლერი (12), ნოა (10+8 პასი+4 ჩაჭრა), ბუზერი (9+10 მოხსნა).

ი: ჯორჯი (21+4 ჩაჭრა), ჰილი (17), უესტი (14+9 მოხსნა), სტივენსონი (8+10 მოხსნა).

**მემფისი-მინესოტა 109:92**

30:15, 27:24, 24:29, 28:24

მემ: კონლი (23), რენდოლფი (17), გასოლი (14+12 მოხსნა), დევისი (12), პრინსი (12), მილერი (11).

მინ: ლავი (16), ბრიუერი (15), მარტინი (13), დიენგი (11+17 მოხსნა).

**ნ. ორლეანი-ბრუკლინი 109:104 (ო)**

20:26, 22:32, 31:18, 25:22, 11:6

ნ-ო: ევანსი (33+10 მოხსნა+7 პასი), დევისი (24+14 მოხსნა), რობერტსი (17), მოროუ (11), რივერსი (10).

ბ: პირსი (24), უილიამსი (23), ჯონსონი (15), ბლეტჩი (12), ლივინგსტონი (10).

**ოკლაჰომა-დენვერი 117:96**

41:24, 31:34, 18:15, 27:23

ო: დურანტი (27+8 პასი), ბატლერი (23), ჯექსონი (16+11 პასი), იბაკა (15), ადამსი (10+6 ჩაჭრა), კოლისონი (10).

დ: ლოუსონი (25+7 პასი), მოზგოვი (12+9 მოხსნა), მილერი (12), ფარიდი (11+11 მოხსნა), ფოიე (11).

**სან ანტონიო-ფილადელფია 113:91**

31:24, 29:20, 29:24, 24:23

ს-ა: დეი (22), დანკანი (19), მილსი (15), ლეონარდი (15), ჯოზეფი (12).

ფ: კარტერ-უილიამსი (17), იანგი (17), მალენსი (15), უილიამსი (14), ანდერსონი (10), სიმსი (10+7 პასი).

**იუტა-დეტროიტი 94:114**

23:26, 17:34, 29:26, 25:28

ი: ჰეივორდი (32), ბერკი (15), კანტერი (14), ჯეფერსონი (12), უილიამსი (11).

დ: დრამონდი (19+14 მოხსნა), სტაკი (19), მონრო (18+11 მოხსნა), ჯენინგსი (15+8 პასი), კოლდუელ-პოუპი (13), სმიტი (12).

**კლიპერსი-მილუოკი 106:98**

35:25, 22:27, 22:22, 27:24

კ: გრიფინი (27+14 მოხსნა), კოლისონი (15), პოლი (14+7 პასი), კროუფორდი (13), ჯორდანი (6+10 მოხსნა).

მ: სეშენსი (28+7 პასი), ფაჩულია (14+8 პასი), ედრიენი (14), ჰენსონი (10).

გია თვალაბეიშვილი

# კვირის საუკეთესოები

„ბრუკლინ ნეტსისა" და „ოკლაჰომა სიტის" ფორვარდები **ჯო ჯონსონი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯონსონი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა და ამ შეხვედრებში საშუალოდ 22.0 ქულა, 5.0 მოხსნა და 3.5 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ფორვარდის ანგარიშზე გასულ კვირას 24-დან 14 ჩაგდებული სამქულიანი მოდის, მათ შორის, რვიდან ექვსი „ბოსტონთან" 114:98 მოგებულ მატჩში.

დურანტის კარგი თამაშის წყალობით, "ოკლაჰომამ" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში ფორვარდის მონაგარი იყო - 40.3 ქულა, 11.7 მოხსნა და 6.0 პასი. დურანტმა გასული კვირის სამივე შეხვედრაში მინიმუმ 35 ქულა დააგროვა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ტორონტოსთან" მატჩში, რომელშიც 51 ქულა, 12 მოხსნა და 7 პასი მიითვალა.

**ჯონსონის კვირა**

**17 მარტი. ბრუკლინი-ფინიქსი 108:95.** 19 ქულა, 5 პასი, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა.


ჯო ჯონსონი

**21 მარტი. ბრუკლინი-ბოსტონი 114:98.** 27 ქულა, 5 პასი.

**23 მარტი. დალასი-ბრუკლინი 104:107 (ო).** 22 ქულა, 5 მოხსნა.

**დურანტის კვირა**

**17 მარტი. ოკლაჰომა-ჩიკაგო 97:85.** 35 ქულა, 5 პასი, 12 მოხსნა.

**20 მარტი. კლივლენდი-ოკლაჰომა 95:102.** 35 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი.

**21 მარტი. ტორონტო-ოკლაჰომა 118:119 (2ო).** 51 ქულა, 7 პასი, 12 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: **პოლ მილსეპი** ("ატლანტა"), **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი"), **ზაკ რენდოლფი** ("მემფისი"), **ენტონი დევისი** („ნიუ ორლეანი"), **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი"), **დემარკუს კაზინსი** („საკრამენტო"), **ტიაგო სპლიტერი** („სან ანტონიო") და **დემარ დეროზანი** ("ტორონტო").

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა „დეტროიტ რედ უინგზის“ ფორვარდი **გუსტავ ნიკუისტი**. შვედი ჰოკეისტი ექვსი გოლით ლიგის ლიდერი გახდა, სულ კი ოთხ მატჩში შვიდი ქულა დააგროვა და თავის გუნდს რვა შესაძლებლიდან შვიდი ქულის მოპოვებაში დაეხმარა. 24 წლის ფორვარდს ამ სეზონში 46 მატჩში 40 ქულა (23+17) აქვს დაგროვებული. ის ზედიზედ ხუთი მატჩია, ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს და 20 იანვრიდან მოყოლებული, ლიგის ლიდერია გოლების რაოდენობით - 18.

კვირის მეორე ვარსკვლავიც შვედი ჰოკეისტია - „ნიუ იორკ რეინჯერსის“ მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტი**. მან გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოაგებინა თავის გუნდს, საშუალოდ 1.67 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 94.2 პროცენტი მოიგერია. ლუნდკვისტმა „ოტავასთან“ მატჩში „რეინჯერსის“ მაისურით 302-ე გამარჯვება მიითვალა, გაასწრო **მაიკ რიხტერს** და მეკარეებს შორის კლუბის რეკორდსმენი გახდა მოგებების რაოდენობით. გარდა ამისა, გასულ კვირას ლუნდკვისტმა „ნიუ ჯერსისთან“ მატჩში „შათაუტი“ შეასრულა (21 დარტყმა მოიგერია), რაც მისთვის 50-ე „მშრალი“ შეხვედრა იყო კარიერაში. ესეც საკლუბო რეკორდი გახლავთ.


გუსტავ ნიკუისტი

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიილო „ბოსტონ ბრუინზის“ ფორვარდმა **ჯერომ იგინლამ**. მან ხუთი გოლი გაიტანა და დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის მოგებათა სერიის გაგრძელებაში, რომელიც ახლა 12 გამარჯვებას უტოლდება.

| რეინჯერსი–ფინიქსი | 4:3 (ო) |
|---|---|

0:2, 2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ეკმან-ლარსონი-13 (იენდლი-43, მ. სმიტი-3), 0:2 ჰალპერნი-5 (ჩიპჩურა-12, სტოუნი-11), 1:2 ბ. რიჩარდსი-17 (პაგელინი-14, პულიო-16), 2:2 ბრასარი-17 (მაკდონაჰი-28, ცუკარელო-35), 2:3 ჩიპჩურა-3 (ზ. მიხალეკი-7), 3:3 ჟირარდი-5 (მაკდონაჰი-29, პულიო-17), 4:3 მაკდონაჰი-13 (ჟირარდი-17, პაგელინი-15).

| ფილადელფია–ლოს ანჯელესი | 2:3 |
|---|---|

0:0, 0:2, 2:1

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-25 (მარტინესი-7, ტოფოლი-15), 0:2 ჯასტინ უილიამსი-18 (რეგერი-10, კოპიტარი-37), 1:2 რიდი-20 (ქობურნი-11, კუტურიე-26), 2:2 ვორაჩეკი-20 (ჰარტნელი-28), 2:3 დ. კინგი-13 (ვოინოვი-26).

| ტამპა ბეი–ოტავა | 3:4 (ბ) |
|---|---|

1:1, 1:2, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ე. კარლსონი-20 (გრინინგი-11), 1:1 კუჩეროვი-9 (ტ. ჯონსონი-25, ბრაუნი-13), 1:2 სპეცა-19 (მ. მიხალეკი-21, ე. კარლსონი-47), 1:3 ტარისი-22 (სტოუნი-2, ე. კარლსონი-48), 2:3 პედმანი-12 (ფილპულა-30, პალატი-31), 3:3 სტემკოსი-21 (პალატი-32, კელეჰანი-18).

**ბულიტები გაიტანეს:** სპეცა (ოტავა).

| დალასი–უინიპეგი | 2:1 |
|---|---|

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 რეი უიტნი-8 (ჯეიმი ბენი-38, გონჩარი-19), 2:0 სეგუინი-32 (ჯეიმი ბენი-39, ჩიასონი-19), 2:1 ლიტლი-22 (ე. კეინი-19, ენსტრიომი-19).

| კალგარი–სან ხოსე | 2:1 (ბ) |
|---|---|

0:1, 1:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 შეპარდი-4 (ნიეტო-14, დ. ბოილი-20); 1:1 კოლბორნი-9 (ვოზნიუსკი-3, გლენკროსი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** კამალერი (კალგარი).

| ბოსტონი–მონრეალი | 1:2 (ბ) |
|---|---|

0:1, 0:0, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ემელინი-3 (ბრიერი-11, ბ. ჯონსტა-21), 1:1 პ. ბერჟერონი-23 (დ. ჰემილტონი-16, ლ. ერიქსონი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** გალჩენიუკი (მონრეალი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ამბები

ჩოგბურთი

## იანკო როლან გაროსზე უნდა დაბრუნდეს

სერბული ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი **იანკო ტიპსარევიჩი** რთულ სამედიცინო პროცედურებს გადის იმისთვის, რომ როლან გაროსის ტურნირისთვის მოასწროს მწყობრში ჩადგომა. ამ მომენტისთვის, ჩოგბურთელი მსოფლიოს რეიტინგში 69-ე ადგილამდე დაეშვა, რადგან 2013 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული ტერფის სერიოზულ ტრავმას მკურნალობს.

როგორც ტიპსარევიჩი აცხადებს, მას დაახლოებით რვა კვირას დასჭირდება იმისთვის, რომ ისევ შეძლოს კორტზე გასვლა, ასევე გარკვეული პერიოდი იქნება საჭირო სპორტული ფორმის აღსადგენად. სერბი კორტზე დაბრუნებას როლან გაროსის ტურნირისთვის აპირებს.

კალათბურთი

## უორლდ პისი მწვრთნელობას ფიქრობს

როგორც იცით, NBA-ის ვეტერანი ფორვარდი **მეტა უორლდ პისი** თებერვალში „ნიუ იორკ ნიქსიდან“ დაითხოვეს და ამჟამად, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. კალათბურთელმა საკუთარ გეგმებზე ჟურნალისტებთან ისაუბრა.

*„ბოლომდე ჩემი სამომავლო გეგმების შესახებ საუბარი არ შემიძლია, რადგან ამან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საკალათბურთო კარიერის გაგრძელების ვარიანტებს. შეიძლება თუ არა „ნიქსში“ ან „ლეიკერსში“ მომინიოს თამაშმა? სავარაუდოდ, კარიერას „მილუოკიში“ გავაგრძელებ.*

*საერთოდ კი დიდი ხანია მინდა მწვრთნელი გავხდე. რატომ არ შეიძლება გავემგზავრო სან ანტონიოში? იქ ბევრს რამეს ვისწავლიდი გრეგ პოპოვიჩისგან“,* - ამბობს მეტა უორლდ პისი.

ფორმულა 1

## ავსტრალიას ხმაური არ მოსწონს

ავსტრალიის გრანპრი, შესაძლოა, ამოვარდეს ფორმულა 1-ის კალენდრიდან. როგორც მელბურნის ეტაპის ხელმძღვანელი **რონ უოკერი** ამბობს, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ არ შეიცვლება ძრავების ხმა ბოლიდებზე. უფრო ადრე, ავსტრალიური რბოლის ორგანიზატორებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ახალი ძრავების დაბალი ხმაურის გამო.

*„ჩვენ არ გაგვიფორმებია ახალი კონტრაქტი, ასე რომ, ამით გარკვეული ზეწოლა იქნება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაზე. ძრავების დაბალმა ხმამ არ უნდა დააზარალოს სპორტის ეს სახეობა. ჩვენ შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ ინდიკარის რბოლის ჩატარებაზე კონტრაქტს, მაგრამ ეს კურსის მკვეთრი ცვლა იქნებოდა. არ შეგვიძლია გულხელდაკრეფილები ვისხდეთ და დავეთანხმოთ ახალი წესებით მიღებულ სიტუაციას“,* - ამბობს უოკერი.

აღსანიშნავია, რომ ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნიც** მიიჩნევს, რომ ბოლიდების ხმა უნდა გამოსწორდეს.

კრივი

## მარტინესი წასვლას აპირებს

პროფესიული კრივის არგენტინელმა ვარსკვლავმა, 39 წლის **სერხიო მარტინესმა** აღიარა, რომ მალე, შესაძლოა, მისი სპორტული კარიერა დასრულდეს. შეგახსენებთ, რომ საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი 7 ივნისს, ნიუ იორკში შეხვდება **მიგელ კოტოს**.

*„დედაჩემს არ სურს, რომ ჩხუბი გავაგრძელო, მისი აზრი კი ჩემთვის მნიშვნელოვანია. თუმცა ახლა მთლიანად კონცენტრირებული ვარ მიგელ კოტოსთან ბრძოლაზე. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას“,* - განაცხადა მარტინესმა.

*„დიდია ალბათობა იმისა, რომ კოტოს დამარცხების შემთხვევაში, პენსიაში გავალ“,* - დაამატა არგენტინელმა.

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| პოლონეთი-საბერძნეთი | 2:1 |
| თურქეთი-ნორვეგია | 3:2 |
| საფრანგეთი-ჰოლანდია | 1:3 |
| შვედეთი-ავსტრია | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| არსენალი-სუონსი | 2:2 |
| მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი | 0:3 |
| ნიუკასლი-ევერტონი | 0:3 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბორნმუთი-ლიდსი | 4:1 |
| ბარნსლი-დონკასტერი | 2:0 |
| ჰადერსფილდი-მიდლსბრო | 2:2 |
| იფსვიჩი-დერბი | 2:1 |
| ლესტერი-იეოვილი | 1:1 |
| მილუოლი-ბირმინგემი | 2:3 |
| ნოტინგემი-ჩარლტონი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-უიგანი | 1:0 |
| უენსდი-ბრაიტონი | 1:0 |
| უოტფორდი-ბლეკბერნი | 3:3 |
| ბოლტონი-ბლეკპული | 1:0 |
| რედინგი-ბარნსლი | 1:3 |
| **I ლიგა** | |
| ბრედფორდი-უოლსოლი | 0:2 |
| ბრისტოლი-პორტ ვეილი | 5:0 |
| კარლაილი-შრიუსბერი | 0:0 |
| ძროული-შეფილდი | 0:2 |
| ძრიუ-ნოტსი | 1:3 |
| ლეიტონი-ოლდჰემი | 1:1 |
| მილტონი-ჯილინგემი | 0:1 |
| პრესტონი-პიტერბრო | 3:1 |
| როტერჰემი-ბრენტფორდი | 3:0 |
| ტრანმერი-სუინდონი | 1:2 |
| ვულვზი-კოლჩესტერი | 4:2 |
| **II ლიგა** | |
| ბარტონი-უიკომბი | 1:0 |
| ჩელტენემი-სკანთორფი | 0:2 |
| ჩესტერფილდი-მორეკამბი | 1:0 |
| დაგენჰემი-აკრინგტონი | 0:0 |
| ფლიტვუდი-როვერსი | 3:1 |
| ჰარტლპული-მენსფილდი | 2:4 |
| ნიუპორტი-ბერი | 0:0 |
| ნორთჰემპტონი-უიმბლდონი | 2:2 |
| პლიმუტი-ექსეტერი | 1:2 |
| როჩდეილი-პორტსმუტი | 3:0 |
| იორკი-ტორკი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| ალდერშოტი-გეიტშიდი | 1:2 |
| ჩესტერი-ტამუორტი | 2:0 |
| გრიმსბი-ლუტონი | 1:2 |
| უელინგი-ბრენტრი | 0:2 |
| **იტალია** | |
| რომა-ტორინო | 2:1 |
| **სერია B** | |
| ბარი-ჩეზენა | 0:0 |
| კაპრი-აველინო | 1:1 |
| ჩიტადელა-ბრეშა | 0:1 |
| იუვე სტაბია-პადოვა | 1:1 |
| ლატინა-პესკარა | 0:2 |
| ნოვარა-ტერნანა | 1:1 |
| პალერმო-სიენა | 1:1 |
| რეჯინა-მოდენა | 2:2 |
| სპეცია-ტრაპანი | 0:1 |
| ვარეზე-ემპოლი | 1:0 |
| ლანჩანო-კროტონე | 0:1 |
| **ესპანეთი** | |
| მალაგა-ესპანიოლი | 1:2 |
| ელჩე-ბილბაო | 0:0 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-შალკე | 0:0 |
| ბრაუნშვაიგი-მაინცი | 3:1 |
| ჰერტა-ბაიერნი | 1:3 |
| ვერდერი-ვოლფსბურგი | 1:3 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აალენი-დინამო | 1:1 |
| ფიურტი-ფორტუნა | 4:1 |
| ინგოლშტადტი-ბოხუმი | 3:0 |
| პადერბორნი-სტ. პაული | 3:0 |
| ზანდჰაუზენი-უნიონი | 2:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ერფურტი-უნტერჰახინგი | 2:0 |
| ბურგჰაუზენი-რეგენსბურგი | 2:2 |
| ზაარბრიუკენი-ჰანზა | 2:0 |
| შტ. კიკერსი-დარმშტადტი | 0:0 |
| ვეენი-ოსნაბრიუკი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ზელიგენპორტენი-შალდინგი | 1:0 |
| აინტრახტი (ბ)-ინგოლშტადტი II | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ბოხუმი II-იურდინგენი | 4:0 |
| ესენი-შალკე II | 0:2 |
| ვიქტორია-ალემანია | 2:0 |
| გლადბახი II-ფილბერტი | 5:1 |
| ვიდენბრიუკი-ფორტუნა II | 0:1 |
| ზიგენი-ობერჰაუზენი | 1:2 |
| ლოტე-ვატენშაიდი | 4:0 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ჰოფენჰაიმი II-ტრირი | 1:0 |
| ბაუნატალი-ნეკარელცი | 3:0 |
| მაინცი II-ოფენბახი | 0:0 |
| ზონენჰოფი-ჰომბურგი | 5:1 |
| ულმი-ფრაიბურგი II | 1:3 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| მულენსი-ანჟერსი | 0:0 პენ. 2:4 |
| **შოტლანდია** | |
| როსი-აბერდინი | 1:1 |
| სტ. მირენი-სტ. ჯონსტონი | 0:1 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| კოუდენბითი-მორტონი | 3:0 |
| დანდი-ქუინი | 1:0 |
| ფალკირკი-დამბარტონი | 2:0 |
| ჰემილტონი-რეითი | 3:2 |
| ლივინგსტონი-ალოა | 2:0 |
| **II ლიგა** | |
| ალბიონი-ანენი | 0:2 |
| **სეტანტას თასი** | |
| სლიგო-სტ. პატსი | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| ვაკერი-ადმირა | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰარტბერგი-კაპფენბერგი | 1:5 |
| მატერსბურგი-ლიფერინგი | 0:5 |
| ჰორნი-პარნდორფი | 1:3 |
| ვენა-სტ. პოლტენი | 1:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| გალათასარაი-ბურსა | 2:2 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ქონეკსი | 1:2 |
| ბალა-ებერსტვიტი | 1:2 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კრუზეიდერსი-გლენტორანი | 2:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| მიედზი-არკა | 1:1 დ.დ. 2:3 (1:1) |
| ლეჩია-იაგელონია | 1:1 (1:2) |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| დერბეცენი-ნირეგიაზა | 6:1 (3:1) |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-ნეფტოხიმიკი | 4:0 |
| **ლიტვა** | |
| ბანგა-ეკრანასი | 0:0 |
| ჟალგირისი-ატლანტასი | 4:0 |
| **ისრაელის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (მ-ტ) | 8:0 |
| მაკაბი (ნ)-ირონი | 3:0 |
| ჰაპოელი (რ-ლ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:3 |
| **ს. აფრიკა** | |
| პლატინუმი-მამელოდი | 1:3 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ალბა-ვალენსია | 78:73 |
| **საფრანგეთი** | |
| პო ორტეზი-სტრასბური | 79:94 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 2:3 |
| ს. იულიაევი-ბარისი | 3:2 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ფილახი-ბოლცანო | 3:4 (ო) |
| ლინცი-ზალცბურგი | 2:3 (ო) |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 6:2 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-ფრედრიკშავნი | 6:2 |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 7:2 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 6:1 |
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 5:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-პიესტანი | 3:5 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 5:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ჯოკოვიჩი-რობრედო | 6:3, 7:5 |
| ფერერი-ნიშიკორი | 6:7, 6:2, 6:7 |
| ვავრინკა-დოლგოპოლოვი | 4:6, 6:3, 1:6 |
| მარეი-ცონგა | 6:4, 6:1 |
| ფედერერი-გასკე | 6:1, 6:2 |
| **WTA. მაიამი** | |
| შარაპოვა-კვიტოვა | 7:5, 6:1 |

● TV პროგრამა

**26 მარტი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ჰერტა-ბაიერნი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. დორტმუნდი-შალკე.
**14:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIV ტური. გიმარაეში-ჟილ ვისენტე.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი.
**18:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. შტუტგარტი-ჰამბურგი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ლანუსი.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ჰამბურგი-ფრაიბურგი (LIVE).
**01:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ნიურნბერგი-შტუტგარტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ვიტესი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ფენერბახჩე-ოლიმპიაკოსი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ვერდერი.
**17:15** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-იტალია.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**23:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ნიურნბერგი-შტუტგარტი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
**18:00** ჩოგბურთი. ახალი ამბები.
**18:20** სპორტ-NEWS.
**18:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 17 | (მზე) |
| ქუთაისი | 13 | 23 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 20 | (უნალექოდ) |
| ფოთი | 9 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 14 | 22 | (მზე) |
| გორი | 6 | 17 | (მზე) |
| თელავი | 3 | 18 | (მზე) |
| სიღნაღი | 4 | 17 | (მზე) |
| გუდაური | -3 | 13 | (მზე) |
| ბაკურიანი | -2 | 16 | (უნალექოდ) |
| ბორჯომი | -3 | 18 | (უნალექოდ) |
| მესტია | -3 | 17 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4047 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7463 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8798 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8285 |


ნადალი ფანების ფავორიტიცაა

# ასეთი ნადალი ფავორიტია

მაიამის მასტერსზე მერვედფინალური ეტაპი დასრულდა. ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას ახდენს **რაფაელ ნადალი**, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო დამაჯერებლად. ამჯერად, ესპანელმა გაანადგურა უზბეკი **დენის ისტომინი**, როცა შვიდიდან ექვსი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს - 6:1, 6:0. ეს მიმდინარე სეზონში მეორე შემთხვევაა, როცა ნადალმა ასეთი ანგარიშით მოიგო - მანამდე მას მხოლოდ ერთი გეიმი პორტუგალიელმა **ჟოაო სოუზამ** აულო.

ახლა, რაფა მაიამიში ზედიზედ მეშვიდედ მეოთხედფინალში გასვლას ეცდება. ამისთვის მას იტალიელი ფაბიო ფონინის ბარიერის დაძლევა მოუწევს.

ბადის პირველ ნახევარში რაფაელ ნადალის მთავარი კონკურენტია ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი **სტანისლას ვავრინკა**, რომელსაც გაცილებით დიდი ბრძოლის გადატანამ მოუწია მესამე წრეში. ფრანგ **ედუარდ როჟე-ვასელენთან** მატჩის პირველი სეტი 45 წუთი გაგრძელდა. 6:5-ზე შვეცარიელმა მატჩში მეოთხე ბრეიკ-პოინტის შანსი გამოიყენა და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში ვავრინკა 3:0-სა და 4:1-ს იგებდა, მაგრამ როჟე ვასელენმა გაიბრძოლა და ზედიზედ სამი გეიმის აღებით ანგარიში გაათანაბრა, თუმცა იქვე კიდევ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება და შემდეგ სტანისლასმა მატჩზე წარმატებით ჩააწოდა. შვეიცარიელისთვის ეს იყო ამ სეზონში 16-დან 15 მოგება.

ვავრინკას შემდეგი მეტოქე იქნება უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** - ინდიან უელსის მასტერსის ნახევარფინალისტი და იმ ტურნირზე რაფაელ ნადალის მძლეველი. ამჯერად, უკრაინელს ძალიან გაუჭირდა სერბი **დუშან ლაიოვიჩის** დამარცხება - მან გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკი 2:4-დან გადაარჩინა.

მერვედფინალში ერთი ძლიერი წყვილი მივიღეთ: **ჯონ ისნერი ტომაშ ბერდიხის** წინააღმდეგ. ჩეხმა უპრობლემოდ მოუგო **ჟოაო სოუზას** - 6:2, 6:4, ისნერმა კი 17 ეისის წყალობით სძლია **ნიკოლას ალმაგროს** - 7:5, 6:3. ბერდიხისა და ისნერის ურთიერთდაპირისპირებაში ჩეხი წინ არის - 3:2, მაგრამ ბოლო ორი მატჩი ამერიკელმა მოიგო.

### III წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:1, 6:0; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:2, 6:4; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ალიაზ ბედენე (სლოვენ) 6:3, 7:5; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)**-დუშან ლაიოვიჩი (სერ) 3:6, 6:0, 7:6(5); **ფაბიო ფონინი (იტა, 14)**-რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ) 4:6, 6:3, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან, 12)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:1, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 3)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 7:5, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ, 10)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 18) 7:5, 6:3.

### 1/8 ფინალი

ნადალი (1)-ფონინი (14); რაონიჩი (12)-ბეკერი; ვავრინკა (3)-დოლგოპოლოვი (22); ისნერი (10)-ბერდიხი (7); ფედერერი (5)-გასკე (9); ნიშიკორი (20)-ფერერი (4); მარეი (6)-ცონგა (11); რობრედო (16)-ჯოკოვიჩი (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# უცნაურობები მერვედფინალში

ქალებმა უკვე დაასრულეს მერვედფინალური ეტაპი - გუშინ ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვა. მორიგი სამსეტიანი მატჩის გადატანამ მოუწია **მარია შარაპოვას**, რომელმაც პირველი სეტი წააგო ბელგიელ **კირსტენ ფლიპკენსთან**, მაგრამ მეორე სეტიდან დაალაგა თამაში. მეორე პარტიაში მან 4:0 წაიყვანა ანგარიში და მართალია, შემდეგ მეტოქეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების საშუალება მისცა, მაგრამ სეტებში აღადგინა თანაფარდობა, მესამე პარტიაში კი უკვე წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია - 6:1. თუმცა რუსმა მაინც ვერ გამოასწორა მოწოდება და ამჯერად, 10 ორმაგი შეცდომით დაასრულა მატჩი.

ნახევარფინალში გასასვლელად მარია ჩეხ **პეტრა კვიტოვას** შეხვდება, რომელსაც უცნაური მატჩი ჰქონდა სერბ **ანა ივანოვიჩთან**. ამ უკანასკნელმა პირველი სეტი ისე მოიგო, რომ მხოლოდ ოთხი გათამაშება დათმო საკუთარ გეიმებში, მაგრამ ამის შემდეგ, სერბის თამაში მთლიანად მოიშალა და კვიტოვამ ზედიზედ 12(!) გეიმის აღებით „მშრალად“ მოიგო მეორე და მესამე პარტიები.

ორი უილიამსიდან მეოთხედფინალში ერთი გავიდა - უმცროს **სერენას** მხოლოდ პირველ სეტში მოუწია ბრძოლამ ახალგაზრდა თანამემამულე **კოკო ვანდევეგეს** წინააღმდეგ, როცა პარტია 6:3 მოიგო, მეორე სეტში კი მსოფლიოს პირველი ჩოგანის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა - 6:1. მეოთხედფინალში სერენა გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** შეხვდება, რომელმაც, მართალია, მეორე სეტი ჩააგდო რუს **ეკატერინა მაკაროვასთან**, მაგრამ პირველ და მესამე სეტებში ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - 6:4, 1:6, 6:3.

რაც შეეხება **ვინუს უილიამსს**, ის ავსტრალიის ღიას ფინალისტ **დომინიკა ციბულკოვას** ხვდებოდა. მატჩი დროში გაიწელა. ორივე ჩოგბურთელი ცუდად აწვდიდა, ამიტომაც, საკუთარ მოწოდებას დიდი როლი არ ენიჭებოდა. სლოვაკი გადამწყვეტ მომენტებში უფრო ზუსტად მოქმედებდა და გამარჯვებას მიაღწია - 6:1, 5:7, 6:3. მისი შემდეგი მეტოქე **აგნიეშკა რადვანსკა** იქნება, რომელსაც ასევე დიდი ბრძოლა მოუწია უკრაინელი **ელინა სვიტოლინას** წინააღმდეგ, პირველ ორ სეტში აბსოლუტურად თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ მესამეში პოლონელის კლასმა მაინც თავისი გაიტანა - 7:6(5), 5:7, 6:2.

არანაირი სირთულე არ ჰქონდათ **ნა ლისა** და **კაროლინ ვოზნიაცკის**. აზიელმა **კარლა სუარეს ნავარო** გაანადგურა - 6:0, 6:2, დანიელმა კი **ვარვარა ლეპჩენკო** - 6:0, 6:1. შეგახსენებთ, რომ ვოზნიაცკიმ წინა ეტაპზე ასევე ერთი გეიმი დაუთმო **სლოუნ სტივენსს**. მეოთხედფინალში ჩინელი და დანიელი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

### 1/8 ფინალი

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ელინა სვიტოლინა (უკრ) 7:6(5), 5:7, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:3, 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 11)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:0, 6:1; **ნა ლი (ჩინ, 2)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 15) 6:0, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 19) 3:6, 6:4, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 23) 6:4, 1:6, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ანა ივანოვიჩი (12) 3:6, 6:0, 6:0; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 10)**-ვინუს უილიამსი (აშშ, 29) 6:1, 5:7, 6:3.

### 1/4 ფინალი

ს. უილიამსი (1)-კერბერი (5); შარაპოვა (4)-კვიტოვა (8); ციბულკოვა (10)-ა. რადვანსკა (3); ვოზნიაცკი (11)-ნა ლი (2).




ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასქურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედიის უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოდერძი ლეწავა
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608